24-საათიანი ელექტრომომარაგება დასრულდა A4

მორიგი სკანდალი ბრიტანეთის უსაფრთხოებაში A5

"თქვენი აფხაზეთი" A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 25 აგვისტო, 2004 წელი. №201 (750) | ფასი 50 თეთრი

# ომი მხოლოდ რუსეთთანაა მოსალოდნელი

"საქართველოს პრეზიდენტმა ზუსტად იცის, რას აკეთებს, იგი კომპრომატებს აგროვებს"



პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ინაუგურაციის დროს განსაკუთრებით გამოყო ურთიერთობა რუსეთთან და მას მეგობრობის ხელი გაუწოდა...

ბესო გულაშვილის ფოტო

ნინო გომართელი

საქართველოში მშვიდობა აღდგა. ღამის სროლები, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, შეწყდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება. ქვეყნის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციას ბრალს სდებს, რომ ამ უკანასკნელმა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ძალები, დაქირავებულები და კაზაკები გადმოგზავნა. უცხოური პრესის ფურცლებზე კვლავ აქტუალურია საქართველოს თემატიკა, მიხეილ სააკაშვილი კი ცდილობს, კონფლიქტების განმუხტვის მიზნით, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყროს.

ფრანგულმა გაზეთმა **"LIBERATION"** ("თავისუფლება") გუშინ, საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელმაც მთელი მსოფლიო საზოგადოების თუ არა, რუსეთის დიდი დაინტერესება ნამდვილად გამოიწვია. გაზეთის ჟურნალისტთან, ლორენ მიიოსთან ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილი კონფლიქტურ ზონებზე და რუსეთთან არსებულ პრობლემებზე საუბრობს, უმთავრესი ფრაზა კი არის მისი სიტყვები - "ახლოსაა ომი რუსეთთან", რაც ჟურნალისტმა მასალას სათაურადაც წაუმძღვარა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ზინძური გარემო



მარტო გასულ წელს საქართველოს ჰაერში 4200 ტონა მავნე ნივთიერება გაიფრქვა.

ვახო ბესელიას ფოტო

*როცა ქვეყანა ლამის საომარ მდგომარეობაშია, ძნელია, რაიმე სხვა თემაზე ისაუბრო, თუმცა, მაინც აუცილებელია, პერიოდულად საზოგადოებას და, განსაკუთრებით, მთავრობას შევახსენოთ, რომ არსებობს შედარებით ნაკლები აქტუალობის, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის საკითხები. წინა ხელისუფლება ნაკლებად გვისმენდა. იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს რამე და ეშველოს საქართველოს ჰაერს, წყალსა და ნიადაგს - გარემოს. სამწუხაროდ, ვერაფრით გაგახარებთ. მდგომარეობა სულაც არ არის სახარბიელო. დაბინძურებულია ნიადაგიც, ჰაერიც და წყალიც. არ ვიცით, რას ვჭამთ, რას ვსვამთ და რით ვსუნთქავთ.*

ოთარ ქირია

ჩნდება კითხვების წყება:

რატომ მოჰყვება სასმელ წყალს ქვიშა;

რატომ არის ნიადაგი საშინლად დაბინძურებული;

რატომ ვერ აკონტროლებს ვერავინ უხარისხო ტრანსპორტისა და საწვავის პრობლემას;

რატომ ჩაედინება არაგვში კანალიზაცია;

რატომ ივსება ქვეყანა ნაგვით;

რას იტყვის საქართველო, როცა აზერბაიჯანი გააპროტესტებს მტკვრის უმძიმეს დაბინძურებას;

რა ელის შავ ზღვას;

გვაქვს თუ არა საკმარისი წყლის მარაგი;

რატომ არა აქვს საქართველოში არც ერთ დასახლებულ პუნქტს და, მათ შორის, დედაქალაქს სრულყოფილი კანალიზაციის სისტემა;

რატომ არა გვაქვს სამრეწველო და რადიაქტიური ნარჩენების სამარხი;

რამდენად პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის გარემოს დაცვა;

რატომ ვერ ვაგვარებთ ნაგავსაყრელების პრობლემას;

რა დონეზეა ჰაერი დაბინძურებული;

რატომ არ იწმინდება საქართველოს არც ერთ წერტილში წყალი;

საიდან გაჩნდა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები;

როდის მიიღებს სახელმწიფო გადაწყვეტილებას და აღკვეთს წყალში სამრეწველო ნარჩენების ჩაშვებას;

ჰყავს თუ არა საქართველოს ტბებს პატრონი;

რატომ დარჩა თბილისის ზღვა ბედის ანაბარა;

რატომ იქცა გარემოს დაცვის უწყება საექსპერიმენტო ელემენტად;

რა ელის ლისის ტბას;

ეყოფა თუ არა გარემოს დაცვას ოთხი მილიონი ლარი?

და ა.შ. და ა.შ.

პასუხი ამ კითხვებზე არც ისე იოლი გასაცემია, თუმცა, ჩვენ მაინც შევეცადეთ. პრობლემის მოგვარებაზე ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რა თქმა უნდა, საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის მხარდაჭერის გათვალისწინებით.

თემის გაგრძელება A3 გვერდზე

## დამოკლეს მახვილი საქართველოს თავზე

გიორგი ასანიშვილი

*როგორც ირკვევა, 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, საქართველო დიდ სისხლისღვრას და განსაცდელს გადაურჩა. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე დაიკავა, რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები, თურმე, მზად იყვნენ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დასაწყებად. 40 შვეულმფრენი, 80-მდე "ბეემპე", ათეულობით ტანკი, სახმელეთო და საავიაციო დესანტი როკის გვირაბთან იყო კონცენტრირებული და შეტევაზე გადასვლის ბრძანებას ელოდა...*

**"ჩვენ ძალიან სერიოზული აგრესია ავიცილეთ თავიდან,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, რომლის თქმითაც, სამი რუსული სამხედრო შენაერთი როკის გვირაბთან დღესაც სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფება.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გივი თარგამაძემ მასმედიას წარმოუდგინა ვიდეომასალა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ ემზადებიან რუსეთის საჯარისო შენაერთები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესაჭრელად. სამხედრო ოპერაციაში რამდენიმე ქვედანაყოფი უნდა ჩართულიყო. კერძოდ, საველე პირობებში მყოფი სადესანტო-საჰაერო მოიერიშე რაზმი, რომელიც სოფელ გიზელში, სამხრეთ ოსეთისკენ მიმავალი გზის მახლობლად იყო დისლოცირებული; სოფელ ოქტიაბრსკის შესასვლელში განთავსებული სამხედრო რაზმი; სამხედრო ტექნიკის ეშელონი, განთავსებული ქ. ვლადიკავკაზში, ვატუტინის ქუჩაზე არსებულ საქმიან ეზოში...

გაგრძელება A2 გვერდზე

## "სააკაშვილი - მარტოხელა მოთამაშე"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

*აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დარეგულირებაში არსებულმა მექანიზმმა თავისი არაეფექტურობა გამოავლინა და ამაზე რუსეთმა დღეს თვალი არ უნდა დახუჭოს. ამიტომ დაუყოვნებლივ მოსაძებნია სამშვიდობო დარეგულირების სხვა, ახალი მექანიზმი. ეს იქნებოდა საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტის შეყვანა დარეგულირების პროცესში. სხვანაირად ეს კონფლიქტები არ დარეგულირდება. არა მგონია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ყველაფერი აწონდაწონეს. ახლა საჭიროა მრავალმხრივი კონსულტაციები იმ ქვეყნებთან, ვინც ამ საკითხითაა დაინტერესებული, ვისაც საქართველოში საკუთარი ინტერესები აქვს,"- ასე განაცხადა რუსეთის საგარეოპოლიტიკური დაგეგმარების კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლიტოლოგმა **სერგეი კორტუნოვმა** "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში. საინტერესოა, ამ მეტად დაძაბული ვითარებისას რას ფიქრობენ რუსეთში.*

- ჩვენთვის გასაგებია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლოგიკა, როცა იგი სამხრეთ ოსეთის დარეგულირებაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას არ მიესალმება. თუ დღეს რუსეთი დაუშვებს კონფლიქტის ზონისა და დარეგულირების საკითხის ინტერნაციონალიზაციას, იგი დაკარგავს

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

## მოვლენებზე დასავლეთი პოსტფაქტუმ რეაგირებს



რეგიონში სტაბილურობა ორ ფაქტორს ემყარება: შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და სამშვიდობო კონტინგენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების აუცილებლობას.

A3

### ეკონომიკა

## ბათუმში ახალ კოდექსზე ისაუბრებენ

საგადასახადო კოდექსის შესახებ აჭარაში ჩასულმა პრემიერ-მინისტრმა დღეს, მთავრობის გასვლით სხდომაზე უნდა იმსჯელოს.

A4

### უცხოეთი

## ეუთო-ს საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს?



სერგეი ლავროვის აზრით, ეუთო დღევანდელ გამოწვევებს ვერ პასუხობს

A5

### საზოგადოება

## არც გლდანია გეტო და არც დავითაშვილი - ლუთერ კინგი



თუ გაზი არ ჩაირთვება, შვიდ სექტემბერს მერიის წინ სრულიად რაიონის მასშტაბის აქცია გაიმართება.

A6

### ამინდი

| | 25/8 | 26/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 32 |
| ქუთაისი | 33 | 31 |
| ბათუმი | 27 | 24 |
| სოხუმი | 27 | 27 |
| ფოთი | 29 | 27 |
| თელავი | 34 | 29 |
| ზუგდიდი | 31 | 30 |
| გორი | 30 | 27 |
| ახმეტა | 33 | 29 |
| ჭიათურა | 32 | 29 |
| გაგრა | 23 | 26 |
| სამტრედია | 31 | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8050 |
| ევრო | 2.1942 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2607 |
| რუბლი | 0.0618 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 წერილები მთავრობას

B2 - B3 კონკურსი | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# დამოკლეს მახვილი საქართველოს თავზე

პირველი გვერდიდან

თარგამაძის ინფორმაციით, ეს ყველაფერი, კოლონის სახით, მარშისთვის იყო გამზადებული და, რომ არა პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძნული გადაწყვეტილება - ქართული მხარის მიერ დაკავებული სტრატეგიული სიმაღლეების შერეული სამშვიდობო ძალებისთვის გადაცემის შესახებ, კოლონა საქართველოს ტერიტორიისკენ დაიძრებოდა.

**"ოქრუაშვილის მიერ ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაციის შემდეგ, რუსეთში პანიკა ატყდა. მოსკოვში ჩათვალეს, რომ თბილისმა სამხრეთ ოსეთის დაკავების ოპერაცია დაიწყო, რის შემდეგაც შეწყდა კაზაკებისა და დაქირავებულების ამ კონფლიქტში გამოყენების მასკარადი და რუსეთი გადავიდა თავისი ძირითადი სქემის განხორციელებაზე, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან, პირდაპირ ინტერვენციას გულისხმობს,"** - აცხადებს გივი თარგამაძე. მისივე თქმით, საუბარი ე.წ "მესამე ძალაზე" აბსურდია, რადგან "ასეთი ძალა ერთია და მას რუსეთი ჰქვია".

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს სულაც არ ჰგონია, რომ რუსული აგრესიის საფრთხე საბოლოოდ არის თავიდან აცილებული. პირიქით: თარგამაძის აზრით, ეს აგრესია მომავალში გარდაუვალია და საქართველოს შეიარაღებული ძალები მის მოსაგერიებლად უნდა მოემზადონ. დეპუტატის თქმით, უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ რუსების მოგერიება შეუძლებელი ნამდვილად არ არის - რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩეჩნეთში არაერთი დამარცხება იგემეს.

**"სულ მალე ქართული ჯარი მზად იქნება იმისთვის, რომ თავხედური აქციების შემთხვევაში, რუსული ჯარი დაამარცხოს,"** - საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი პარლამენტარი.

# რუსეთთან ომი რომ გვსურდეს, თავზეხელაღებულები უნდა ვიყოთ

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, სამხრეთ ოსეთში ფართომასშტაბიანი კონფლიქტი დღეისათვის თავიდან არის აცილებული და ამაში გადამწყვეტი როლი საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელმა ნაბიჯებმა ითამაშა.

**"ის რომ, რუსეთი კონფლიქტის მონაწილეა, ამას ჩვენ დიდი ხანია ვაცხადებთ. გივი თარგამაძის განცხადებას რაც შეეხება, ჩვენ ბევრად ადრე ვიცოდით, რომ როკის გვირაბთან მძიმე შეიარაღება არის კონცენტრირებული, მაგრამ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ მშვიდობა გვინდა და არანაირი სურვილი არ გვაქვს, რუსეთთან რაიმე სახის კონფლიქტში ჩავერთოთ. ჩვენ რუსეთთან ომი რომ გვსურდეს, თავზეხელაღებულები უნდა ვიყოთ, მაგრამ მშვიდობის სურვილი ცალმხრივი არ უნდა იყოს. ჩვენი რუსეთთან მოლაპარაკებების მომხრე ვართ, მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი ამაზე არ რეაგირებს,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გუშინ პრეზიდენტმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი. **"არავითარ შემთხვევაში ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის პარალელი არ უნდა გავავლოთ. ეს სრულიად მიუღებელია და სრულიად სხვადასხვა საკითხებია. საქართველო რუსეთის მთლიანობას პატივს სცემს და იმედი გვაქვს, როგორც ჩვენ ვუდგებით ჩეჩნეთის საკითხს, ისე განიხილავს რუსეთი სამხრეთ ოსეთსაც. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეუთო-ს მისია კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდეს რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე და რუსეთმა თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რაც მარტო საქართველოს კი არა, პირველ რიგში თავად რუსეთს მოუტანს ზიანს,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

აღნიშნული განცხადება პრეზიდენტმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფილ პერ სტივ მიოლერთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

დანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი თბილისში გუშინ საღამოს ჩამოვიდა და უკვე შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილსა და პრეზიდენტ სააკაშვილს.

სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა დანიას, რომლის დახმარებითაც საქართველო ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში ჩართეს.

ფილ პერ სტივ მიოლერმა აღნიშნა, რომ დანიის ხელისუფლება შეშფოთებულია სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით. მან აღნიშნა, რომ დანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და იმედი აქვს, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდება.

*24 საათი*

# "სააკაშვილი - მარტოხელა მოთამაშე"

პირველი გვერდიდან

სიტუაციაზე კონტროლს.

**- კონკრეტულად რომელ სახელმწიფოებს გულისხმობთ, ვინ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის სიტუაციის დარეგულირებაზე?**

- რუსეთმა და ამერიკამ. მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ამერიკასთან ერთად რუსეთსაც აქვს თავისი კანონიერი ინტერესები ამ რეგიონში. ამიტომ ასამოქმედებელია მრავალმხრივი კონსულტაციების მექანიზმი მესამე ქვეყნების მონაწილეობით, თუკი ორმხრივი ფორმატი საკმარისი აღარ არის. დღეს უკვე საჭიროა თამაშში ახალი მოთამაშეების შეყვანა.

**- მაშინ რატომ გამოდის რუსეთი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების წინააღმდეგ?**

- საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე ამ ეტაპზე არც აშშ წავა და არც ეუთო. მათ დღეს ამისათვის არ სცალიათ და არ სჭირდებათ. აშშ-ში შექმნილი სიტუაციის გამო, მხედველობაში მაქვს საპრეზიდენტო არჩევნები, ამ ეტაპზე კავკასია აქტუალური პრიორიტეტული მიმართულება არ არის. მით უფრო, თუ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამის წინააღმდეგია. რუსეთს აშშ ანგარიშს გაუწევს. ამიტომ ბუშის ადმინისტრაციის პაუზა და დახანების პოლიტიკა ჩვენთვის გასაგებია. გასაგები უნდა იყოს თბილისისთვისაც. ამერიკამ და დასავლეთმა იციან, რომ ცოტა ხნის შემდეგ კავკასია - ეს მომწიფებული ნაყოფი - ისედაც ხელში ჩაუვარდებათ. ამიტომ დღეს მათი ერთადერთი პოზიციაა - შეაკავონ სააკაშვილი, მოთოკონ მისი აგრესიული განცხადებები. თუ ეს ასე არ მოხდება, აშშ სააკაშვილის თამაშს ჩაშლის...

**- როგორ აფასებენ მოსკოველი ექსპერტები სამხრეთ ოსეთის კრიზისის გადაწვეტაში მიხეილ სააკაშვილის ხელთ არსებულ დამოუკიდებელ პოლიტიკურ რესურსებს - რა შეუძლია მას დღეს და რისი ძალა არ შესწევს**?

- ომზე თანხმობა მიხეილ სააკაშვილს თბილისში არ წაუღია. ვაშინგტონშიც და მოსკოვშიც აგრძნობინეს, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ძალის გამოყენების საშუალებას არ მისცემენ. ამიტომ დღეს საქართველოს პრეზიდენტი მარტოხელა მოთამაშეა - და იგი თამაშობს სანქციის გარეშე.

მოსკოვში ყურადღებით აკვირდებიან სააკაშვილის გამონათქვამებს, მის ინტერვიუებს. ყველა მისი მოქმედება, განცხადება, სამწუხაროდ, უკვე მის წინააღმდეგ მუშაობს. უბრალოდ, მას დღეს შველის მხოლოდ ერთი ფაქტი, რომ საქართველოში ამერიკას მისი ალტერნატივა არ გააჩნია, თუმცა, რუსეთს ჰყავს ალტერნატივა.

**- შეგიძლიათ, დაასახელოთ?**

- მაგალითად, ნინო ბურჯანაძე, რომელიც მოსკოვს საკუთარი გაწონასწორებული პოლიტიკური განცხადებებით დღესაც ხიბლავს. (*ალბათ, პატივცემულ პოლიტოლოგს არ მოუსმენია ნინო ბურჯანაძის ბოლო განცხადებები. -* ***რედ.***)

**- თქვენი აზრით, სად და როდის დაუშვა მიხეილ სააკაშვილმა შეცდომა?**

- როცა მან გააკეთა პირველი განცხადება რუსეთის იმპერიულ ძალებზე. მეორე მისი უხეში შეცდომა იყო მუქარა რუსი ტურისტებისადმი. ჩვენ ველოდით, როდის დაუშვებდა იგი შეცდომას. მანაც არ დაახანა. კატერების ჩაძირვაზე განცხადებამ მის დემოკრატიულ იმიჯს წერტილი დაუსვა და არა მარტო მოსკოვში.

**- როგორ შეაფასებთ საქართველოს პრეზიდენტის ბოლო ინტერვიუს გაზეთ "ლიბერასიონში", სადაც იგი რუსეთთან ომზე საუბრობს?**

- სააკაშვილი მართალია. რუსეთი დღეს კონფლიქტის მონაწილეა. ეს ფაქტია. სამხრეთ ოსეთში 80 პროცენტზე მეტი რუსეთის მოქალაქეა და გასაგებია, რომ ომი რუსეთ-საქართველოს შორის მიდის. ჩრდილოეთ ოსეთისა და კავკასიელი მოხალისეების შეკავება უკვე შეუძლებელია, ამდენად, ეს იქნება პარტიზნული, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი. მაგრამ არა სახელმწიფოთაშორისი. გასაგებია, რომ რუსეთი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ომს არ გამოუცხადებს.

**- რუსი პოლიტოლოგების და ექსპერტების აზრით, ვის ინტერესებშია დღეს ომი რუსეთ-საქართველოს შორის?**

- მხოლოდ სააკაშვილის ინეტერესებში. რადგანაც იგი გრძნობს, რომ საყრდენი ეცლება. ომი, რაზედაც "ლიბერასიონისათვის" მიცემულ ინტერვიუშია საუბარი, პირველ რიგში ამერიკას არ აძლევს ხელს.

**- როგორი იქნება ოფიციალური მოსკოვის პოზიცია, თუკი საერთაშორისო კონფერენცია სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის დადგენაზე იმსჯელებს?**

- ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი საკუთარ უმწეობაზე მოაწერს ხელს და მსოფლიოს დაუმტკიცებს, რომ საკუთარ ავტონომიასთან მოლაპარაკება არ შეუძლია. ეს საერთაშორისოსამართლებრივი ნონსენსი იქნება, რომ არაფერი ვთქვათ მორალურ-ეთიკურზე.

**- მაშინ, თქვენი აზრით, რა გზა, რა გამოსავალი რჩება საქართველოს ხელისუფლებას, თუკი მოსკოვი არც ომს უჭერს მხარს და არც სამშვიდობო მოლაპარაკებებს?**

- ყველა მოლაპარაკების გზა ოპერატიული არხებით მაინც მოსკოვზე გადის და მოსკოვში ბრუნდება. საქართველოს ხელისუფლების შეურიგებელი პოზიცია კი მოსკოვ-ვაშინგტონს დღეს ერთნაირად აღიზიანებს. ეს პოლიტიკური სეზონი საქართველოსათვის ლაგამის ამოდებით დასრულდება, რადგანაც რუსეთ-საქართველოს შორის ომი შეუძლებელია.

**- არც ომისა და არც მშვიდობის შემთხვევაში, მაინც რომელი მხარე რჩება მოგებული?**

- იმარჯვებენ მაფიოზური ჯგუფები, კრიმინალური ბანდები და კონტრაბანდისტები რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან.

# მოვლენებზე დასავლეთი პოსტფაქტუმ რეაგირებს

გიორგი ასანიშვილი

*ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებით ადევნებენ თვალს ცხინვალის რეგიონში მოვლენების განვითარებას. სამხრეთ ოსეთის თემა, ძირითადად, ეუთო-ს "საკურატორო" სფეროა, თუმცა, ქართულ-ოსური კონფლიქტით ზოგჯერ სხვა სტრუქტურებიც დაინტერესდებიან ხოლმე. მაგალითად, ამჟამად საქართველოში იმყოფება ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰეიკი ტალვიტიე, რომელიც უკვე შეხვდა დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლებს - პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერს ედუარდ კოკოითს.*



*რეგიონში სტაბილურობა ორ ფაქტორს ემყარება: შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და სამშვიდობო კონტინგენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების აუცილებლობას.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ამ შეხვედრების დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ტალვიტიე აცხადებს, რომ ჟვანიასა და კოკოითს შორის მოლაპარაკებებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები, პარაქტიკულად, აღარ არსებობს და ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის დაწყება სავსებით რეალურია. ევროსაბჭოს წარმომადგენელი ჟვანიასა და კოკოითის მომავალ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს და გამოთქვამს სურვილს, რომ ის, რაც შეიძლება, მალე შედგეს.

**"მხოლოდ ამ შეხვედრის შემდეგ შეიძლება ითქვას, თუ როგორ უნდა მოხდეს სიტუაციის განმუხტვა,"** - აცხადებს ტალვიტიე და იქვე შენიშნავს, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენა არც ისე ადვილია, მაგრამ არა შეუძლებელი.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო რუსეთის მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, ცხინვალში ყოფნის დროს მან განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა.

**"ჩვენ არ განვსჯით, ვინ არის მტყუანი და ვინ - მართალი. ჩვენ მხოლოდ იმას ვცდილობთ, რომ დადებით მომენტებზე მოვახდინოთ კონცენტრირება და მხარეები დიალოგის მაგიდასთან დავსვათ,"** - აღნიშნავს ტალვიტიე.

მისი შეფასებით, ბოლო დროს კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა საგრძნობლად განიმუხტა, თუმცა დაძაბულობა კვლავ რჩება. ევროსაბჭოს წარმომადგენლის თქმით, ვითარების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული მხარის გადაწყვეტილებამ კონფლიქტის ზონიდან თავისი შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ.

**"დღეს უკვე ახლოს ვართ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციასთან. ოღონდ, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ საქართველოს ხელისუფლებას მეორე მხარეც მიბაძავს,"** - აცხადებს ტალვიტიე. მისი აზრით, რეგიონში სტაბილურობა ორ ფაქტორს ემყარება: შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და სამშვიდობო კონტინგენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების აუცილებლობას. დასავლელი დიპლომატი, თავისი სხვა კოლეგების მსგავსად, იმასაც ხაზგასმით შენიშნავს, რომ რუსეთს ძალიან დიდი როლი ეკისრება კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგების საქმეში.

ამავე დროს, ტალვიტიე ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მონიტორინგის

# ომი მხოლოდ რუსეთთანაა მოსალოდნელი

პირველი გვერდიდან

ლორენ მიიოს პირველივე შეკითხვა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ეხება, ჟურნალისტი იმის გაგებას ცდილობს, თუ როგორია ამ ორი კონფლიქტური ზონის თბილისის იურისდიქციაში დაბრუნებისათვის საქართველოს ხელისუფლების გეგმა.

**"ჩვენი მიზანი არ არის ამ ტერიტორიების "დაპყრობა". ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო ამ ორ რეგიონში გამავალი კონტრაბანდული გზების გადაკეტვა. ამიერიდან, სამხრეთ ოსეთის ის მოსახლეობა, რომელიც, ძირითადად, რუსეთთან კონტრაბანდით არსებობდა, ახლა შემოსავლის გარეშეა დარჩენილი. იქ ბევრი უმუშევარი ადამიანია, მაგრამ აქვთ საკმაოდ დიდი რაოდენობის იარაღი. ვშიშობ, რომ ისინი თავს დაესხმიან ქართულ სოფლებს. ოსები დიდი რაოდენობის იარაღით რუსეთმა აღჭურვა. იქ ახლა არის რუსული ტანკები, 90-მდე რუსული ჯავშანტრანსპორტიორი, რაც ოსეთის ძალების წარმომადგენელი სამი ათასი ადამიანისთვის ძალზედ ბევრია! მაგრამ, ის ძალები, რომლებმაც ჩვენს პოზიციებს გასულ კვირას შეუტიეს, ეჭვგარეშეა, რომ რუსები იყვნენ. ტაქტიკა სწორედ ისეთი იყო, როგორსაც რუსეთი ჩეჩნეთში იყენებს: თუ მათ ბრძოლის ველზე დაღუპულები ჰყავთ, ისინი საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ცდილობენ მათი გვამების წაღებას. ყველაფერს აკეთებენ, რომ გარდაცვლილთა გვამები გაქრეს,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი.

რაც შეეხება, ზოგადად, რუსეთთან ურთიერთობას, მიხეილ სააკაშვილი ამჟამად არსებულ დამოკიდებულებას გაყრის პროცესში მყოფი ცოლ-ქმრის მდგომარეობას ადარებს, რომლებიც ერთმანეთს მეგობრობას სთავაზობენ, თუმცა, ეჭვი ახრჩობთ.

აქვე, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ლიდერთან ვლადიმირ პუტინთან ურთიერთობებსაც ეხება და ხაზს უსვამს საქართველოში მოგების ნახვის რუსეთის ფუჭ იმედებს.

**"მე ურთიერთობა მაქვს პუტინთან, მაგრამ ხშირად შთაბეჭდილება მრჩება, რომ იგი თავის გადაწყვეტილებებში რუსეთში მარტო არაა. გადაწყვეტილების მიმღები ბევრი მხარეა. არიან პრორუსული ჩეჩნები: კადიროვის ვაჟმა განაცხადა, რომ მზადაა, სამხრეთ ოსეთში რუსების მხარდასაჭერად 5 ათასი ჩეჩენი გაგზავნოს. მეორე მხრივ, არიან ინგუშებიც, რომლებიც ოსების მიმართ საკმაოდ მტრულად არიან განწყობილნი. რუსეთის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში მან უამრავი ტერიტორია დაკარგა: მან დაკარგა ბალტიის ქვეყნები, აღმოსავლეთი ევროპა, გასულ წელს "ვარდების რევოლუციის" შედეგად დაკარგა საქართველო, შემდეგ - აჭარა. ძალიან ბევრ რუსს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მათი ქვეყნის დანაკარგი უდიდესია და რომ ახლა, ყოველი ახალი ტერიტორიის დაკარგვის საფრთხეს წინ უნდა აღუდგნენ. ვფიქრობ, პუტინი პრაგმატიკოსია, მაგრამ ასეთ ვითარებაში, ძლიერი პრეზიდენტისთვისაც კი მანევრებისთვის ტერიტორია ძალზედ შეზღუდულია. მე ადრეც აღვნიშნე, რომ თუ ომი დაიწყება, ეს იქნება არა ქართველებსა და ოსებს შორის ომი, არამედ რუსეთ-საქართველოს შორის ბრძოლა. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ომთან, მოსახლეობა მომზადებული უნდა იყოს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ყველაზე უარესია, რაც შეიძლება მოხდეს. მე არ ვაპირებ ომის პროვოცირებას, მე ნამდვილად არ ვარ გიჟი,"** - მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტი.

ამასთანავე, ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს საქართველო კონფლიქტის მოსაგვარებლად, მიხეილ სააკაშვილი პასუხობს: **"ჩვენ ოსეთ ძალზედ ფართო ავტონომიურ სტატუსსა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში მნიშვნელოვან ადგილს ვთავაზობთ. ჩვენ ასევე არსებულ მდგომარეობაზე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა გვსურს და ოსეთის სტატუსის განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა გვინდა. მართალია, რუსეთი წინააღმდეგია, მაგრამ ვფიქრობ, მისი პოზიცია მალე შეიცვლება."**

მიხეილ სააკაშვილის აღნიშნული ინტერვიუ ფრანგულ გაზეთთან უყურადღებოდ არ დაუტოვებია რუსულ მედიას. იგი თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა და საკუთარი კომენტარიც დაურთო.

რუსულმა ინტერნეტგამოშვებამ **"LENTA.RU"**-მ სააკაშვილის ინტერვიუს ასეთი პროლოგი წაუმძღვარა: **"რუსეთთან ომი ახლოსაა და მოსახლეობის მომზადება აუცილებელია, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფრანგულ გაზეთთან ინტერვიუში. საქმე ეხება კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, რომელსაც მხოლოდ ფორმალურად თუ შეგვიძლია საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ვუწოდოთ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ რესპუბლიკას რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სურს. ამასთან, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა აქვს."**

რაც შეეხება, ზოგადად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, მაშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება აქტიურად საუბრობს საქართველოს შემადგენლობაში ოსეთის სტატუსის განსაზღვრაზე და საკითხის ინტერნაციონალიზაციაზე, რუსეთის მასმედია ინფორმაციული შტურმის განხორციელებას და საქართველოს ხელისუფლების მისამართით უამრავი ბრალდების წამოყენებას კვლავ აგრძელებს. გაზეთმა "Время Новостей" გუშინ სტატია გამოაქვეყნა სათაურით: "ქართველები რუსეთის შევიწროებისთვის ევროპელებს უხმობენ".

**"საქართველოს დიპლომატიური კორპუსის მორიგი პროპაგანდისტული სვლა გაოცებას არ იწვევს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარაში მიღწეული წარმატებით მთვრალია, მაგრამ მისმა ბოლო განცხადებამ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საქართველოს ხელისუფლების შემადგენლობაში მოკლე დროში დაბრუნების შესახებ, მხოლოდ გაამწვავა ამ რეგიონში ვითარება. ამჯერად არ გამოდის "ვარდების რევოლუცია", იმპულსურმა ქართველმა პრეზიდენტმა, მშვიდობის მოყვარული და საომარი სიტყვებით თამაშით, კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარების მუქარა წამოიწყო,"** - წერს გაზეთის კორესპონდენტი ვლადიმირ კაზიმიროვი.

ამასთანავე, იგი ქართულ მხარეს ბრალს სდებს საომარი მოქმედებების პროვოცირებაში და ცდილობს, რუსეთი იმ ერთადერთ ძალად წარმოადგინოს, რომელსაც, ვითომ, ყველაზე მეტად მშვიდობიანი მოლაპარაკებები სურს. იგი წერს: **"სავსებით გასაგები მიზეზებით, ეუთო-ში არავინაა რუსეთზე მეტად დაინტერესებული, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოგვარდეს".**

ზემოთ ხსენებულ სტატიაში არსად არის ლაპარაკი იმ კაზაკებსა და დაქირავებულ მებრძოლებზე, რომლებიც კონფლიქტის ზონაში იმყოფებიან და რომელთა წინააღმდეგაც აქტიურად გამოდის ოფიციალური თბილისი. არაფერია ნათქვამი ასევე 5 ათას ჩეჩენზე, რომლებიც კრემლის მიერ გამაგრებული ზურგით, ოსეთის სეპარატისტი ხელისუფლების დაცვისათვის არიან მზად.

მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რუსულ პრესაში მოიძებნება მოვლენების ობიექტური შეფასებაც. "Новая Газета" -მ ერთი მეტად საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, რომელსაც ასეთი ქვესათაური აქვს: "როგორ შეიძლება რუსეთი კიდევ ერთხელ გახდეს საერთაშორისო დაცინვის ობიექტი".

მასალა სამაჩაბლოს მოვლენებს ეხმაურება.

**"სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაა და ამას წყალი არ გაუვა. ის, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობას რუსული პასპორტები აქვს, არაფერს ცვლის. წარმოიდგინეთ, რომ უცებ, ირანმა ჩეჩნეთის მოსახლეობას თავისი პასპორტები დაურიგოს. იქნება ეს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ჩეჩნეთი მათ შევუერთოთ? თუ, ირანის მსგავს ნაბიჯს რუსეთი შეაფასებს, როგორც საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ დივერსიას?"** - წერს ავტორი იულია ლატინინა.

სტატიაში აშკარად იგრძნობა რუსეთის ინტერესების მიმართ ირონია, რასაც შექმნილი მდგომარეობა ნამდვილად მოითხოვს: **"ეს გენერალი ნაზდოროვი - ჩვენი ახალი სუვოროვია, ჩეჩნეთში ხომ არ გაგვეგზავნა?"** ან კიდევ, **"წარმატებული ომისთვის სამი რამ არის საჭირო: ჯარი, რომელსაც ბრძოლისუნარიანობა აქვს; ძლიერი სახელმწიფო; დასაბუთებული მიზეზი ომის წამოწყებისთვის. ჩვენ კი ეს მესამეც არ გვაქვს".**

დასკვნის სახით კი, ავტორი წერს: **"ამ ომში რუსეთს არც ძალა აქვს და არც არგუმენტი, თუ, რასაკვირველია, არგუმენტად არ ჩავთვლით თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ფრაზას - "სურვილის ქონა მავნე არ არის". ეს ის ფრაზაა, რაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებად დაგვიჯდება. ჩვენი სამშვიდობოებისგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტმა ზუსტად იცის, რას აკეთებს, იგი კომპრომატებს აგროვებს."**

რუსეთის საინფორმაციო სივრცეში მოვლენების ობიექტური ანალიზის უნარი ჯერ ყველას არ დაუკარგავს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით პოლიტიკურ სპექტრზე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის აღდგენა დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. სააგენტო "აფსნის" ცნობით, რკინიგზის გაგრა-ფსოუს მონაკვეთზე ჩრდილოკავკასიელმა სპეციალისტებმა შეცვალეს განძელები და მიმდინარეობს სარკინიგზო ხიდების აღდგენა მდინარეებზე - ფსოუ, ბზიფი, ხაშპსი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობაში აცხადებენ, რომ რკინიგზის სარემონტო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება. შემოდგომიდან მატარებლების მოძრაობა იგეგმება ორი მარშრუტით: სოხუმი-როსტოვი და სოხუმი-მოსკოვი. ამასთან, ახალ ათონსა და სოჭს შორის უკვე მოძრაობს ორი თბომავალი გემი "აკაცია" და "პლატანი", რომლებსაც ტურისტები გადაჰყავს. თბომავლებს, სააგენტოს ცნობით, აფხაზების ორი სამხედრო კატარღა აცილებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) სხდომის სასწრაფოდ მოწვევას ითხოვს. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა წერილით მიმართა შსკ-ს თანათავმჯდომარეებს, სადაც მიღწეული შეთანხმებების დარღვევის ფაქტებთან და რიგ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, კომისიის სხდომის დაუყოვნებლივ ჩატარება ითხოვა. გიორგი ხაინდრავას წერილში გამოთქმულია შეშფოთება, სოფლების: დამპალეთის, ქვემო მონასტერის, ფრისისა და ხელჩუას ტერიტორიებზე ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ სანგრებისა და გამაგრებული საცეცხლე წერტილების მოწყობის შესახებ. წერილში ასევე აღნიშნულია კონფლიქტის ზონის ქართულ სოფელ აწრისხევიდან ორშაბათს საქონლის გატაცების ფაქტის შესახებ. ამასთან, ხაინდრავას დაუშვებლად მიაჩნია ოსური მხარის მიერ წარმოებული ანტიქართული რიტორიკა. იგი აცხადებს, რომ საქართველოს შემადგენლობაში ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრა რეალობაა. როგორც ხაინდრავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ყოველგვარი პოლიტიკური ილუზია გვერდზე უნდა გადაიდოს და ცხინვალში რეალობას უნდა დაუბრუნდნენ. რეალობა კი, მისი თქმით, ისაა, რაც რეგიონში არსებობს, ანუ - ცხინვალის სტატუსის განსაზღვრა საქართველოს შემადგენლობაში. ხაინდრავას მიაჩნია, რომ თვით ცხინვალში ეს კარგად ესმით, თუმცა ფაქტია, რომ მის ფარგლებს გარეთ არსებობს გარკვეული მილიტარისტული ხასიათის ლობი, რომელიც სეპარატისტულ რეჟიმს აქეზებს და დამოუკიდებლობის ილუზიის გახანგრძლივებას ცდილობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრები, რომლებიც ორშაბათს ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების გასაცნობად ჩავიდნენ, ამჟამინდელ მდგომარეობას "დაუმშვიდებელ მშვიდობას" უწოდებენ. როგორც ამ კომისიის ხელმძღვანელმა, პარლამენტარმა ვასილ მაღლაფერიძემ სააგენტო "მედია-ნიუსს" განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონაში რამდენიმე დღეა, სროლის ხმა აღარ ისმის, ახლა, ქურდობის ფაქტები გახშირდა. "ცხინვალის რეგიონში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა რაიონს დიდი ზარალი მიაყენა, თუმცა მათი აღრიცხვა-დათვლის კომპეტენცია ჩვენს კომისიას არ ჰქონდა", - განაცხადა მაღლაფერიძემ და დასძინა, რომ კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს წარედგინება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარ კობა დავითაშვილის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ არასწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ცხინვალის რეგიონიდან ქართული შინაგანი ჯარის ნაწილები გამოიყვანა და პოსტები შერეულ სამხედრო ძალებს გადასცა. "მსგავსი პოლიტიკით ქვეყანა ვერ იხეირებს. ხელისუფლებას ჩვენი ნათქვამი უკუღმა ესმის. ჩვენ ვითხოვდით, რომ ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალები გაეყვანათ. ამის ნაცვლად, მათ რუსეთის სამშვიდობო ძალები დატოვეს და საქართველოს შინაგანი ჯარები გამოიყვანეს. მაქვს ინფორმაცია, რომ ოსი სეპარატისტები და რუსი დაქირავებულები შეტევისთვის ემზადებიან, რაც შესაძლოა, ცუდი სცენარით განვითარდეს," - აღნიშნა კობა დავითაშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ვლადიკავკაზში თავი მოიყარა როსტოვის სპეცრაზმმა, რომელიც საკმაოდ ცუდი რეპუტაციით გამოირჩევა და იგი საქართველოში გადმოსვლას აპირებს. "ეს სპეცრაზმი ჩვენს ტერიტორიაზე ბრძოლით და ჩვენი სისხლისღვრით დაკავდება," - განაცხადა ნათელაშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე. მისივე თქმით, აღნიშნული ჯგუფი კაზაკებითაა დაკომპლექტებული და, ამასთან, მოხალისეები იკრიბებიან ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთსა და დაღესტანში. სავსებით რეალურია გაგრის ტრაგედიის გამეორება. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გააქტიურდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი პარლამენტარი ჯემალ გამახარია აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს ახალი ხელმძღვანელობის პასიურობით უკმაყოფილოა და ამის მიზეზად აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროცესის გაჭიანურებას მიიჩნევს. "ჩემთვის მიუღებელია ის, რომ აფხაზეთის ავტონომიის ახალი ხელმძღვანელობა გარკვეულ პასიურობას იჩენს, თუმცა ოპოზიციაში არ ვარ, რადგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გამტარებელია და უნდა მივცეთ დრო საქმის გასაკეთებლად", - აცხადებს ყოფილი პარლამენტარი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბინძური გარემო

## ჰაერი

**2003 წელს სხვადასხვა სექტორიდან ატმოსფეროში ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჯამური დახასიათება**

| დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების სექტორთა დასახელება | ატმოსფერულ ჰაერში წლიურ გაფრქვევათა მახასიათებლები, მოცულობები - ტონა/წელიწადში, მნიშვნელობა - პროცენტი | |
|---|---|---|
| | ნახშირორჟანგის გარეშე | ნახშირორჟანგის ჩათვლით |
| ავტოტრანსპორტი | 170.096 / 39.33 | 1348.394 / 31.98 |
| ენერგეტიკა | 98.762 / 22.83 | 2401.866 / 56.97 |
| მრეწველობა | 11.685 / 2.70 | 313.964 / 7.44 |
| სოფლის მეურნეობა | 151.964 / 35.14 | 151.964 / 3.61 |
| სულ | 432.507 / 100 | 4215.743 / 100 |

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განაპირობებენ როგორც ტექნოგენური, ისე ბუნებრივი დამაბინძურებელი წყაროები. ტექნოგენური დაბინძურების წყაროებიდან, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აღრიცხვას ექვემდებარება მხოლოდ ე.წ. სტაციონარული წყაროები, რომლებიც, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონის თანახმად, უნდა აკმაყოფილებდნენ ძირითად მავნე ნივთიერებებისთვის წლიური გაფრქვევების განსაზღვრულ ოდენობას. სახელდობრ, წლიურ გაფრქვევათა ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები ფრჩხილებში წარმოდგენილ სიდიდეებზე (მტვერი - 10 ტ/წ, $SO_2$ - 10 ტ/წ, $CO_2$ - 100 ტ/წ, $SO_2$ - 1,5 ტ/წ და CH 30 ტ/წ).

**"ბუნებაში არსებობს სხვა წყაროებიც, რომლებიც ინტენსიურად მოქმედებენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე, რომელთა გაფრქვევების შეფასება აუცილებელია, რათა მეტი მიახლოებით შეფასდეს მავნე ნივთიერებათა ჯამური ემისია. ამიტომ, მავნე ნივთიერებათა ემისიის სრული შეფასებისთვის საჭიროა, ქვეყნის ენერგობალანსზე დაყრდნობით, გაანგარიშებულ იქნეს ცალკეული დარგების, წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა წლიური ჯამური რაოდენობები (ქვეყნის ენერგობალანსის მონაცემები უნდა ქვეყნდებოდეს ყოველწლიურად). ამ ბალანსის არარსებობა არ იძლევა შესაბამისი სიზუსტით მავნე ნივთიერებების ატმოსფეროში გაფრქვევათა შეფასების საშუალებას. 2001-2002 წლებში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, TASIC-ის ფინანსური მხარდაჭერით, შეადგინა 2001 წლის ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსი, რომელიც იძლევა გაფრქვევების ოდენობების შეფასების საშუალებას, რაც საწყისი ინფორმაციის უმთავრესი წყაროა ემისიათა შეფასებისას, განსაკუთრებით, ენერგორესურსთა მოხმარების კუთხით.**

**საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სამრეწველო ობიექტებიდან და სოფლის მეურნეობის დარგებიდან. ამათგან ძირითადი დამაბინძურებლებია: ენერგეტიკა და ავტოტრანსპორტი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ენერგოსექტორში მოხმარებული საწვავის რაოდენობა, ფართოვდება ემისიათა ინვენტარიზაციის არეალი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების უფრო სრულყოფილი ასახვით,"** - აცხადებს გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველოს მთავარი ექსპერტი ჯანრი ქარჩავა.

2003 წლისთვის საქართველოში აღრიცხვაზე იყო 42,9 ათასი (13,2 პროცენტი) სატვირთო, 25,7 ათასი (7,91 პროცენტი) ავტობუსი, 1,2 ათასი (0,37 პროცენტი) სპეციალური მანქანა და 255,2 ათასი (78,52 პროცენტი) მსუბუქი მანქანა - სულ 325000 ერთეული.

სულ 2003 წელს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან, სტატისტიკის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით, მოიხმარებოდა 367300 ტონა საწვავი; აქედან - 263000 ტონა ბენზინი და 104300 ტონა დიზელის საწვავი. საავტომობილო ბენზინის იმპორტმა შეადგინა 263000 ტონა, დიზელის საწვავის წარმოებამ - 3900 ტონა, მისმა იმპორტმა კი - 100400 ტონა, რაც სულ შეადგენს 104300 ტონას.

ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება - აზოტის ოქსიდებით, მცირე ოდენობის მეთანით, ააონ-ებით, ნარხშირჟანგით, გოგირდის ოქსიდით, ჭვარტლითა და ნახშირორჟანგით. სულ წლიურად ავტოტრანსპორტიდან ჰაერში გაიფრქვევა 1348.394 ათასი ტონა მავნე ნივთიერება. დაბინძურების ყველაზე დიდი წილი მოდის ბენზინზე მომუშავე ავტოტრანსპორტზე.

ენერეგეტის სექტორიდან ჰაერში გაიფრქვევა წლიურად 98.762 ათასი ტონა მავნე ნივთიერება. ყველაზე დიდი წილი, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, მოდის აქროლად ორგანულ ნივთიერებებსა და ნახშირჟანგზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არამავნე ნახშირორჟანგს.

მრეწველობის სექტორიდან ჰაერში გაიფრქვევა წლიურად 11.685 ათასი ტონა მავნე ნივთიერება, საიდანაც ყველაზე დიდი წილი - 8.548 ათასი ტონა - მოდის მტვერზე, ხოლო 2.1116 ათასი ტონა - ააონ-ებზე.

სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერი, ძირითადად, ბინძურდება ფერმებიდან. გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა გაანგარიშებულია [illegible] მახასიათებლების მიხედვით. სულ 2003 წელს ფერმერული მეურნეობებიდან ატმოსფეროში გაიფრქვა 157.964 ათასი ტონა ნივთიერება.

2003 წელს ატმოსფეროში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური რაოდენობა: ავტოტრანსპორტიდან 170,096 ა/თ. ტონა, ნახშირორჟანგიანად კი 1348,394 ტონა. ენერგეტიკის სექტორიდან 98,762 ა/თ. ტონა, ნახშირორჟანგიანად კი2401,866 ა/თ. ტონა. მრეწველობის სექტორიდან 11,685 ა/თ. ტონა, ნახშირორჟანგიანად კი -313,519 ა/თ. ტონა; სოფლის მეურნეობის სექტორიდან - 151,964 ა/თ. ტონა. მთლიანად 2003 წელს გამოიფრქვეოდა 396,113 ა/თ. ტონა მავნე ნივთიერება, ნახშირორჟანგიანად კი - 4165,470 ა/თ. ტონა.

## ნიადაგი

1988 წლის მონაცემებით, საქართველოში ყველა ტიპის ნარჩენების რაოდენობა (მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარდა) 64,5 მლნ ტონას შეადგენს. 70 პროცენტი წიაღისეული რესურსების მოპოვებისა და გადამუშავების ნარჩენია, 30 პროცენტი მეტალურგიული, საშენ მასალათა, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობისა და სხვა დარგების ნარჩენებია, ხოლო, მათ შორის, 2 პროცენტი ტოქსიკური ნარჩენია. ეს ნარჩენებია ჰიდრიდები, გალვანური შლამები, კობალტშემცველი მტვერი, დარიშხანშემცველი, ნიკელშემცველი, ნავთობშემცველი, ფოსფორშემცველი, ქლორშემცველი, ციანშემცველი, გადამუშავებული ელექტროლიტები, სალებავებისა და ემალის შემცველი, მჟავე გუდრონი და სხვა.

არსებული ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით **მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების** ყოველწლიური მოცულობა შეადგენს, დაახლოებით, 5,5 მლნ. მ3. ქვეყანაში არსებული ნაგავსაყრელები მეტად საგანგაშო მდგომარეობაშია. სულ აღრიცხულია 69 ნაგავსაყრელი, რომელთა მიერ დაკავებული ფართობი შეადგენს, დაახლოებით, 300 ჰექტარს. 51 ნაგავსაყრელის ტერიტორია გამოყოფილია შესაბამისი სამხარეო ადმინისტრაციის ან რაიონული გამგეობის დადგენილების საფუძველზე, მაგრამ არც ერთს არ გააჩნია ნაგავსაყრელის მოწყობის პროექტი. მათი უმრავლესობა გადავსებულია. 18 ნაგავსაყრელი უკანონოა. ამას გარდა, ყოველ დასახლებულ პუნქტთან არის მრავალი მცირე ზომის უკანონო ნაგავსაყრელი. არც ერთი ნაგავსაყრელი არ პასუხობს გარემოსდაცვით და სანიტარიულ მოთხოვნებს და ნორმებს. მათთვის არ არის განსაზღვრული მოქმედების ვადა, დარღვეულია მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელებისადმი წაყენებული თითქმის ყველა ნორმა. ნარჩენები ნაგავსაყრელებზე გადის ყოველგვარი დახარისხების გარეშე. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად აქ გვხვდება სხვა სახის ნარჩენები. [illegible] ბიან გრუნტის წყლებში და აბინძურებენ მათ.

**სამრეწველო ნარჩენები** განთავსებულია საწარმოების და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. მრეწველობის სექტორის სრული დატვირთვით მუშაობის დროს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნა და დაბინძურების კერები გაჩნდა ისეთ სამრეწველო ქალაქებში, როგორებიცაა რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი, ბოლნისი და სხვა, სადაც მეტალურგიული, ფეროშენადნობთა ქარხნებიდან, სამთომომპოვებელი კომბინატიდან და სხვა საწარმოებიდან მრავალი ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენი (წიდა, დამუშავებული და ფუჭი ქანების გადანაყრები და სხვა) დაგროვდა, რის შედეგადაც ამ საწარმოების მიმდებარე ტერიტორიები მრავალი წლის განმავლობაში ფორმირდებოდნენ, როგორც ტოქსიკური ელემენტების მომატებული კონცენტრაციების გეოქიმიური პროვინციები.

სამრეწველო სექტორის მოცულობის შემცირების გამო ამ პროცესის ინტენსივობა შენელდა, თუმცა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მათი ზეგავლენის საშიშროება კვლავ არსებობს. არსებული ნარჩენები ატმოსფერული ნალექების, მათი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მეორადი გამოყენებისა და სხვა პროცესების გამო, გარკვეულ გავლენას ახდენენ ჰაერის, ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ტოქსიკური ელემენტებით დაბინძურებაზე. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ არსებობს სამრეწველო ნარჩენების ნაგავსაყრელები.

ქვეყანაში მოუწესრიგებელია ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის რეგულირების საკითხები, რადგანაც იმპორტირებული მეორადი მოხმარების ნივთები (ნახმარი ტანსაცმელი, საბურავები, ავტომობილები) პოტენციურ ნარჩენს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანას, რომელსაც არა აქვს გადასამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიები, მომავალში საფრთხის წინაშე დგება, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილების, სამხედრო პოლიგონებისა და სხვა საწარმოო ნაგავსაყრელების ტერიტორიებზე, ყოველგვარი კონტროლისა და აღრიცხვის გარეშე, მიტოვებული მაღალტოქსიკური ნარჩენები, ფეთქებადი ნივთიერებები და სხვა მავნე ნარჩენები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა სხვადასხვა სამხედრო ბაზაზე არსებული თხევადი საწვავი კომპონენტები (1000 ტ-ზე მეტი).

სერიოზულ პრობლემაა ამბროლაურის რაიონის სოფ. ურავისა და ლენტეხის რაიონის სოფ. ცანას დარიშხანის საბადოს გადამუშავების შედეგად მიღებული და ამჟამად მიტოვებული ნარჩენები. როგორც ცნობილია, ამ საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გამოიყენებოდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მიზნით. ამჟამად ამ ტერიტორიებზე მიტოვებულია 100 000 ტონამდე სამთო ქიმიური გადამუშავების ნარჩენები, რომლითაც დაბინძურებულია გარემო და, შესაბამისად, სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას.

არ არსებობს სახიფათო ნარჩენების მოქმედი სამარხი. რუსთავის მახლობლად, იაღლუჯის მთაზე, განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატების სამარხი, სადაც, არსებული ინფორმაციით, განთავსებულია 2 600 ტონამდე ტოქსიკური ნარჩენი. სამარხი 1986 წლიდან დახურულია, მაგრამ ის ძალზე ცუდ მდგომარეობაშია - არ არის შემოღობილი და დაცული ფართი, სადაც თავისუფლად გადაადგილდება პირუტყვი; მოსახლეობა სამარხიდან იღებს ლითონის ტარას. ამავე დროს უცნობია, თუ რა პროცესები მიმდინარეობს სამარხის შიგნით.

განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქიმიური ნივთიერებების საკითხი, რომლებიც ცნობილია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების - მოდ-ების სახელით. [illegible] ქტის სახით, წვისა და ზოგიერთ სამრეწველო პროცესებში. მოდ-ები განსაკუთრებით საშიშია, ვინაიდან ისინი გარემოში რჩებიან დიდი ხნის განმავლობაში მათი გამორჩეული მდგრადობის გამო; შორ მანძილზე გადაიტანებიან ბუნებრივი პროცესებით, მათი წარმოშობის ადგილიდან ათასობით კილომეტრის მოშორებითაც კი; აკუმულირდებიან ცოცხალ ორგანიზმთა ქსოვილებში, უმთავრესად, მათ მიერ მოდ-ებით დაბინძურებული საკვების, წყლისა და ჰაერის მიღების შედეგად. წამლავენ ადამიანსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, ახდენენ ფართო დიაპაზონის ტოქსიკურ ზემოქმედებას. მოდ-ების ზოგიერთი წარმომადგენლის (დიოქსინები, ფურანები) უაღრესად მცირე კონცენტრაციასაც კი შეუძლია, მნიშვნელოვნად დააზიანოს ცოცხალ ორგანიზმთა თითქმის ყველა სისტემა (პირველ რიგში - იმუნური და რეპროდუქციული), გამოიწვიოს სიმსივნური დაავადებები და ბავშვებში დამატებით - თანდაყოლილი დეფექტებიც.

**"საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების თვალსაზრისით, ერთ-ერთ სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს ნარჩენები, კერძოდ, მისი უტილიზაცია, გაუვნებლება, განადგურება, უსაფრთხო განთავსება. ეს დიდ ფინანსურ და შრომით რესურსებთან არის დაკავშირებული. არსებული მონაცემები ნარჩენების წარმოშობის, გამოყენების, გაუვნებლების, გადამუშავებისა და განთავსების თაობაზე არ არის სრულყოფილი, ვინაიდან ნარჩენების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემა ჩამოყალიბებული არ არის და 1988 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, აღრიცხვა არ ჩატარებულა. მდგომარეობას ართულებს "ნარჩენების შესახებ" კანონის არარსებობა,"** - აცხადებს გარემოს დაცვის სამინისტროს ქიმიურ ნივთიერებათა და ნარჩენების მართვის სამმართველოს უფროსი ალვერდ ჩანქსელიანი.



გლდანის ნაგავსაყრელზე "სიცოცხლე დუღს"

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## წყალი




იმის გამო, რომ საქართველოში წარმოება, პრაქტიკულად, შეჩერებულია, შემცირდა წყლის საწარმოო ჩამონადენებით დაბინძურებაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით წყლის დაბინძურება მინიმუმამდე არის დასული. საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერებულია ან მუშაობს 15-20-პროცენტიანი დატვირთვით. ერთადერთი საწარმო, რომელიც უცვლელად წარმოადგენს საფრთხეს ზედაპირული წყლებისთვის, "მადნეულია", საიდანაც წყალში სპილენძი და თუთია ხვდება. რა თქმა უნდა, წყლის ნაკლებად დაბინძურება სასიამოვნო ამბავია, მაგრამ რამდენად კარგია ის, რომ წარმოება მკვდარი, ცალკე საკითხია. ამასთან, დაბინძურების ხარისხი საქართველოს წყლებში მაინც არ არის დაბალი. ექსპერტთა მონაცემებით, მართალია, საწარმოო გზით წყლის დაბინძურება შემცირდა, მაგრამ ერთიორად არის გაზრდილი ე.წ. კომუნალური წყლების რაოდენობა, რისი ძირითადაი მიზეზიც ისევ ჩვენ - ადამიანები ვართ.

შეიძლება ეს პოლიტიკური საკითხი იყოს, მაგრამ არ შემიძლია, არ აღვნიშნო კომუნისტების მავნებლობა. საქართველოში მხოლოდ 45 ქალაქი და დასახლებული პუნქტია კანალიზებული. ამასთან, არც ერთი, მათ შორის თბილისი, არ არის სრულყოფილად კანალიზებული. ცალკე საკითხია ის, რომ ქვეყნის მასშტაბით კომუნისტებმა მხოლოდ 35 წყლის გამწმენდი დანადგარისთვის გაიმეტეს თანხა, საიდანაც 19 წყლის ბიოლოგიური წმენდისთვის იყო გათვლილი, 16 კი - ტექნიკური წმენდისთვის. მათ შორის ერთიც არ მოიძებნება სრულად გამართული. მეტიც, დღეს ფუნქციონირებს მხოლოდ 4 გამწმენდი დანადგარი, მათ შორის თბილისის, რომელიც წყალს მხოლოდ ტექნიკურად წმენდს.

რა სხვაობაა ტექნიკურ და ბიოლოგიურ წმენდას შორის? ბიოლოგიური წმენდა წყალს სრულად ათავისუფლებს მკვრივი ნაწილაკებისგან, ბაქტერიებისა თუ მიკროორგანიზმებისგან. ტექნოლოგიურად პროცესი ასეთია: დაბინძურებული (კანალიზაციიდან ჩამონადენი) წყალი გროვდება სპეციალურ რეზერვუარში, რომელსაც საშუალება აქვს, წყალს ქვედა მხრიდან ჟანგბადი შეურიოს. ეს იწვევს ჟანგვის პროცესს და ყველა მიკრობი თუ ნაწილაკი იქცევა ერთ მასად - ლამად. ამის შემდეგ წყალს სცილდება ლამი, რომელიც თერმული წესით ნადგურდება, გასუფთავებული წყალი კი მდინარეში ჩადის. ტექნიკური ანუ ზედაპირული წმენდა ნიშნავს იმას, რომ წყალს მოსცილდება მხოლოდ მკვრივი და მსხვილი ნაწილაკები და ის ელემენტები, რაც მოხვდება მხოლოდ ზედაპირზე. ანუ დავეთანხმებით ექსპერტ თამაზ ჭოლოკავას და ჩვენც ჩავთვლით, რომ წყლის ამ ტიპის წმენდა პრაქტიკულად წმენდა არ არის.

სწორედ ასე იწმინდება თბილისისა და რუსთავის კანალიზაცია, პლუს "აზოტის" ნარჩენები და შემდეგ ჩაედინება მტკვარში, სადაც, სხვათა შორის, ვთევზაობთ და ვბანაობთ ხოლმე. ამას რომ თავი დავანებოთ, წყლით ღარიბი აზერბაიჯანი სწორედ მტკვრის წყლით იკლავს წყურვილს. კიდევ კარგი, დღეს იურიდიული მექანიზმი აზერბაიჯანს არა აქვს, თორემ აუცილებლად გადაგვცემდა საერთაშორისო ტრიბუნალს. სხვათა შორის, დღემდე საქართველო არ მიერთებია ე.წ. ჰელსინკის კონვენციას "ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის შესახებ". თურქეთი შეგნებულად არ უერთდება ამ კონვენციას. ალბათ, ჩვენც...

ალსანიშნავია ის მომენტი, რომ ხსენებული 35 წყალგამწმენდიდან მხოლოდ 10-12-ის რეაბილიტირებაა შესაძლებელია, დანარჩენი თავიდან არის ასაგები. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ საქართველოში წყლის არც ერთი ბიოლოგიური გამწმენდი აღარ არსებობს, ხოლო რაც არსებობს, მისი რემონტი შეუძლებელია, საჭიროა ახალი.

შემზარავად მომეჩვენა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყალში, რომელსაც თბილისი სასმელად მოიხმარს, კანალიზაცია ჩაედინება. თამაზ ჭოლოკავას თქმით, ეს ჟინვალის, მისი მიმდებარე სოფლებისა და დასახლებული პუნქტების კომუნალური მოხმარების წყლებია. კანალიზაციის წყალი ხვდება სპეციალურ კოლექტორში, რომელიც მდინარე არაგვის გასწვრივ არის განთავსებული, კოლექტორი პერიოდულად ივსება, წყალი გადმოდის და ჩაედინება არაგვში, საიდანაც ჩვენ სასმელ წყალს ვიღებთ. საბედნიეროდ, მდინარე არაგვს ჯერ კიდევ შერჩა თვითწმენდის უნარი, ოღონდ, ჭოლოკავას განმარტებით, **"თავისუფლად შეიძლება, ხვალ მდინარემ ეს ვეღარ შეძლოს. მართალია, სანამ თქვენამდე მოვა, წყალი იფილტრება, მაგრამ სად ძლიერად დაბინძურებული წყლის ფილტვრა და სად სუფთა წყლის. ზედმეტი დაქლორვაც არ შეიძლება, აუცილებლად უკურეაქციას გამოიწვევს. ეს საკითხი არაერთხელ დავაყენეთ მთავრობის წინაშე, პარლამენტმა გადაწყვეტილებაც მიიღო, ეს პრობლემა საქართველოს გარემოსდაცვითი ეროვნულ სამოქმედო გეგმაში პირველი ნომრით ჩაიწერა. შევარდნაძემაც მოაწერა ხელი, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ წყლის გამწმედებს მილიონები სჭირდება და ამის გამო საქართველოს არც ერთი დასახლებული პუნქტი ნორმალურ წყალს არ იღებს. და ეს მაშინ, როცა მიწისქვეშა წყლებისა და, ზოგადად, წყლის მარაგის თვალსაზრისით გაცილებით ძლიერად ვართ, ვიდრე ნებისმიერი ევროპული მაღალგანვითარებული ქვეყანა,"** - აცხადებს გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების დაცვის სამმართველოს უფროსი ჭოლოკავა.

მდინარეებზე უფრო მძიმე მდგომარეობაშია ზღვები და ტბები. შავ ზღვაში, გარდა იმისა, რომ მდინარეებიდან ჩაედინება ბინძური წყალი, ხვდება პორტების სამრეწველო ნარჩენები. ამასთან, ჭოლოკავას ინფორმაციით, ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მარტო სოხუმში 4-5 სადინარის მეშვეობით ჩადიოდა კანალიზაციის წყალი. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, არავინ ხუმში ვერაფერს გააკეთებდნენ. თუმცა, ექსპერტთა ინფორმაციით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა ფოთისა და ბათუმის აკვატორიაშიც. თბილისის ზღვას დღემდე პატრონი ვერ გამოუჩნდა, იმიტომ რომ ხელისუფლებამ იგი დაახლოებით 30 სხვადასხვა პატრონს მიაქირავა, მიჰყიდა ან აჩუქა ნაწილ-ნაწილ. მხოლოდ თბილისის ტბას ჰყავს პატრონი. დანარჩენზე ხელი არავის მიუკარებია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. თბილისის ტბების გადარჩენაც კერძო ბიზნესმენების დამსახურებაა, თორემ ხელისუფლების ამარა, ლისის ტბა ლამის დაშრა. მისი აღდგენის პროცესი უკვე დაწყებულია და შევსებას კიდევ დაახლოებით ორი წელი დასჭირდება, რათა რეკრეაციული ფუნქცია აღიდგინოს.

დაბოლოს, მიწისქვეშა წყლები. საქართველო ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე ნებისმიერი ძლიერი ევროპული ქვეყანა. საქართველოს მარაგი მეცნიერული ანგარიშით შეადგენს 18 მილიარდ ტონას წლიურად, საიდანაც მხოლოდ 60 პროცენტის მოხმარებაა დასაშვები, ვინაიდან წყალი აღდგენადი რესურსია და 60 პროცენტზე მეტის ამოღების შემთხვევაში წყალი აღდგენას ვერ შეძლებს და დაშრება. 18 მილიარდის 60 პროცენტი ათ მილიარდზე მეტია, რასაც საქართველო ვერასდროს ვერ მოიხმარს. ანუ მარაგი არის, მაგრამ ამოღება შეუძლებელია, რადგან ინფრასტრუქტურა არ არსებობს, რადგან საქართველოში აქამდე არასდროს ფიქრობდნენ სახელმწიფოებრივად და... თუკი დღეს ვინმე მტკნარ წყალს იღებს მარაგებიდან, ეს ისევ კერძო კომპანიებია.

## ექსპერტები

**ქეთი გუჯარაიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა"**

"მართალია, არსებულ მდგომარეობაში გარკვეული წვლილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნამდვილად მიუძღვის, მაგრამ უსახსრო სამინისტრო ბევრს ვერაფერს გააკეთებს. სხვა თუ არაფერი, კონტროლს ხომ მაინც სჭირდება სახსრები. როცა მაკონტროლებელს 30 ლარი აქვს ხელფასი, საქმის კეთებას ვერ მოსთხოვ. ჩამი აზრით, რამდენიმე უწყების გარემოს დაცვის სამინისტროსთან გაერთიანებამაც უარესად გაართულა საქმე. გარემოს დაცვაზე ისედაც მწირი საბიუჯეტო სახსრები გამოიყოფოდა, ახლა კი, მართალია, გაერთიანებული უწყებების საბიუჯეტო დაფინანსება გაიზარდა, მაგრამ რომ გამოიანგარიშოთ, გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული თანხა შარშანდელზე ნაკლები გამოდის. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ რაღაც-რაღაცების კეთება უფულოდაც შეიძლება. მაგალითად, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დახვეწას დიდი ფული არ სჭირდება.

**ნანა ჯანაშია, არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი"**

გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობას მთლიანად ხაზს ვერ გადავუსვამთ, მაგრამ მონდომება რომ აკლია, ფაქტია. ვერც იმას ვიტყვით, რომ სახსრები არა აქვს, საერთაშორისო ინსტიტუტებიდან ხომ ახერხებენ თანხების მოზიდვას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ გარემოს დაცვა არაპრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევა. როცა სამინისტროს ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას ხედავს, მუშაობის ხალისი თვითონაც ეკარგება.

**კახა არჩიაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაკრესი"**

ჩვენი ქვეყნის გარემოს დაბინძურებაში გარკვეულწილად სახელმწიფო უწყებებს მიუძღვით ბრალი, თუმცა, ასეთი დაფინანსების პირობებში რისი გაკეთების საშუალება უნდა ჰქონდეთ? შარშან ბიუჯეტიდან გარემოს დაცვაზე 350 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. წლეულს 4 მილიონი კი გამოიყო, მაგრამ აქედან გარემოს დაცვაზე შარშანდელზე მეტი არ დარჩება. გარემოსდაცვითი გადასახადები მაინც რომ ისევ გარემოს დაცვას უბრუნდებოდეს, სამინისტრო კიდევ მოითქვამდა სულს, დღეს კი მას არანაირი რესურსი, ლაბორატორია არა აქვს, რომ ნორმალურად იმუშაოს. მხოლოდ უცხოელი დონორების იმედად როდემდე უნდა ვიყოთ?!

## ხალხი

**ზაზა მეტრეველი, 30 წლის, ინჟინერი**

არ ვიცით, რას ვჭამთ, რას ვსვამთ, რითი ვსუნთქავთ. სასმელ წყალს ქვიშა მოჰყვება, ნიადაგში იმდენი სასუქი და პესტიციდი ჩაუშვეს, არაფრის ჭამა აღარ შეიძლება. უკვე სუნთქვაც შეუძლებელია. დილის 5 საათზე თუ არ ადგები, მერე თბილისში ვეღარ ისუნთქებ.

**ნანა ნიჟარაძე, 28 წლის, ექიმი**

მართალია, ქარხნები და ფაბრიკები აღარ მუშაობს, მაგრამ სამაგიეროდ ჰაერს გაუმართავი ტრანსპორტი და ეთილიზებული ბენზინი წამლავს. სასმელ წყალს იმდენი სილა მოჰყვება, ონკანი ნახევარი საათით ადრე უნდა მოუშვა და მერე დალიო. წყალს როგორ წმენდენ, კაცმა არ იცის. საკვები პროდუქტი სასუქით ისეა დაბინძურებული, როგორ ვარსებობთ, მიკვირს. ალბათ, უკვე იმუნიტეტი გამოგვიმუშავდა.

**ნინო ნანიაშვილი, 30 წლის, პედაგოგი**

ტელევიზიიდან და პრესიდან იმდენი საშინელება გვესმის, საკვების ყიდვა აღარ მინდა. დღეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ალბათ, აღარ არსებობს. რომ გავიგე, ფონიჭალაში ბოსტნეულს კანალიზაციის წყლით რწყავენო, მთლად გადავირიე. რას აკეთებს სახელმწიფო? მარტო საკვებს ვინ ჩივის, წლის დალევისაც გეშინია ადამიანს. სამგორის რაიონში ვცხოვრობ. ონკანს რომ მოვუშვებ, ლამის ქვები მოჰყვება. "წყალკანალში" რომ დავრეკეთ, მილებია დაზიანებული, მაგრამ შესაკეთებელი ფული არა გვაქვს. საშიში არაფერიაო, ვითომ დაგვამშვიდეს. წყალსა და საკვებს ჰაერიც ემატება. ამდენი ტრანსპორტი დადის და რა ბენზინს ასხამენ, კაცმა არ იცის.

## 24-საათიანი ელექტრომომარაგება დასრულდა

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ინფორმაციით, "ენგურჰესზე" წყლის შემოდინება შემცირდა, რის გამოც სადგური სრული დატვირთვით აღარ მუშაობს. ამიტომ, თუ ორი კვირის წინ, ჭარბწყლიანობის გამო, ქვეყნის 24-საათიანი ენერგომომარაგება იყო საჭირო, ახლა ქვეყნის ენერგოსისტემა ტრადიციულ გრაფიკს დაუბრუნდა. უკვე ორი დღეა, ურჩ გადამხდელებს დენი ჩვეულებისამებრ - გადახდის ლიმიტების შესაბამისად მიეწოდებათ.

"აბონენტები ხშირად აცხადებენ, მოგვაწოდეთ დენი და გადასახადს გადავიხდითო. ბოლო რამდენიმე წელია, ქვეყანაში მსგავსი მაღალი გენერაცია არასოდეს ყოფილა. ახლა, რამდენიმე დღეში ფილიალების მიხედვით ვნახავთ და დავადგენთ, გამოიღო თუ არა დადებითი შედეგი ელექტროენერგიის შეუზღუდავად მიწოდებამ," - აცხადებენ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.

*24 საათი*

## ინვესტიციები მხოლოდ მდიდარი ქვეყნების პრეროგატივა არ არის

თორნიკე შარაშენიძე

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა უცხოური ინვესტიციები მხოლოდ განვითარებულ ქვეყანათა კომპანიების პრეროგატივა იყო. ასეთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ანგარიშიდან. ამ ანგარიშის მიხედვით, ბოლო 15 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და, ამის პარალელურად, განვითარებადი სამყაროს სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია საზღვარგარეთ ექსპანსიას ეწევა. იუენსიტიეიდი-ს პროგნოზით, ეს ტენდენცია ახლო მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება.

2003 წლის მონაცემების მიხედვით, განვითარებადი სამყაროს მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა ტოტალური კაპიტალდაბანდებების ერთი მეათედი შეადგინა. განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდათ სამხრეთ კორეის, მალაიზიისა და სინგაპურის კომპანიებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრდნენ მსოფლიო ბაზარზე. მათ ცოტა ხნის წინ გაუთანაბრდნენ ჩილეს, მექსიკისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლები. ხოლო ბრაზილია, ჩინეთი და ინდოეთი ეს-ეს არის სტარტს იღებენ.

ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი ქვეყანა თავის დროზე უცხოური კაპიტალისათვის და, შესაბამისად, განვითარებული სამყაროს კომპანიებისათვის, იაფი მუშახელისა და ხელმისაწვდომი ნედლეულის თვალსაზრისით, მიმზიდველად იქცა. მაგრამ საბოლოო ჯამში უცხოურმა ინვესტიციებმა ეს ქვეყნები ისე მოაძლიერა, რომ მათი კომპანიები ადგილობრივი ბაზრებით აღარ კმაყოფილდებიან და განვითარებული სამყაროსაკენ იყურებიან. მაგალითად, ინდური ფარმაცევტული გიგანტი "რანბაქსი" ამერიკული კონკურენტი ფირმის შესყიდვას გეგმავს. რუსული "ლუკოილი" ევროპასა და აშშ-ში ფილიალებს ხსნის. გასულ თვეში ტაივანელი ბიზნესმენი ინგლისური საფეხბურთო კლუბის, "ლივერპულის" აქციათა საკონტროლო პაკეტს ყიდულობდა. რომან აბრამოვიჩის მიერ "ჩელსის" ხელში ჩაგდების ხსენება კი, ალბათ, აღარ არის საჭირო.

სამართლიანობისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი მაღალი ტექნოლოგიების სფეროსგან საკმაოდ შორს დგას და უფრო მოძველებულ დარგებს განეკუთვნება. მაგრამ სპეციალისტთა ვარაუდით, ესეც დროის საქმეა. მით უმეტეს, რომ სამხრეთ კორეისა და მალაიზიის კომპანიებს ამ მხრივ უკვე სერიოზული წარმატებები აქვთ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** 18 აგვისტოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიამ (FMO) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რის შემდეგაც ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის მთლიანი ლიმიტი "საქართველოს ბანკში" 15.5 მლნ ევროს მიაღწევს. საქართველოს საბანკო სისტემაში ეს ყველაზე დიდი ლიმიტია, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ვაჭრობის ხელშეწყობის ფარგლებში ერთ ბანკზე არის დაშვებული. ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის ლიმიტი გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიამ გამოთქვა სურვილი, მიელო პროგრამაში წილობრივი მონაწილეობა 5 მლნ ევროს ოდენობით. ეს ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კორპორაციის მიერ გახსნილი პირველი საკრედიტო ხაზია საქართველოში. **მედია-ნიუსი**

# მთავრობა ბათუმშია

*გუშინ საღამოს ბათუმში, საქართველოს მთავრობის გასვლით სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად გაემგზავრა. მთავრობის წევრები რეგიონში ერთ კვირას დაჰყოფენ. ამ პერიოდში გაიმართება მთავრობის სხდომები. ხელისუფლებმა აჭარის მზიან სანაპიროზე 20-მდე საკითხი, მათ შორის, აჭარაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტული ინფრასტრუქტურის მომავალი პრივატიზაციისთვის მომზადების საკითხები უნდა განიხილონ. მთავრობის წევრები ბათუმის სხდომაზე ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებითაც აპირებენ მსჯელობას. სხდომას, სავარაუდოდ, პრეზიდენტიც დაესწრება.*

აჭარაში გუშინ პირველები პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი და სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძე გაფრინდნენ და ხელვაჩაურის რაიონს, მაჭახელის ხეობას ეწვივნენ.

პრემიერ-მინისტრმა სოფელ აჭარისწყალში ღვთისმშობლის სახელობის კარის მშენებარე ეკლესია დაათვალიერა, რომელსაც აქაური მცხოვრებლები რეპრესირებულთა სულების მოსახსენიებლად აშენებენ.

ჟვანია აქ მოსახლეობას შეხვდა და მათ სოციალური პირობების გაუმჯობესებას დაჰპირდა. მისი თქმით, ხეობის სოფელ ქეთქეთში უნდა აღდგეს საშუალო სკოლა, რომელიც დაახლოებით ოთხი თვის წინ დაიწვა. ასევე, უნდა აღდგეს მაჭახელის ჰესი, რომელიც ელექტროენერგიით ოთხ სოფელს ამარაგებს.

პრემიერი ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც სკოლის, ასევე მაჭახელის ჰესის რეაბილიტაციას შეჰპირდა.

ჟვანიამ სოფელ ჩხუტუნეთში მდებარე მაჭახელის მხარეთმცოდნეობის ისტორიული მუზეუმიც დაათვალიერა. ჟვანიას ალტაცება დაიმსახურა თოფმა "მაჭახელა", რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამზადებს. ადგილობრივებმა, რომელთაც მთავრობის წარმომადგენლები თავიანთ სოფელში არასდროს უნახავთ, პრემიერს სახელდახელო კონცერტი მოუწყვეს.

მაჭახელის ხეობის მოსახლეობამ პრემიერს თურქეთ-საქართველოს საზღვარზე ახალი საგუშაგოს გახსნაც სთხოვა, რათა საზღვარს იქით დარჩენილი ნათესავების ნახვა შეძლონ. პრემიერმა მათ დახმარება აღუთქვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ განაცხადა, რომ მალე ამ ხეობაში თაფლის კომბინატი ამოქმედდება.

ხეობის განთქმულ თაფლს, სახელწოდებით "მაჭახელა", ევროკავშირის ქვეყნებში გაიტანენ. შერვაშიძის თქმით, ევროკავშირის ქვეყნებთან ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და პროექტი უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მოგვიანებით, პრემიერი ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციაში გაემგზავრა, სადაც იგი ბათუმში ვიზიტისას უნდა დაბინავდეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, გამსვლელ სხდომაზე მთავრობის წევრები დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებსაც - გურიასა და სამეგრელოს მოივლიან.

რაც შეეხება მთავრობის მიერ განსახილველ საკითხებს, მათ შორისაა აჭარაში დაგეგმილ პრივატიზაციასთან და რეგიონში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემები.

შეგახსენებთ, რომ აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურის რამდენიმე ობიექტის (ბათუმისა "ინტურისტი", ბათუმის "ივერია", ქობულეთის "კოლხეთი", ჩაქვის "ოაზისი") გასაყიდად პირველი აუქციონი ბათუმში 15 სექტემბერს გაიმართება.

*24 საათი*

# ბათუმში ახალ კოდექსზე ისაუბრებენ

*გასულ ოთხშაბათს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ახალი საგადასახადო კოდექსის პრეზენტაციას გეგმავდა, თუმცა ცხინვალში განვითარებულმა მოვლენებმა პრეზენტაციის თარიღი გაურკვეველი ვადით გადადო. საგადასახადო კოდექსის შესახებ აჭარაში ჩასულმა პრემიერ-მინისტრმა დღეს, მთავრობის გასვლით სხდომაზე უნდა იმსჯელოს.*

მარიამ ჯაჭვაძე

ორიოდე თვის წინ, საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციისას, მთავრობა საზოგადოებას დაჰპირდა, რომ უახლოეს ხანებში კანონპროექტის ტექსტს საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნებდა. ამ დანაპირების შესრულებას ფინანსთა სამინისტრო საკუთარ ვებ-გვერდზე კანონპროექტის ტექსტის გამოქვეყნებით შეეცადა, მაგრამ ეს ტექსტი იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა დეკლარირებული საგადასახადო ლიბერალიზაციის პრინციპებისგან, რომ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იძულებული გახდა, ფინანსთა მინისტრის შემოქმედება მხოლოდ დისკუსიის მაპროვოცირებელ ნაბიჯად მოენათლა.

სხვათა შორის, ფინანსთა სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულმა საგადასახადო კოდექსის ტექსტმა მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, მეწარმეების სერიოზული უკამყოფილება გამოიწვია.

მას შემდეგ, დაინტერესებული საზოგადოება, რომლის ძირითადი ნაწილი ბიზნესმენები და მცირე და საშუალო მეწარმეები არიან, საგადასახადო კოდექსის პროექტის გამოქვეყნებას მოუთმენლად ელის. მათ უმრავლესობას საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, დაახლოებით, ასე წარმოუდგენია: **"მთავრობამ ისეთი კოდექსი უნდა წარმოგვიდგინოს, რომ მის წაკითხვა და აღქმა იოლი იყოს, გასაგები და მარტივი ენით უნდა იყოს დაწერილი. კოდექსში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა გადასახადებით იბეგრება მეწარმე, ბიზნესმენი და ის საგადასახადო ინსპექტორს საშუალებას არ უნდა აძლევდეს, კოდექსის მუხლებს საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს. და კიდევ, ახალი კოდექსის თანახმად, სახელმწიფო და მეწარმე თანასწორ პირობებში უნდა იყვნენ,"** - გვითხრა ერთ-ერთი სუპერმარკეტის მფლობელმა ჯუმბერ რეხვიაშვილმა.

პარლამენტართა ერთმა ნაწილმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ მათ ჯერ კიდევ არ მიუღიათ პროექტის ტექსტი, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ტექსტის გაცნობის "ბედნიერება" ხვდა წილად, ოფიციალურ პრეზენტაციამდე კოდექსის შინაარსზე საუბრისგან თავს იკავებს.

მინისტრთა კაბინეტი საგადასახადო კოდექსის საბოლოო ვარიანტს, სავარაუდოდ, დღეს წარმოადგენს. ტრადიციულად, მთავრობის მაღალჩინოსნები კოდექსის დეტალებს არ ახმაურებენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ კოდექსში გადასახადების სახეები (9 სახის გადასახადი) და საგადასახდო განაკვეთები უცვლელი რჩება, ანუ, წინასწარი ინფორმაციით, ახალი კოდექსი სოციალური გადასახადების 33 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, ხოლო საშემოსავლო გადასახადის 18-დან 12 პროცენტამდე შემცირებას ითვალისწინებს.

მოკლედ, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ამ ორიოდე თვის წინ "მეტეხში" შეკრებილმა მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა კოდექსის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციაზე წარმოადგინა.

გარდა ამისა, უნდა ამოქმედდეს საგადასახადო ომბუდსმენის პოსტი და საგადასახადო არბიტრაჟი, რომელიც გადასახადების გადამხდელთა და სახელმწიფო უწყებას შორის არსებულ დავებს დაარეგულირებს. არბიტრაჟის ინსტიტუტის შექმნას ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე "ფანტასტიკური ინსტიტუტად" და "რევოლუციურ იდეად" აფასებს. ბენდუქიძის თქმით, **"არბიტრაჟის შემოღება თანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებს გადამხდელსა და საგადასახადო ადმინისტრაციას. არბიტრაჟში დავების გადაწყვეტა არაუმეტეს ორ თვეში განხორციელდება, რაც გაუგებრობების მოგვარების სწრაფ და მარტივ წესს უზრუნველყოფს."** კოდექსის საკვანძო იდეად კი ბენდუქიძე დაჩქარებული ამორტიზების ინიციატივას მიიჩნევს, **"რაც ყველა სახის განვითარებად ბიზნესს წაახალისებს. ეს რეჟიმი არგადამხდელებისთვის სხვადასხვა საბაბით გადასახადის გადავადებას შეზღუდავს. შესაბამისად, მოიხსნება საგადასახადო შეღავათები დარგების მიხედვით, რაც მეწარმეებს არათანაბარ პირობებში აყენებდა."**

შევა თუ არა ეს უკანასკნელი, არცთუ უმნიშვნელო სიახლე ახალ კოდექსში, დღეს გამოჩნდება.

სხვათა შორის, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების კიდევ ერთ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდსაც, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, რომ ქვეყანაში საგადასახადო რეფორმა არა უცებ, არამედ სამი წლის მანძილზე განახორციელოს. სავალუტო ფონდი საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირებითაც არ იყო კმაყოფილი. თუმცა, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის განცხადებით, ეს რეკომენდაციები არ წარმოადგენს აუცილებელ, მკაცრ პირობას ფონდის პროგრამების გასაგრძელებლად. შესაბამისად, ის არც ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებას შეაფერხებს, თუ მთავრობის შიგნით საგადასახადო კოდექსის კონცეპტუალურ საკითხებზე შეთანხმება დროულად მოხერხდა.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სავალუტო ფონდიდან მკაცრი წერილის მიღებამდე, საგადასახადო კოდექსის შეფასებისას მთავრობის ეკონომიკური ბლოკი ერთსულოვანი იყო. მას შემდეგ, რაც ეკონომიკის მინისტრმა სავალუტო ფონდი ამ წერილის გამო მკაცრად გააკრიტიკა და მთავრობის მხრიდან ფონდის პოზიციის გაზიარების შემთხვევაში თანამდებობის დატოვებით დაიმუქრა, კოდექსის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მიწყნარდა.

ასეა თუ ისე, მთავრობის მიერ შემუშავებულ ახალ საგადასახადო კოდექსს საზოგადოება დღეს, ბათუმში გაეცნობა.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 18 თვე

პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ქავთარაძის გამზ. 58



# ეუთო-ს საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს?

### რუსეთი ორგანიზაციის რეფორმირებას ითხოვს

ნიკა თარაშვილი

ეუთო-ს საქმიანობა და მისი მონიტორინგის ჯგუფების კრიტიკა, როგორც ჩანს, უკვე ყელში ამოუვიდა რუსეთს. სხვათა შორის, არა მარტო რუსეთს, ეუთო-ს დამკვირვებელთა მხრიდან რეალური სურათის დაფიქსირება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ბევრ ლიდერს აღიზიანებს.

გუშინ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება გაისმა იმის შესახებ, რომ მოსკოვი აღნიშნული ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს სახელზე მიმართვას ამზადებს ორგანიზაციის რეფორმირების ინიციატივით. "ინტერფაქს"-ის ცნობით, ამის შესახებ სერგეი ლავროვმა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე განაცხადა. "ჩვენ ვამზადებთ მიმართვას ეუთო-ს ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსთვის, რათა კონსტრუქციული ცვლილებების შედეგად ორგანიზაცია ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით, რეალურად ეფექტიანი გავხადოთ," - ამბობს ლავროვი.



*სერგეი ლავროვის აზრით, ეუთო დღევანდელ გამოწვევებს ვერ პასუხობს*

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ივლისში დსთ-ს წევრებმა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობა მძაფრად გააკრიტიკეს. მაშინ ერთობლივი განცხადებაც გაკეთდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეუთო-მ ეფექტურობა დაკარგა, რადგანაც ვერ შეძლო ცვალებადი მსოფლიოს მოთხოვნებთან ფეხის აწყობა. სხვათა შორის, ერთადერთი, ვინც ივლისში აღნიშნულ ერთობლივ განცხადებას ხელი არ მოაწერა, საქართველო იყო.

ასეთი ერთიანობა დსთ-ს სივრცეში დიდი ხანია, არ ყოფილა. მაგრამ ეს სულაც არ არის უჩვეულო. დსთ-ს ლიდერების საერთო აღშფოთება სავსებით ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროს არაერთხელ გამხდარა ეუთო-ს კრიტიკის ობიექტი არადემოკრატიული არჩევნების, ადამიანის უფლებათა დარღვევისა თუ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო.

უკმაყოფილო ქვეყნების კრიტიკას ყველაზე მეტად ორგანიზაციის ე.წ. საველე საქმიანობა იმსახურებდა. განცხადების ავტორთა აზრით, ეუთო მხოლოდ "ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების სფეროში ვითარების მონიტორინგით" იფარგლება.

ამასთანავე, მხარეთა გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მისიათა ხელმძღვანელები უშვებენ "გაუმართლებელ კრიტიკას" ადგილსამყოფელი ქვეყნების მთავრობათა პოლიტიკის მისამართით. განცხადებაში ნათქვამია, რომ "ხშირად დაცული არ არის "ჰელსინკის ხელშეკრულების" ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა".

მაშინდელი განცხადების ინიციატორი და სულისჩამდგმელი რუსეთი იყო. მოსკოვს შეუძლია, იამაყოს ეუთო-ს წინააღმდეგ ასეთი მძლავრი ფრონტის ჩამოყალიბებით. თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, ამ წარმატების მიზეზი პოსტსაბჭოთა სივრცეში არა იმდენად რუსეთის გავლენის გაზრდაა, არამედ დსთ-ს სივრცეში ეუთო-ს მნიშვნელობის აშკარა შემცირება. რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ან უკვე "მთავარ დასავლურ კლუბებს", ნატო-სა და ევროკავშირს ანიჭებენ უპირატესობას, ან საერთოდ არ სურთ დასავლური წესებით თამაში. თავად დასავლეთის განვითარებული ქვეყნები კი სწორედ აღნიშნული მთავარი კლუბების რეფორმირებით არიან დაკავებული.

შესაძლოა, 21-ე საუკუნეში "ჰელსინკის ხელშეკრულებით" განსაზღვრული პრინციპებიცა და მათ დარღვევაში დადანაშაულებაც ანაქრონიზმად ჟღერდეს. უცნაურია 1975 წლის შემაჯამებელ აქტზე აპელირება, როდესაც ევროპის საზღვრების ასეთი ცვლილებაა სახეზე, მას შემდეგ, რაც კოსოვოსა და ერაყის მოვლენებს ჰქონდა ადგილი, ანუ მსოფლიოში სიტუაცია სრულიად შეიცვალა. რუსების აზრით, დღევანდელ რეალობაში აღარ რჩება ეუთო-ს მოქმედებისათვის შესაბამისი ნიშა.

ერთი კი ფაქტია. ორგანიზაციის არაადეკვატურობაზე მითითებისას, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დსთ-ს ქვეყნებს უფრო მეტად დემოკრატიულს ვერ გახდის ეუთო-ს მხრიდან ზოგიერთი ლიდერისათვის უკვე საკმაოდ მობეზრებული "ჭკუის სწავლების" შეწყვეტა. თუმცა, დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა უმრავლესობისთვის სულაც არ არის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება უპირველესი მიზანი.

# იაპონია - გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის პრეტენზიით

საზაფხულო არდადეგების დასრულების შემდეგ, პირველივე სამუშაო დღეს, იაპონიის პრემიერ-მინისტრი საინტერესო განცხადებას აკეთებს ქვეყნის სამომავლო გეგმების შესახებ. გაერო-ს გენერალური ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძუნიშირო კოიძუმი თავისი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად გახდომის საკითხის გატანას აპირებს. მისი განცხადებით, უშიშროების საბჭოში შემავალ წევრთა რაოდენობის გაზრდა გაერო-ს რეფორმირების დღის წესრიგში უმთავრესი პუნქტი უნდა იყოს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით უშიშროების საბჭო ხუთი ბირთვული წევრი-სახელმწიფოსაგან - დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და საფრანგეთი - შედგება. კოიძუმის აზრით, იაპონიას, "ამოცანის სირთულის" მიუხედავად, მისი შესრულების უნარი ნამდვილად შესწევს.

მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივნის ხიროუკი ხოსოდას განცხადებით, ტოკიო მზადაა "იაპონიის კონსტიტუციის ფარგლებში საკუთარ თავზე აიღოს ის მძიმე ვალდებულება, რასაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობა აკისრებს მასში შემავალ სახელმწიფოებს".

ცოტა ხნის წინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა იაპონიას მიუთითა, ყურადღება



*ძუნიშირო კოიძუმი თავისი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად გახდომას აპირებს.*

მიექცია კონსტიტუციის შეცვლის საკითხისთვის, თუკი მათი ამბიცია, მოიპოვონ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი, სერიოზულია.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი კოიძუმი, რომელმაც მიაღწია იმას, რომ იაპონიის საჯარისო კონტინგენტი ჩართული იქნა ერაყში საერთაშორისო ძალებში, სავსებით რეალურად მიიჩნევს ამ ეტაპზე იაპონიისთვის ამგვარი ნდობის გამოცხადებასაც. მისი აზრით, იაპონიას ამჟამინდელი კონსტიტუციის ფარგლებშიც საერთაშორისო ასპარეზზე თავისი წვლილის შეტანა, როგორც უშიშროების საბჭოს წევრს, დანამდვილებით შეუძლია.

*24 საათი*

# მორიგი სკანდალი ბრიტანეთის უსაფრთხოებაში

ლევან ბელაშვილი

ბრიტანული გაზეთის "The Sun"-ის ჟურნალისტი ენტონი ფრენსი ყალბი დოკუმენტებით ბირმინგემის აეროპორტის სატრანსპორტო სამსახურში მოეწყო. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მან ავია-ლაინერ Boeing-757-ის გემბანზე ნაღმის მულიაჟი დაამონტაჟა. თვითმფრინავში ამ დროისათვის 220 მგზავრი იმყოფებოდა.

ფრენსის გამოძიების შედეგები გაზეთმა "The Sun" სამშაბათს გამოაქვეყნა. ჟურნალისტი სატრანსპორტო სამსახურში მებარგულად მუშაობდა და უშუალოდ ბარგის თვითმფრინავში ჩატვირთვა ევალებოდა. იმ მომენტში, როდესაც იგი საბარგო განყოფილებაში მეთვალყურეობის გარეშე აღმოჩნდა, თვითმფრინავის კედელზე ნაღმი დაამონტაჟა და მის გვერდით სურათიც გადაიღო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბრიტანეთის ხელისუფლებამ ქვეყნის აეროპორტებში უსაფრთხოების სისტემების დაუყოვნებლივი გამოძიება მოითხოვა.



*ბრიტანელმა ჟურნალისტმა ფეხსაცმელში დამალული ნაღმი თვითმფრინავის კედელზე დაამაგრა*

უნდა აღინიშნოს, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ალ ქაიდას მუქარით სავსე განცხადებები, რომელიც ინტერნეტის საშუალებით გადაიცა, სწორედ დიდი ბრიტანეთის რამდენიმე მსხვილი აეროპორტის მისამართით იყო გაკეთებული. გარკვეული ხნის მანძილზე ბრიტანეთის სპეცსამსახურები აეროპორტებში უსაფრთხოების გაძლიერებულ ზომებს მიმართავდნენ, თუმცა ამ ფაქტმა თვითმფრინავი "ვითომ ტერორისტისაგან" მაინც ვერ დაიცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა სულ რაღაც 200 გრამს იწონიდა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აფეთქების შედეგად ლაინერისაგან მხოლოდ რკინის ნამსხვრევები თუ დარჩებოდა. ხელოვნური ნაღმი ლაინერის საწვავის ავზების კედელზე იქნა დამაგრებული.

სამსახურებრივი მოწმობა, რომელიც ჟურნალისტმა მიიღო, მას უფლებას აძლევდა აეროპორტის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი თანამშრომლის თანხლებით შესულიყო. თუმცა, ამ გარემოებას მისთვის ამოცანის განხორციელებაში ხელი არ შეუშლია.

მეტიც, ფრენსი წერს, რომ ნაღმზე მეტალოდეტექტორი ამუშავდა, მაგრამ დაცვამ იგი მას შემდეგ გაატარა, როდესაც ჟურნალისტმა განმარტა, რომ მის ფეხსაცმელებს ცხვირში ლითონის ფირფიტები ჰქონდა.

ნაღმი, რომელიც ჟურნალისტმა დაამონტაჟა, ორჯერ მცირე იყო იმ ნაღმთან შედარებით, რომლის ამუშავების შედეგადაც 1988 წლის დეკემბერში ლოკბერის თავზე თვითმფრინავი აფეთქდა. აღნიშნულმა ტერაქტმა ლაინერის 259 მგზავრი და ლოკბერის 11 მცხოვრები შეიწირა.

"მე რომ უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი რიგითი ტერორისტი ვყოფილიყავი, თავისუფლად შევძლებდი ჰაერში 220 ბრიტანელი მგზავრისა და მიწაზე ასობით ადამიანის განადგურებას," - აცხადებს ჟურნალისტი.

მსგავსი სკანდალი დიდ ბრიტანეთში პირველი არ გახლავთ. 2003 წლის ნოემბერში ბრიტანული გაზეთის Daily Mirror-ის მიმომხილველი ყალბი დოკუმენტებით ბუკინგემის სასახლეში ლაქიად მოეწყო. მისი სამსახურში აყვანა აშშ-ს პრეზიდენტის დიდ ბრიტანეთში ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა.

რაიან პერი ბუკინგემის სასახლის საიტზე ორი თვის მანძილზე გამოქვეყნებულ განცხადებას გამოეხმაურა. ყალბი დოკუმენტების, კერძოდ კი რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, რომლის სისწორეც არავის გადაუმოწმებია, იგი სამსახურში მიიღეს. ჟურნალისტი თავისი ნამდვილი სახელით და გვარით მუშაობდა, მაგრამ დაცვის ვერც ერთი წევრი ვერ მიხვდა, რომ პერი ჟურნალისტია.

სკანდალი მას შემდეგ ატყდა, როდესაც რაიან პერიმ ორი თვის მუშაობის თავზე თავისი აღიარება საჯაროდ გამოაქვეყნა. მისივე თქმით, მას ინგლისის დედოფლის, ჯორჯ ბუშის, კონდოლიზა რაისისა და კოლინ პაუელის მოწამვლა არაერთხელ შეეძლო, რომლებსაც იგი სადილის დროს ემსახურებოდა.

# ამერიკელები ერაყში აკრძალულ იარაღს იყენებენ

ბაღდადში რადიკალი შიიტი ლიდერის მოქთადა ას-სადრის წარმომადგენლის, აბდელხადი დარაჯის განცხადებით, ამერიკელი სამხედროები ნაჯაფში აკრძალულ იარაღს - კასეტურ ჭურვებსა და გაზის ხელყუმბარებს იყენებენ.

"აშშ და ერაყის დროებითი მთავრობა სადამ ჰუსეინს იმაში ადანაშაულებდა, რომ ქურთულ ქალაქ ხალაბაჯაში მან ქიმიური იარაღი გამოიყენა. თუმცა, თავად სადამისაგან როდი განსხვავდებიან, როდესაც კასეტურ ჭურვებსა და გაზის ხელყუმბარებს იყენებენ," - განაცხადა ას-სადრის წარმომადგენელმა.

იმ ფაქტს, რომ ამერიკელები ვადი ას-სალიამის შიიტურ სასაფლაოზე შეფარებულ "მაჰდის არმიის" მებრძოლთა წინააღმდეგ ჟენევის კონვენციით აკრძალულ კასეტურ ჭურვებს იყენებენ, სხვა ერაყული წყაროებიც ადასტურებს.

უბრალო ერაყელი მოქალაქეები აღშფოთებული არიან იმ ფაქტითაც, რომ ამერიკელი ჯარისკაცები დაღუპულ ერაყელთა კუბოებს ყოველგვარი მორიდების გარეშე ხსნიან და ამოწმებენ. ნაჯაფში კოალიციური ჯარების ერთ-ერთი დანაყოფის ხელმძღვანელი ამას ერთადერთი მიზეზით ხსნის, რომ ხშირად კუბოებით ვადი ას-სალიამის სასაფლაოზე გამაგრებულ "მაჰდის არმიის ბოევიკებს" იარაღით ამარაგებენ.

რაც შეეხება ას-სადრის ადგილსამყოფელს, რომელიც კარგა ხნის მანძილზე საჯაროდ არ გამოსულა, დარაჯი აცხადებს, რომ იგი მათი ლიდერი დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაჯაფის ან სულაც ერაყის ტერიტორიას დატოვებს. შიიტი ლიდერის წარმომადგენლის მტკიცებით, ას-სადრის მომხრეები ნაჯაფისა და ერაყის სხვა რაიონებში წმინდა ადგილების დაცვას შემდგომშიც განაგრძობენ, ხოლო მათი ბრძოლა "ამერიკული საოკუპაციო ძალებისა და მათი ერაყელი აგენტების წინააღმდეგ მანამ გაგრძელდება, ვიდრე ოკუპანტები ერაყის ტერიტორიას არ დატოვებენ".

## ორი სიტყვით

**იაპონია.** ძლიერი ქარიშხალი, სახელად "აერე" იაპონიის სამხრეთ ნაწილში კუნძულ მიიაკოს დაატყდა თავს. სტიქიამ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო უკანასკნელი მონაცემებით დაშავებული იყო 4. ევაკუაციის შესახებ შეტყობინება ათასობით მოქალაქემ მიიღო. სტიქიამ იაპონიიდან ტაივანში გადაინაცვლა, რის გამოც ამ უკანასკნელმა გაურკვეველი ვადით გადადო კუნძულის სამხრეთ ნაწილში უკვე დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები. მეტეოროლოგიური ბიურო დამამშვიდებელ პროგნოზებს ვერ აკეთებს. მისი პროგნოზით, მოსალოდნელია ე.წ. ორმაგი ქარიშხლის ეფექტი, რაც შედეგად მოჰყვება ტროპიკული ციკლონის "აერესა" და გუამის მხრიდან ქარიშხალ "ჩაბას" შერწყმას. ციკლონ "აერეს" ცენტრში ქარის სიჩქარე საათში 200 კმ-ს აღწევს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**თურქმენეთი.** თურქმენეთის მეჯლისში ქვეყნის სამუდამო პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის კიდევ ერთი "შედევრის", "რუჰნამას" მეორე ტომის კოლექტიური კითხვა გაიმართა. წიგნის კითხვაში პარლამენტის დეპუტატებმა, მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწეებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებმა მიიღეს მონაწილეობა. დარბაზი "ყურადღებით, სულგანაბული ისმენდა წიგნის ყოველ სიტყვას, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს წარმოდგენას თურქმენთა უსაზღვრო სულიერ სამყაროზე, მათ ზნეობრივ მცნებებსა და ბრძნული ცხოვრების ტრადიციებზე," - მოგვითხრობს თურქმენეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო. საქმე ის არის, რომ "რუჰნამა" მხოლოდ წიგნი კი არა, ამავდროულად მთელი ქვეყნისა და მისი თითოეული მცხოვრების სამოქმედო პროგრამაა. ბოლო სამი წლის განმავლობაში "რუჰნამა" რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იაპონურ, არაბულ, უკრაინულ, ლიტვურ, ბელორუსულ, ჩინურ, პოლონურ, ფარსის, ყაზახურ, ჩეხურ, თურქულ, ყირგიზულ, ჰოლანდიურ და ზულუსთა ენებზე გამოიცა. მისმა საერთო ტირაჟმა მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა. **24 საათი**

■ ■ ■

**ისრაელი.** ისრაელის სამხედრო მოსამსახურეებმა გუშინ პალესტინის რადიკალური დაჯგუფების "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" ლიდერი ადნან აბაიათი ბეთლემში დააკავეს. ოპერაციის მსვლელობისას აღმოჩენილი იქნა იარაღის იატაკქვეშა სამალავი. 28 წლის აბაიათთან ერთად დაკავებულ იქნა მისი ძმაც რათები, რომელიც ასევე "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" აქტივისტია. ისრაელის სამხედრო უწყების ინფორმაციით, ორივე დაკავებულზე ძებნა იყო გამოცხადებული. პალესტინის რადიკალური დაჯგუფების ორივე წევრი რამდენიმე კვირის განმავლობაში იმალებოდა მალტელთა ორდენის მფლობელობაში არსებული ქრისტიანული საავადმყოფოს სამრეცხაოში. ისრაელის ხელისუფლება ადნან აბაიათს ბრალს დებს მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე განხორციელებულ ტერაქტთა სერიაში, რომელმაც ისრაელის 8 მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. **იტარ-ტასი**


კოდი 04-ლ-01

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს   კ ო ნ კ უ რ ს ს**

**სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაის სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს და დააფინანსოს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები 2004 წლის ბოლომდე. კონკურსის ამოცანაა სტიმულირება გაუწიოს ახალი ნაწარმოებების შექმნას, თარგმნას და გამოქვეყნებას, გაზარდოს საზოგადოების ინტერესი ლიტერატურის მიმართ და დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნილება თანამედროვე და მაღალმხატვრული კრიტერიუმების შესაბამისი სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე.

**კონკურსის პირობები:**
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს და შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში გამომავალ ნებისმიერ სალიტერატურო პერიოდულ ორგანოს (ჟურნალი, გაზეთი), ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერ`ძო და იურიდიულ პირებს და საინიციატივო ჯგუფებს.Mმონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას ჟურნალის (გაზეთის) გამოცემის გეგმა 2004 წლის ბოლომდე.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*



**"ეი-ი-ეს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**26 აგვისტოს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფლების კიკეთისა და კოჯრის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს

**26 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
მუხიანის I და II მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**27 აგვისტოს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელ კიკეთის მაცხოვრებლებს

# "წონიანი" მგზავრების დროებითი გასეირნება

*გუშინ "რესპუბლიკის" მოედანი დევნილთა ხალხმრავალ აქციას გადაურჩა. მართალია, თბილისის პრემიერისა და დევნილთა და განსახლების მინისტრის თხოვნამ "თელასზე" ვერ გაჭრა, სამაგიეროდ, მერიამ მოიფიქრა გამოსავალი - სასტუმროს დაცლამდე "ივერიას" გენერატორით გაანათებენ. დევნილთათვის სინათლის პრობლემის მოგვარების შემდეგ კი, ქალაქის მთავრობამ ჰოლანდიიდან ახლად ჩამოყვანილი 20 ავტობუსიდან ერთ-ერთი მათგანით გაისეირნა და ფრიად ნასიამოვნებიც დარჩა.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის მთავრობამ გუშინდელი საქმიანობა "ივერიის" შესახებ გავრცელებული ჭორების გაფანტვით დაიწყო. **"გაჩნდა დეზინფორმაცია, თითქოს "ივერიაში" ელექტროენერგია ეთერ ასტემიროვამ სპეციალურად გამოართვევინა. მე და ქალბატონი ეთერი ერთად შევხვდით "თელასის" გენერალურ დირექტორს და სინათლის ჩართვა ვთხოვეთ. "ივერიის" მობინადრეთა პრობლემას გენერატორის საშუალებით მოვაგვარებთ. ლიფტიც იმუშავებს, რომ მოსახლეობამ ავეჯის ჩამოტანა შეძლოს,"** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე ქალაქის პრემიერმა. იგი დევნილებს სამომავლოდ დასაქმებასაც ჰპირდება. "ივერიის" (რომელსაც, როგორც კულუარებში ამბობენ, სავარაუდოდ, "ჰეიეტი" დაერქმევა) მშენებლობისას, უპირველესად, სასტუმროში მცხოვრებ დევნილებს დავასაქმებთო, გვარწმუნებს ბრეგაძე.

ბრიფინგის შემდეგ კი პრემიერმა, უკვე მერსა და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, მერიიდან ორთაჭალის ავტოსადგომისკენ გადაინაცვლა. ქალაქის მთავრობას ტრანსპორტის საქალაქო სასმახურის უფროსმა ზურაბ ჩიქვილაძემ ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი ლურჯ-ყვითელ ფერებში გაწყობილი ავტობუსები დაახვედრა. ეს ავტობუსები 9 წლის ხანდაზმულობის მაინც ყოფილა, მაგრამ ჰოლანდიის გზებისა და მძღოლების ხელში ახალთახალივით გამოიყურებოდა. თანაც, გაუახლებიათ კიდეც. ტრანსპორტის საქალაქო სამახურმა ჰოლანდიიდან 20 ასეთი ავტობუსი ჩამოიყვანა. ეს ავტობუსები რუსთავიდან თბილისში მომავალ მგზავრებსაც ძალზე წაადგება. ისინი ორნაირი მარშრუტით ივლიან. №55 ავტობუსის მარშრუტი ასეთია - ორთაჭალის სადგური-რუსთაველი-ვაკე-უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი; უკან კი ეს ავტობუსი საბურთალოს გზით მობრუნდება, რუსთაველს გაივლის და სადგურში დაბრუნდება. №5 ავტობუსი კი სადგურიდან რუსთაველზე გავა და საბურთალოს გავლით მაღლივ კორპუსამდე მივა; უკან კი ვაკე-რუსთაველით დაბრუნდება სადგურში. წლის ბოლომდე მერია კიდევ 130 ასეთი ავტობუსის ჩამოყვანას აპირებს.



ქალაქის მთავრობა ახალი ავტობუსებით ნასიამოვნები დარჩა.

ვახო ბესელიას ფოტო

41-35 რბილი, კომფორტული სკამი, კრიალა იატაკი, ავტობუსის ფერებში გამოწყობილი მძღოლები (ლურჯი პერანგებითა და ყვითელი ჰალსტუხებით. თუმცა, როგორც მძღოლები გამოგვიტყდნენ, ეს ჰალსტუხები მთავრობის საპატივცემულოდ გაუკეთებიათ. ამ სიცხეში, ჩემმა მტერმა წაიჭირა ჰალსტუხიო) - ეს ყველაფერი თბილისის ხელმძღვანელებს ისე მოეწონათ, მიუხედავად იმისა, რომ ავტობუსში კონდიციონერი ჩართული არ იყო (ისე, კონდიცირება გათვალისწინებული ყოფილა), ავტობუსიდან ჩამოსულ ჭიაბერაშვილს, ბრეგაძესა და ბეგაშვილს ძალზე ნასიამოვნები სახეებიც კი ჰქონდათ. ქუჩების განტვირთვასა და კომფორტს რომ თავი დავანებოთ, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტიც არისო, კმაყოფილების ამბობდა ქალაქის მერი.

ორთაჭალიდან წამოსული მთავრობის წევრებითა და ჟურნალისტებით დატვირთული ავტობუსი კოსტავას ქუჩაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაჩერდა. "წონიანი" მგზავრებით (ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ) სავსე, თბილისისთვის ლამის გაუცხოებულ ტრანსპორტის ამ სახეობას მგზავრები გაოგნებულნი შესცქეროდნენ. ერთმა რიგითმა მგზავრმა ავტობუსში ასვლაც კი სცადა, მაგრამ დაიბნა და გადაიფიქრა. თუმცა, მგზავრებს შურის საფუძველი ნამდვილად არ აქვთ. ეს ავტობუსები სწორად რიგითი მგზავრებისთვის არის განკუთვნილი.

ქალაქის მთავრობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შემთხვევით არ შეჩერებულა. ჟურნალისტებს სამინისტროს წინ წლობით გაუქმებული, დატბორილ-დანაგვიანებული მიწისქვეშა გადასასვლელი აჩვენეს და დაამშვიდეს, რომ მალე ამ ადგილას გაკრიალებული გადასასვლელი ამოქმედდება. მისი გაწმენდის ტექნოლოგია კი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს შეუმუშავებიათ.

## განცხადება

საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 31 დეკემბერს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში და 2004 წლის 24 ივნისის "შრომის კანონთა კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მხრიდან პროტესტს იწვევს. პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში აცხადებს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პოზიცია პრინციპულია და მიაჩნია, რომ სოციალური იდეოლოგიის ძირითადი მომენტები სახელმწიფოში ასეთი უნდა იყოს. ცვლილებებმა სოციალურ სფეროში არ უნდა შეზღუდოს მომუშავეთა უფლებები.

გარანტიები უნდა ეყრდნობოდეს, უპირველესად, ხელფასების ზრდას, ბიზნესმენთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, აგრეთვე სოციალური დაცვის სადაზღვევო პრინციპების დანერგვას.

***პროფკავშირის გაერთიანების პრესცენტრი***

# არც გლდანია გეტო და არც დავითაშვილი - ლუთერ კინგი

დალი კუპრავა

*"ასეთი ბიჭი საქართველოს არა ჰყავს...რას ერჩიან ამ ბავშვს...ეს რომ არ გვყავდეს წყალი წაგვიღებდა...ძალიან გვიყვარს და ეგ გვიშველის, მაგის იმედი გვაქვს," - ასე აფასებდნენ დღევანდელ აქციაზე გლდანის მაჟორიტარ დეპუტატს კობა დავითაშვილს. გლდანის რაიონში გაზის მიწოდება რამდენიმე თვეა შეწყვეტილია.*

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წინ მოსახლეობამ აქცია გამართა. ზღვა ხალხი არ ყოფილა, მაგრამ შეკრებილები ძალიან ღელავდნენ. ერთი და იმავე შინაარსის პრობლემას რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რამდენიმე ვარიანტით ისმენდა. საფასურის გადაუხდელობის მიზეზით რაიონში გაზი გათიშულია.



საპროტესტო აქციის მიზეზი კი გაზი იყო, მაგრამ მოსახლეობა თავის ყველა სატკივარს გამოთქვამდა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"რა დასამალია, ბევრი გაზს იპარავს. ძალიან კარგი იქნება, თუ კომუნისტურ გრძელ "ტრუბას" აღადგენენ, რომელიც გარედან ჩანს და ქურდს ყველა შეამჩნევს,"** - წინადადება შემოაქვს მე-2 მიკრორაიონში მცხოვრებ ქალბატონს.

**"მივმართავ ზაზა ბეგაშვილს: თუ პირველ სექტემბრისთვის მუხიანის ბაზრობა არ აღდგება, სამი ათასი მოქალაქით მერიას თავს დავესხმებით. ოჯახის წევრებიანად ხუთი ათასი გამოვა და ნახონ მერე. თუ ბაზრობა აღდგება, რაიონი ერთ-ერთი უმდიდრესი გახდება, გაზის საფასურსაც გადაიხდის და ბიუჯეტშიც საგრძნობ თანხას შეიტანს,"**- მუქარანარევ წინადადებას სთავაზობს მთავრობას მუხიანის ბაზრობის ხელმძღვანელი ირა ღვინიანიძე.

**"მეოთხე მიკრორაიონს მიხედვა სჭირდება. ყოფილი საბავშვო ბაღის ნანგრევებზე გველები მოშენდნენ. იქნებ იქ ეკლესია აეშენებინათ, დაამშვიდებდა მთელ რაიონს, "**- ამბობს ქალბატონი, რომელიც თავისი რაიონიდან უმცირესობით იყო წარმოდგენილი.

**"შეშელიძის ქუჩაზე რესტორანი "თეთრი ღამეები" მოსახლეობას ღამეებს თეთრად ათენებინებს. ახლავე ჩავიყვანდი ბატონ კობას, მაგრამ რესტორანში რომ შევიყვან, ხომ უნდა დავპატიჟო და ეგ არ შემიძლია,"**- დანანებით ამბობს შეშელიძის ქუჩელი, რომელსაც კობა დავითაშვილმა უფრო იოლი გამოსავალი შესთავაზა: შევიტანოთ საჩივარი სასამართლოში და რესტორნის ხელმძღვანელობას იქ გააგებინებენ, რომ მოსახლეობის ხმაურით შეწუხება კანონით ისჯებაო.

**"შვილო, რაჭაში სახლი გავყიდე, ბანკმა კი დასამარხი ფული დამიკარგა, სად წაიღო, ვის მივმართო? "**- ეკითხება დეპუტატს მოხუცი ქალბატონი. "იქნებ ღირდეს, რომ ვანო ჩხარტიშვილს მივმართოთ და თანხა კრწანისის რეზიდენციაში მოიძებნოსო,"- არც ისე ხუმრობით პასუხობს დავითაშვილი.

მოქალაქე ირინა ხუბაევა ჩივის - პენსიის 22 ლარი მომიხსნეს, გაჭირვების გამო ბინა გავყიდე, უფრო პატარა ვიყიდე, მაგრამ აღრიცხვაზე აღარ ამიყვანესო.

საპროტესტო აქციის მიზეზი კი გაზი იყო, მაგრამ მოსახლეობა თავის ყველა სატკივარს გამოთქვამდა.

დეპუტატმა კობა დავითაშვილმა ხელისუფლებას რაიონულ დისკრიმინაციასა და მიკერძოებაში დასდო ბრალი. მისი განცხადებით, თუ გაზი არ ჩაირთვება, შვიდ სექტემბერს მერიის წინ სრულიად რაიონის მასშტაბის აქცია გაიმართება. შეკრებილებს კი მოუწოდა, რომ უფრო აქტიურად ამოიღონ ხმა და მრავალრიცხოვნებით გამოხატონ პროტესტი, რადგან ძალა ერთობაშია. გლდანი კი არც გეტოა და არც თავად არის ლუთერ კინგი - განაცხადა გლდანის


*სარეკლამო ფართი*

# მიეცით, ბოლოს და ბოლოს, ავიაცია ავიატორებს!

## პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო!

ბოლო დროს დღეც არ გადის ისე, რომ პრესაში, რადიოსა ან ტელევიზიით ქართული ავიაციის შესახებ რამე მასალამ არ გაიელვოს. ვისაც არ ეზარება, ყველა წერს და ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ ამით არაფერი გვეშველა, რადგან ის გარეშე ძალები, რომლებიც წურბელებივით დაასხდნენ ჩვენს ავიაციას, კვლავ თავიანთი ბნელი საქმის კეთებას განაგრძობენ და სპობენ ისეთ სტრატეგიულ სფეროს, როგორიც ავიაციაა. ამ დროს კი ავიაცია, თავისი სპეციფიკურობის გამო, მხოლოდ ავიატორებს უნდა ეკუთვნოდეს და მხოლოდ ავიატორების მიერ უნდა იყოს მართული.

ეს ჩემი სიტყვები არაა, ამას სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტები მოითხოვს – საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია, რომლის შტაბ-ბინაც მონრეალში მდებარეობს. აი, უკვე შვიდი წელია, ვერ გაგვიხორციელებია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის 1997 წლის 27 ივნისის რეკომენდაცია, სადაც ნათლადაა ნათქვამი (ციტატა): "საქართველომ უნდა მიაღწიოს იმას, რომ საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი სავსებით დამოუკიდებელ და პროფესიულად სპეციალიზებულ საავიაციო უწყებად დარჩეს" – ციტატის დასასრული. არადა, როგორ უნდა იყოს ქართული ავიაცია პროფესიულად სპეციალიზებული უწყება, თუკი თავად მის ხელმძღვანელსაც ავიაციასთან ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო? ცოტა ხნის წინ პრეს-კონფერენციაზე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ პიროვნულად ბ-ნ მჟავანაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და არცკი ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის წესიერი და პატიოსანი კაცია, რომელიც ქართული ავიაციის მოწესრიგების სურვილითაა შეპყრობილი. მაგრამ მაშინათვე კითხვა მიჩნდება: "მაგრამ რატომ უნდა აწესრიგებდეს ჩვენს საავიაციო სახლს ბატონი მჟავანაძე და არა თავად ჩვენ, ავიატორები?" განა ჩვენს, ავიატორ-პილოტებს, ინჟინერებს, ეკონომისტებს შორის არ მოიპოვება ღირსეული ხელმძღვანელი, რომელიც ჩვენი ავიაციის იმ უძრაობიდან გამოყვანას შეძლებს, რომელშიც ის აღმოჩნდა? იმისთვის, რომ მფრინავი გახდე, 5 წელი უნდა ისწავლო, იმისთვის, რომ საავიაციო ინჟინერი გახდე, 5 წელი უნდა ისწავლო, იმისთვის, რომ საავიაციო ეკონომისტი გახდე, 5 წელი უნდა ისწავლო, ხოლო ყველა ამ ავიატორის ხელმძღვანელობისთვის თურმე საკმარისია, ფიზიკოსი, გეოგრაფი ან შევარდნაძის უშიშროების საბჭოს წევრი იყო.

არადა, ხომ სწორედ საქართველოს საფრენი შემადგენლობის ასოციაცია იყო, აქტიურად რომ გამოდიოდა ჩვენს ავიაციაში ნეგატიური მოვლენების, მისი დამანგრევლების წინააღმდეგ – ე.შევარდნაძის, მ.ადეიშვილის, ზ.ჟანკოტაძის სახით, რომლებიც შემდგომში ან დააპატიმრეს, ან ხავერდოვანად ჩამოადგეს?! ესე იგი, მართლები ვყოფილვართ?! მაშ, ყველაფერი რატომ მეორდება? გეხსომებათ, პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო, რომ ჩვენი პრესაში მორიგი გამოსვლის შემდეგ თქვენთან მიმიწვიეთ, როცა ჯერ კიდევ ჩვენი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყავით, და დახმარებას დაგვპირდით. ჩვენ ჯერაც გვაქვს იმედი, ბატონო მიხეილ, რომ პირობას შეასრულებთ და ავიაცას ავიატორებს მისცემთ. დიდი ხანია, დადგა დრო, რომ გამოვიდეს კანონი, რომელიც წამყვანი საავიაციო თანამდებობის დაკავებასა და ავიაკომპანიების შექმნას აუკრძალავს იმ პირებს, რომლებსაც უმაღლესი საავიაციო განათლება ან სპეციალური განათლება არა აქვთ. რატომაა, რომ იურისტებმა მიაღწიეს ამას, ჩვენ კი ზემოდან კვლავ გვიგზავნიან პირებს, რომლებიც ავიაციას სამგზავრო სალონის ფანჯრებიდან იცნობენ? და თუ იურიდიულმა შეცდომამ შეიძლება არასწორი განაჩენი გამოიწვიოს, საავიაციო შეცდომას სისხლი მოჰყვება, თან ბევრი. და მართლაც, ძნელია ელოდე სწორ მოქმედებას მფრინავის, ინჟინერისა თუ ტექნიკოსისგან, რომელიც ამ მშიერ და ძნელ დროს მზადაა თავისი დილეტანტი უფროსის ნებისმიერი აბსურდული ბრძანება შეასრულოს, რომელსაც საავიაციო ჭკუა არ გააჩნია, მაგრამ დიდი ფული აქვს. ჩემთვის გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა ბ-ნი მჟავანაძე, როცა ლიცენზია მისცა ავიაკომპანიას, რომელიც სახელს მეოთხედ იცვლის, რომელსაც ფაქტობრივად მთელი აეროპორტის, ნავიგაციის, სასწავლო ცენტრის ვალი აქვს. როგორც კი ვალებს დააგროვებს ხოლმე, ის უმალვე იცვლის სახელწოდებას და ველარანაირი სასამართლო ვერ ერევა, მაგრამ ჩვენ, მფრინავებმა ხომ ვიცით, რომ ჩვენი მეგობრები, ხომალდების მეთაურები თ.კუზანაშვილი, გ.ჯიქიძე, დ.გოგიშვილი სილატაკეში სწორედ ამ ავიაკომპანიების ხელმძღვანელობის გამო გარდაიცვალნენ – მათ სინდისი არ ეყოთ იმისთვის, რომ მრავალი თვის ხელფასი გადაეხადათ ამ ჩვენი გარდაცვლილი მეგობრებისთვის. დღეს კი ისინი ავიატორების სახელით პრეს-კონფერენციებს მართავენ და ამა თუ იმ რეისს მოითხოვენ, და ბ-ნი გ.მჟავანაძე თვალის დაუხამხამებლად აძლევს მათ ამ რეისებს. რატომაც არ მისცემს – ისინი ყველანი ავიაციისგან ძალიან შორს დგანან და ჩვენს ავიაციაში მისი აღორძინებისთვის კი არ არიან მოსული, არამედ დროით უნდათ ისარგებლონ და ნამდვილი ავიატორების ხარჯზე მოგება ნახონ.

ჩვენს ავიაციაში საერთაშორისო დოკუმენტების შესრულებასთან დაკავშირებით კიდევ უარესი მდგომარეობაა. აი, წინ მიდევს დოკუმენტი, რომელსაც "ქართული ავიაციის განვითარების პროგრამა" ჰქვია. ის შემუშავებულია გაეროს მიერ დაფინანსებული პროექტის თანახმად, შემუშავებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2000 წლის დეკემბერში, და დღესაც მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ამ დოკუმენტის მეათედი მაინც რომ განხორციელებულიყო, ჩვენი ავიაცია აყვავდებოდა. ამ საბუთში ვკითხულობთ: "სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი საორგანიზაციო და ეკონომიკური პირობები საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლაში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისთვის". ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა – სწორედ სახელმწიფო დონეზე, საქართველოს საავიაციო ადმინისტრაციის სახელით ქართული ავიაკომპანიების ინტერესების დათრგუნვა ხდება. ცოტა ხნის წინათ მთელი საქართველო უყურებდა ტელევიზიით, როგორ ბედნიერი სახით განაცხადა ბ-ნმა გ.მჟავანაძემ - ის, რომ ვისაც არ ეზარება, საქართველოში დაფრინავს, ქართული ავიაციის განვითარების საწინდარიაო. ბ-ნ მჟავანაძეს ეს საბუთი რომ გადაეფურცლა მაინც, სადაც ნათქვამია (ციტატა): "საქართველოში გლობალური ლიბერალიზაციის შემოღებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ნაციონალირი ავიაკომპანიების ინტერესების დაცვის მექანიზმი", ის იმას აღარ გააკეთებდა, რასაც აკეთებს. პირველი, რაც ბ-ნ გ.მჟავანაძეს თანამდებობაზე დანიშვნის მერე უნდა გაეკეთებინა, ისაა, რომ უნდა ჩაკეტილიყო და ყველა ეს საბუთი შეესწავლა. მაგრამ როგორ შეიძლება ერთი კვირის განმავლობაში იმის შესწავლა, რასაც ჩვენ წლების განმავლობაში ვსწავლობდით? იბადება ბუნებრივი კითხვა: იცის კია ბატონმა მჟავანაძემ ყველა ამ საბუთის არსებობის შესახებ? თუ არ იცის, რატომ არ იცის? ხოლო თუ იცის და არ ასრულებს, ის ქართული ავიაციის პირველი მტერი ყოფილა. მის მფარველებს შეეძლოთ ასეთივე წარმატებით საზღვაო ფლოტის სამართავად თუ სამშობიარო სახლის დირექტორად დაენიშნათ, უკიდურეს შემთხვევაში – სასულე ინსტრუმენტების ორკესტრის ხელმძღვანელად. გეცინებათ? ჩვენ, ავიატორებს, არ გვეცინება. ჩვენ გვეტირება, რომ იქ, ზემოთ, ვიღაცა ჩვენ, ავიატორებს არად გვაგდებს. რა ღია ცის პრინციპზე შეიძლება საუბარი, როცა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტების თანახმად საქართველო განვითარებადი ქვეყნების სიაში შეტანილი? ჩემთვის გაუგებარია, რით ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ხელმძღვანელი, როცა ყოველგვარი ხერხით მიაღწიეს იმას, რომ თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის ავიაკომპანიები, რომლებსაც ჯერაც არ გადაუხდიათ ჩვენი ქვეყნისთვის მილიონებიანი გადასახადი, კვლავ ფრენის უფლება მისცეს? ამ ხელმძღვანელებს, მინდა ვკითხო: იციან, რომ ჩვენთან სინამდვილეში კომპანია "ბრიტიშ ეირვეიზი" კი არ დაფრინავს, არამედ მისი დროშით პატარა კერძო ავიაკომპანია? რომ ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ სტამბულის რეისი ჩვენ გავხსენით, ქართველმა პილოტებმა, რომ ის შემდეგ თურქებმა ადგილობრივი ქართული მაფიის დახმარებით თავხედურად წაგვართვეს და 7-8 წლის განმავლობაში ცალმხრივ ფრენას ახორციელებდნენ, ჩვენ კი თავისთან არ გვიშვებდნენ და საქართველოდან მილიონობით დოლარი გაჰქონდათ? მაშ, რატომ იცავს მათ ასეთი თავდადებით ქ-ნი ნ. ბურჯანაძე? თუკი ახლა მე, როგორც საქართველოს ფრენითი შემადგენლობის ასოციაციის პრეზიდენტი, სასწრაფოდ მოვითხოვ ფრენითი შემადგენლობის საპენსიო საკითხის გადაწყვეტას, ის არანაკლებ სასწრაფოდ მიპასუხებს, რომ ქვეყანას ფული არა აქვს. საიდან ექნება ქვეყანას ფული, თუკი სახელმწიფო დონეზე უწყობენ ხელს იმას, რომ ქვეყნიდან მილიონობით დოლარი გადის და სახელმწიფო დონეზე ინგრევა ჩვენი ავიაცია, და სსრკ-ს დამსახურებულ მფრინავს უფულობის გამო პენსიად თვეში 14 ლარს აძლევენ? ამერიკის სიმდიდრე კორპორაციების "ბოინგის", "ფორდის", "კოკა-კოლასა" და სხვათა სიმდიდრეა, საქართველოს სიმდიდრე კი ფირმების "ყაზბეგის", "ივერიის" და ყველა ქართული ავიაკომპანიის სიმდიდრე უნდა იყოს, რომლებიც ქვეყნის მთავარი გადამხდელები უნდა იყვნენ.

თუმცა, საერთაშორისო საავიაციო კანონებს დავუბრუნდეთ. აი, მორიგი დოკუმენტი-მასალა მსოფლიო ავიასატრანსპორტო კონფერენციისა თემაზე "ლიბერალიზაციის პრობლემები და შესაძლებლობები", რომელიც სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მონრეალში, მის შტაბბინაში 2003 წელს იყო გამართული. მასში 145 სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას. დოკუმენტში ნათქვამია: "განვითარებადი ქვეყნების ეფექტური და სტაბილური მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თანმიმდევრული ლიბერალიზაციის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოებმა საჰაერო ტრანსპორტის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ სახელმწიფოების ინტერესებსა და მოთხოვნებს, რომლებსაც ნაკლებად კონკურენტუნარიანი ავიამზიდები ჰყავთ." – ციტატის დასასრული. მაშ, როგორ უნდა გაუწიონ კონკურენცია პატარა საქართველოს ავიაკომპანიებმა, რომლებსაც 2-3 თვითმფრინავი აქვთ იჯარით აღებული და ამ იჯარის ფასად უზარმაზარ ფულს იხდიან, დიდი ქვეყნების – დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ჰოლანდიის ავიაკომპანიებს, რომლებიც ასობით საკუთარ თვითმფრინავსა და ასეულობით მილიონ დოლარს ფლობენ? საკუთარი ავიაციის დიდ ქვეყნებთან კონკურენციის სარჩულით მოსპობა, სულ მცირე, უზნეობაა. ჩვენ უკვე გვაქვს ხელოვნური განადგურების სამწუხარო გამოცდილება ყოფილი სახელმწიფო მინისტრების დონეზე, ორი წინამორბედი ფლაგმანი ავიაკომპანია - "ორბი" და "საქართველოს ავიახაზები". ახლა ვიღაცას ხელები ექავება და მორიგი მსხვერპლის ჩაყლაპვა უნდა. რატომაა, რომ ზამბიის, ნიგერიის თუ სომალის ავიაკომპანიები განვითარებადი ქვეყნის სტატუსითა და შეღავათებით სარგებლობენ, ჩვენ კი არა? იციან კია ჩვენთან ყველა ამ დოკუმენტის არსებობის შესახებ? რით ხელმძღვანელობდა ბ-ნი მჟავანაძე, როცა ავიაკომპანია "კლმ"-ს კვირაში სამი რეისის შესრულების ნება დართო, მაშინ როცა ქართული მხრიდან მხოლოდ ორი რეისი სრულდება? თუ მან პარიტეტობის პრინციპის შესახებ არაფერი იცის?

ჩემი სტატიის დასრულება მორიგი საერთაშორისო დოკუმენტიდან ციტატით მინდა, რომელიც საქართველოს ეხება: "არც ახლა და არც მომავალში საქართველოს ავიაცია კონკურენტუნარიანი არ გახდება, თუ არ ამოიძირკვება არაპროფესიონალიზმი, ვინაიდან ის არცერთ სხვა სფეროს არ აყენებს ისეთ ზიანს, როგორსაც ავიაციას". მე მგონი, აქ ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი. ეს ნათელია ჩვენთვის, ავიატორებისთვის. მაგრამ რამდენად ნათელია ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ხელმძღვანელისთვის, რომელიც ზემოდან გარეშე პირებს გვინიშნავს, ვინც ვიღაცის ნებას ასრულებენ და მეთოდურად გვანგრევენ? მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ახლა ქვეყანაში სხვა დროა და ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ბატონო პრეზიდენტო, იქნებ სწორედ ამ ძალებმა გააკეთეს ის, რომ ჩემს მიერ ავსტრალიიდან ჩამოტანილი მთელი მსოფლიოს მფრინავთა მიმართვა თქვენთან კი არა, ბატონ მჟავანაძესთან მოხვდა. მთელი მსოფლიოს მფრინავები ხომ თქვენ მოგმართავდნენ და თქვენ გთხოვდნენ შეხვედრას, მაშ, რა შუაშია ბ-ნი მჟავანაძე?

მე კვლავ თქვენ მოგმართავთ თხოვნით, პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო, პასუხი გასცეთ მთელი მსოფლიოს მფრინავთა მიმართვას, რომელიც 96 ქვეყნიდან 100 ათასი პილოტის სახელით იყო მიღებული, და თქვენთვის ხელსაყრელ დროს მიიღოთ დელეგაცია გერმანიის, პორტუგალიის, თურქეთის, საფრანგეთის ასოციაციების პრეზიდენტების შემადგენლობით და მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, შვეიცარელი პატრიკ შუტერის მეთაურობით, რომელთაც საქართველოში ჩამოსვლა და თქვენი შემწეობით საქართველოს ფრენითი შემადგენლობის პრობლემების გადაწყვეტა სურთ, რომ ქართული ავიაკომპანიები უფრო მდიდარი და ძლიერი გახდეს. ჩვენ ხომ ცარიელი ხაზინიდან პენსიებს არ ვთხოვთ, ჩვენ გვინდა, რომ ფული შრომით მოვიპოვოთ და საკუთარი თავიც უზრუნველვყოთ და ჩვენი სახელმწიფოც.

და ბოლო სილა, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაგვაწნეს, თბილისის აეროპორტის უფროსად მორიგი დილეტანტის, ბ-ნ ნ.მანჯგალაძის დანიშვნა იყო. იბადება კითხვა: რა კავშირი აქვს მას ავიაციასთან და რისი გაკეთება შეუძლია ჩვენი ავიაციისთვის?! თუ ისიც დიდი ფულის გასაკეთებლადაა ჩვენთან მოსული? გთხოვთ, პასუხი გაგვცეთ ჩვენს კითხვებზე, პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო. ჩვენ გვინდა, რომ გვერდში დაგიდგეთ და არამარტო ავიაციაში, არამედ მთელს ქვეყანაშიც დაგეხმაროთ წესრიგის დამყარებაში.

ადამიანები შეცდომებზე სწავლობენ. ჩვენ უკვე რამდენიმე ექსპერიმენტი ჩავატარეთ, როცა ჩვენი ავიაციის სათავეში გარეშე პირები დაინიშნენ – მარგველიძე, ნიჟარაძე და სხვები. გთხოვთ, გვიხსენით მორიგი ექსპერიმენტებისგან. ჩვენ, ქართველი მფრინავები, აფხაზეთის საბრძოლო მოქმედებების რაიონებში ბევრს დავფრინავდით. ჩვენ გვესროდნენ, გვაგდებდნენ, მაგრამ ჩვენ სირთულეების არ გვეშინია და მზად ვართ, კვლავაც დავიცვათ თავი.

**პატივისცემით, საქართველოს ფრენითი შემადგენლობის ასოციაციის პრეზიდენტი ა.ნურბეკიანი.**

# განსასჯელ ქალებს მალე ახალმოსახლეობა ექნებათ



პატიმარ ქალებს პირობებზე მეტად, ამ ეტაპზე გამოძიების პროცესში დაშვებული უკანონობა აწუხებთ და თავისუფლებაზე ოცნებობენ.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო



გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებით და იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრებით, დაახლოებით, ორ თვეში საქართველოს ახალი ქალთა საპყრობილე ექნება, რომელიც დღევანდელი ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსდება.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

თამარ კაციტაძე

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილეს ქალთა კორპუსი, რომელიც, ფაქტობრივად, ერთ სართულს მოიცავს, ქალებისთვის ჩვეულ სისუფთავეს თუ არ ჩავთვლით, პირობებით საპყრობილეში მყოფ მამაკაცთა მდგომარეობისგან ბევრად არ განსხვავდება. ქალთა საკნებამდე, სადაც სულ 97 განსასჯელია, თითქმის ჩანგრევის პირას მისულ იატაკს და ჩამონგრეულკედლებიან დერეფანს მივყავართ. დანგრევის პირას არის მისული საკნების კედლებიც, რის გამოც პატარა ოთახებში, უჟანგბადობასთან ერთად, ნესტის და ბათქაშის საშინელი სუნი დგას. ქალთა სპყრობილეშიც, ისევე როგორც ყველა ანალოგიურ დაწესებულებაში, წყალი დეფიციტია და დაბანა ყველაზე დიდ და იშვიათ დღესასწაულად ითვლება. ასეთ პირობებში სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის ყოფნა, თავისთავად ცხადია, გაუსაძლისია.

თუმცა, უკვე რეალურად არსებობს საცხოვრებელი პრობლემების მოგვარების გზა. გუშინ, ამის სათქმელად იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი ქალ განსასჯელებს თავად ეწვია.

**"ორი თვეც მოითმინეთ და ახალ საპყრობილეში გადახვალთ, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები გექნებათ,"** - ამხნევებდა მინისტრი განაჩენის მომლოდინე ქალებს.

პატიმარ ქალებს კი, პირობებზე მეტად, ამ ეტაპზე გამოძიების პროცესში დაშვებული უკანონობა აწუხებთ და თავისუფლებაზე ოცნებობენ.

**"პრეზიდენტს გადაეცით, პატიმარი ქალებისთვის შეწყალება გამოსცეს. უმეტესობას ოჯახები გვყავს და მცირეწლოვანი შვილები გველოდებიან, რომლებიც ღვთის ანაბარა არიან დატოვებულნი და გამორიცხული არ არის, რომ ისინი მშობლებზე უფრო საშიშ დამნაშავეებად გაიზარდონ. აქ ერთი დღით ყოფნაც საკმარისია, რომ პიროვნება, მით უმეტეს - ქალი, საკადრისად დაისაჯოს და საკუთარ შეცდომას მიხვდეს,"** - ამბობს ერთ-ერთი განსასჯელი ქალი, რომელმაც საკუთარი სახელის დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა, ცოტა ხნის წინ საპყრობილეში მომხდარი ინციდენტი მოგვიყვა, რის გამოც პატიმარი დედები შეშინებულები არიან.

**"ჩვენთან იჯდა ერთი ქალი, რომელსაც სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ცოტა ხნის წინ შეიტყო, რომ მისი უმცროსი შვილი ვიღაცამ გააუპატიურა და მერე მოკლა. ამ ფაქტმა ყველა ძალიან შეგვაშინა, თვითონ ის ქალი კი იმდენად ცუდად გახდა, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს,"** - გვითხრეს პატიმარმა ქალებმა.

დღეს ბევრი ქალი დაპატიმრებულია ყაყაჩოს თესლის რეალიზაციის გამო. ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ყაყაჩოს თესლი, რომელიც საკონდიტრო ნაწარმში გადის, ისევე ისჯება, როგორც ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი". არიან ისეთებიც, რომლებსაც გამოძიებისადმი აშკარად საფუძვლიანი პრეტენზიები გააჩნიათ.

**"სახელმწიფო ქონების მითვისების გამო დამაპატიმრეს, სულ 2400 ლარს მედავებოდნენ. ეს თანხა ჯერ კიდევ აპრილში გადავიხადე და დამპირდნენ, რომ გამათავისუფლებდნენ, მაგრამ დღემდე ისიც ვერ გავიგე, ჩემი საქმე სად არის. ადვოკატმა ნათია ხუტიძემ ფული აიღო და იმის შემდეგ არც დამკავშირებია. იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთ, რამე გამაგებინოთ,"** - გვთხოვა ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს მკვიდრმა, ოთხი შვილის დედამ ესმა ცათიშვილმა.

განსასჯელი მანანა კარბელაშვილი კი გენერალური პროკურატურის გამომძიებლის უკანონობაზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, ადვოკატს გამომძიებლის წინასწარ ხელმოწერილი დაკითხვის ოქმი ჩააბარა, არადა, მასთან დაკითხვაზე არც მისულა.

ეს იმ პრეტენზიების მცირე ნაწილია, რომელიც, მართალია, იუსტიციის სამინისტროს არ ეხება, მაგრამ აშკარად გადამოწმებას და რეაგირებას საჭიროებს. იუსტიციის სამინისტრო კი თავის დაქვემდებარებაში არსებული პრობლემების დაძლევას ეტაპობრივად გეგმავს და ახორციელებს კიდეც.

ამჟამად ჯერი ქალთა საპყრობილეზე მიდგა. გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებით და იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრებით (გამოყოფილია 270 ათასი ლარი), დაახლოებით ორ თვეში საქართველოს ქალთა ახალი საპყრობილე ექნება, რომელიც ქალთა დღევანდელი დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსდება.

**"იმისათვის, რომ პერიმეტრის დაცვის პრობლემები შევიმსუბუქოთ, გადავწყვიტეთ, განსასჯელი ქალებიც ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე გადმოვიყვანოთ, რადგან აქ კედლებიც ძლიერია და დაცვაც უკვე არსებობს,"** - აღნიშნა ამჟამინდელი საპყრობილის მონახულების შემდეგ მშენებარე საპყრობილეში გადანაცვლებულმა იუსტიციის მინისტრმა.

ახალი საპყრობილე, მართალია, უკვე არსებულ, მაგრამ გაუქმებულ ქალთა საპაემნო ოთახებში კეთდება, მაგრამ იქ ძველი სახით მხოლოდ კედლები არსებობს. მთლიანობაში ახალ საპყრობილეში იქნება 22 საკანი, რომელიც გათვლილია 120 პატიმარზე. თითოეულ საკანს ექნება ფართო ფანჯრები, რომლებსაც, მართალია, გისოსები გაუკეთდება, მაგრამ პატიმრებს მათი გახსნა თავისუფლად შეეძლებათ. საპყრობილეში იქნება აბაზანა, გათბობა, ბიბლიოთეკა, მედპუნქტი და, ფაქტობრივად, ყველა პირობა, რომ განსასჯელმა ნორმალურ პირობებში იგრძნოს თავი. საპყრობილეს ტერიტორიაზე დაგეგმილია სასეირნო ეზოს გაკეთებაც.

**"დარწმუნებული ვართ, რომ ახალ საპყრობილეში პატიმრები თავს გაცილებით უკეთ იგრძნობენ. ამასთან, ეს №1 საპყრობილის განტვირთვასაც შეუწყობს ხელს და თანდათან მსჯავრდებული მამაკაცების პირობების გაუმჯობესებასაც შევძლებთ,"** - ამბობს მინისტრი და მუშებს სამუშაოების დაჩქარებას სთხოვს.

# ყოფილი ინსპექტორი ფულის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს

*ყოფილი პოლიციელი, რომელიც სამართალდამცველებს გუშინ ჩაუვარდათ ხელში, ორი წლის წინ საგზაო პოლიციის რიგებიდან დათხოვნილი სიმონ გიგოლაშვილი გახლავთ. სიმონ გიგოლაშვილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სამართალდამცველებმა გუშინ, ერთ-ერთი მძღოლისგან თანხის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს.*

საქმე ისაა, რომ როგორც ირკვევა, საგზაო პოლიციის რიგებიდან გათავისუფლებული სიმონ გიგოლაშვილი, საგზაო პოლიციის ძველ ფორმაში გამოწყობილი, სისტემატურად აჩერებდა მძღოლებს, შარს მოსდებდა და საქმის უპრობლემოდ მოგვარებისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვდა.

სამართალდამცველებმა გიგოლაშვილი გუშინ იმ დროს დააკავეს, როცა ის ერთ-ერთ მძღოლს, უმიზეზოდ, 500 ლარს სძალავდა. **"შეწუხებულმა მძღოლმა საგზაო პოლიციელის ძველი ფორმით აღჭურვილ სიმონ გიგოლაშვილს 150 ლარი გადაუხადა. მათ შორის შეთანხმებაც შედგა - საგზაო პოლიციელის ყალბი საბუთის მქონე სიმონ გიგოლაშვილისთვის მძღოლს 350 ლარიც უნდა მიეტანა. სწორედ ამ დროს დავაკავეთ პოლიციის რიგებიდან ორი წლის წინ გარიცხული გიგოლაშვილი,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ.

როგორც ირკვევა, ყოფილი საგზაო პოლიციელი დღემდე ინსპექტორის ფორმაში ყალბი სანომრე ნიშნიანი მანქანით მოძრაობდა, ის სიმთვრალის დასადგენი ქიმიკატებითა და ამპულებითაც იყო აღჭურვილი და ოქმის შესადგენი ბარათებიც ბლომად ჰქონდა. სიმონ გიგოლაშვილი შესაფერის ადგილებს - რესტორნებისა და კაფე-ბარების მიმდებარე ტერიტორიას ირჩევდა, ჩაუსაფრდებოდა რომელიმე ავტომანქანას და როგორც კი ბარიდან გამოსული, ავტომანქანის მფლობელი გამოჩნდებოდა, მანქანის დაძვრისთანავე მასთან ჩნდებოდა და სიმთვრალეზე ედავებოდა. თან, სიმთვრალის დასადგენ ვადაგასულ ამპულებსაც იშველიებდა და საგზაო პოლიციელის ყალბი მოწმობის გამოყენებით, მძღოლს იძულებულს ხდიდა, მისთვის ფული გადაეხადა.

**"ყოფილი საგზაო პოლიციელი ყალბ ოქმებს ავსებდა და ავსებდა. მძღოლს არწმუნებდა, რომ ის მთვრალი იყო და ჯარიმა უნდა გადაეხადა. როგორც ირკვევა, ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც ქუჩებში საპატრულო პოლიცია გამოჩნდა, სიმონ გიგოლაშვილმა საგზაო ინსპექტორის ძველი ფორმითა და ყალბი მოწმობით უკვე ოთხი მძღოლი მოატყუა და სასურველი გასამრჯელოც აიღო. ახლა, როცა საპატრულო პოლიცია ძველი საგზაო პოლიციისგან ასე განსხვავდება, მძღოლები შეცდომაში აღარ უნდა შევიდნენ. იცოდეს ყველამ, რომ მათი გაჩერება და შემოწმება მხოლოდ საპატრულო პოლიციის პრეროგატივაა,"** - განგვიცხადა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსმა.

ფულის გამოძალვის ფაქტზე დაკავებული ყოფილი საგზაო პოლიციელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით აღიძრა. საქმე ფინანსურ პოლიციას გადაეცემა. შესაძლოა, დაკავებული სიმონ გიგოლაშვილის საქმეში რამდენიმე ეპიზოდი გაერთიანდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისგან დაზარალებულები სამართალდამცველებს მიმართავენ.

*24 საათი*

მოკლედ

## ფინანსური პოლიციის ოთხი თვის მუშაობის შედეგები

ფინანსურმა პოლიციამ მუშაობის ოთხი თვის მანძილზე სისხლის სამართლის 79 საქმე აღძრა. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, 4 თვის განმავლობაში გადასახადისგან თავის არიდების მუხლით სისხლის სამართლის 79 საქმე აღიძრა. გამოძიების შედეგად აღმოჩენილია დამალული გადასახადები და სხვადასხვა საწარმოებზე დარიცხულია 8 910 944 ლარი. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, დამალული გადასახადების გამოვლენა თანდათანობით იზრდება. საგადასახადო სამსახურების მიერ უკვე ამოღებული და მობილიზებულია 1 183 896 ლარი. სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე ფინანსურ პოლიციაში დგინდება სახელმწიფოს მიმართ დამალული გადასახადების ოდენობა. საქმის საბოლოო გარკვევამდე ფინანსურ პოლიციას 20 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქონება აქვს დაყადაღებული.

*24 საათი*








# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ჩვენი ომების უსახელო რაინდები

როდესაც 1991 წლის დეკემბერში ბელოვეჟკის ტყევრში საბოლოოდ გამოცხადდა და დოკუმენტურად გაფორმდა გიგანტური ქვეყნის - საბჭოთა კავშირის დაშლა, 250 მილიონი ადამიანისათვის კომუნისტური სამშობლოს აღსასრული და ახალი ცხოვრების დასაწყისი ისევე მტკივნეულად წარიმართა, როგორც დაბადება იმავე ქვეყნისა. მსოფლიომ რამდენიმე წუთში აიტაცა და მილიონჯერ გაიმეორა ინფორმაცია დედამიწის ერთი მეექვსედის ბატონ-პატრონი სახელმწიფოს საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და მისთვისაც დროის ახალ, უცნობ, ძნელადპროგნოზირებად პერიოდში შეაბიჯა.

ამის შემდეგ გადის სულ ცოტა ხანი და მთელი დედამიწა გრძნობს, თუ როგორ შეიცვლება თავადაც დედამიწა.

ბელოვეჟკის ტყის სიგნალი განსაკუთრებით კავკასიის მთებში, მის ტყეებში გახმიანდა ექოდ, ცეცხლად მოედო და ტყის ბრძოლებად იქცა. ტყიდან ტყეს ესტაფეტასავით გადაეცა დიდი ოქტომბრის რევოლუციის უკანასკნელი მონაპოვარი. სსრკ-ს სხვადასხვა თაობების შემოქმედებმა რიგიანად ვერც ააგეს და ვერც წესიერად დაშალეს სახელმწიფოკოლოსი.

კავკასია კი ამ დროს მსოფლიო რუკაზე "ცხელი" კი არა, "უცხელესი წერტილი" გახდა - ბელოვეჟკის გადაწყვეტილებამდე დაწყებული, ნორჩი კონფლიქტებიც მეტად გამძაფრდა, მათმა ნაპერწკლებმა კი კავკასიის სხვა რეგიონებშიც ააგიზგიზეს ხანძრები. ბრძოლებში ჩაება კავკასიის ველობებიც, ზღვებიც, ჰაერიც. ერთმანეთს კლავდნენ გუშინდელი "ძმები" - "უფროსები", "უმცროსები", "შუათანები"... ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, უცნობები, ნაცნობები, კოლეგები...პარტიულებიც, უპარტიოებიც, ახალპარტიულებიც... მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებიც კი, ისინი, რომლებიც ერთ დროს მხარდახარ ებრძოდნენ ფაშიზმს. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ახალგაზრდები იღუპებოდნენ, ნადგურდებოდა გენოფონდი, კავკასიის ბუნებაც, მაგრამ კიდევ ყველაზე მეტად მაინც მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა, იხოცებოდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები... ასეთია ომების რელიგია - ის უდანაშაულოთა სულებს ითხოვს ყოველთვის.

მიუხედავად მრავალი განმასხვავებელი ნიუანსისა, კავკასიის კონფლიქტები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მათი დაწყების მთავარი მიზეზიც იდენტურია - მიწა-წყალი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის, ხალხის, ადამიანის უფლების დაცვის მოთხოვნა...

კავკასიის კონფლიქტებში ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებია გამოკვეთილი. ეს კონფლიქტები ბევრმა პოლიტიკოსმა, თანამოაზრეთა ჯგუფებმა, სხვადასხვა სტრუქტურებმა გამოიყენეს თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ხვალაც შეეცდებიან გამოიყენონ სიტუაცია, ზეგაც. და გასაკვირი აქ არც არაფერია.

კავკასიამ დაამტკიცა, რომ ის არ არის ერთიანი, მონოლითური რეგიონი, რომელსაც საკუთარი, გამოკვეთილი მიზნები აქვს. კავკასია დაქსაქსულია, მისი ხალხების ერთი ნაწილი ერთმანეთსაა დაპირისპირებული, ხოლო მეორე ნაწილს უნარი არა აქვს შეარიგოს პირველები ერთიმეორეს. მან კარგად არც იცის, რას წარმოადგენს თავად, რა უნდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩართულია თვითგანადგურების მექანიზმი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაკარგულია თვითგადარჩენის იმუნიტეტი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კავკასიის ხალხებმა კარგად არც თავიანთი წარსული იციან, არც ერთიანი კულტურა აქვთ გათავისებული; არა აქვთ განსაზღვრული საერთო ინტერესები; საკუთარი თავისა და სხვების გადასარჩენად ვერ იყენებენ კავკასიურ უნიკალურ მენტალიტეტს, ტრადიციებს.

ჩვენ ყველანი დამღუპველი სტერეოტიპების ოკეანეში ვტივტივებთ.

თუ თანამედროვე ბაბილონში კავკასიელები უახლესი წარსულის, დღევანდელი მდგომარეობის ერთად გაანალიზებას, ერთმანეთის პრობლემების გაზიარებას, ერთმანეთის სატკივარის გაგებას შესძლებენ, მაშინ ხვალ ნაბიჯის გადასადგმელად ფეხქვეშ მყარი ნიადაგი გვექნება. საწინააღმდეგო შემთხვევაში, რეგიონი განწირულია გაჭიანურებული, მრავალწლიანი, ქრონიკული ომებისათვის.

როდესაც ხალხებს შორის იზრდება კონფლიქტებში დაღუპულ ადამიანთა საფლავების, გადამწვარი სახლების, წამებულთა, უსამართლოდ დასჯილთა რაოდენობა, მაშინ, რა თქმა უნდა, კლებულობს ურთიერთნდობა, პატივისცემა, საერთოდ, მომავლის იმედიც. და ისეთი ფრაზები, როგორიცაა - "მოდით, ბოდიში ვუთხრათ ერთმანეთს, დავივიწყოთ წყენა და დავიწყოთ ახალი ცხოვრება", - აბსურდული ხდება. სიტუაცია უკვე ასე მარტივად ვერ გადაწყდება.

ბუნებაში არ უნდა ეარსება ამ კონფლიქტებს, მაგრამ, ასე ვთქვათ, ისტორიას არ უყვარს ლირიკა, რაც მოხდა, მოხდა, ეს ფაქტია, ვერსად გავექცევით. მძიმეა დაღვრილი სისხლი. ჭრილობების მოშუშებას დრო სჭირდება, დრო და იმ ადამიანების ძალისხმევა, რომლებიც ადამიანთა, საზოგადოებების შერიგების ღმერთისაგან დალოცვილი საქმისათვის არიან დაბადებულები.

ჩვენი კონფლიქტები დაბერდნენ, უფრო ზუსტად - გახანგრძლივდა მათი მოწესრიგების პროცესი. ერთ წელში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ათი წლის ხდება, ყარაბახისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები კი უკვე ათზე მეტისანი არიან. ისინი მიემატნენ თხუთმეტ, ოც, ოცდაათ წლიანი მოუგვარებელი კონფლიქტების ტრაგიკულ რიცხვს. არც ათი, არც ოცი, არც ორმოცდაათი წელი ისტორიისათვის არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ადამიანისთვის უზარმაზარი დროა.

კავკასია ბებერი კონფლიქტების ჩიხი გახდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი კონფლიქტების ასაკისა, ჩვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვხედავთ ვერც სათავეებს კონფლიქტებისა, ვერც ერთმანეთს და ვერც საკუთარ თავს. და ამის მიზეზი მარტო ომის ჯერ კიდევ მხრჩოლავი კვამლის ბრალი როდია.

ჩვენ ომგადატანილი, დაღლილი, იმედგაცრუებული საზოგადოებები ვართ, დავამატებდი - მოტყუებული საზოგადოებებიც. იმ ადამიანთა ჯგუფებს, იმ ძალებს, რომლებიც დამნაშავენი არიან კონფლიქტების დაწყებასა და წარმართვაში, სულ ტყუილად აქვთ საზოგადოებათა მასობრივი სკლეროზის იმედი. ყველაფერი აფთიაქის სასწორით აიწონება, შეფასდება მათი ამპუტირებული პასუხისმგებლობაც.

ომის მსხვერპლი ხალხები არიან და სწორედ მსხვერპლთა ნებით მოხდება დიდი შერიგება. ეს კი აუცილებლად იქნება ერთ დროს, ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით. ცხოვრებისეული რეალიები, მომავალი თაობები დაუსვამენ წერტილს გაუგებრობებს. ისინი რეალურად განსაზღვრავენ ერთმანეთთან, სხვა საზოგადოებებთან, მთელს მსოფლიოსთან რეალური ურთიერთობების გზებს. ჩვენ ერთმანეთის საყრდენი გავხდებით. ეს უეჭველია.

კონფლიქტებმა რამდენიმე ნაწილად დაყვეს საზოგადოებები, შემდეგ დანაწილაკებულებშიც გაგრძელდა შიდა ფრაგმენტაცია. შექმნილმა სიტუაციამ შექმნა პოლიტიკური მუტანტები - "მანია-გრანდიოზები", "მას-მედიაზავრები", "მარად მართლები", "შეწირულები" და ა. შ. კონფლიქტების სტაგნაცია აზროვნების სტაგნაციამ გამოიწვია. ძველი აზროვნების და მიმართულების ლიდერები თანდათანობით შორდებიან თავიანთ საზოგადოებებს. დრო და ვითარება გარდაქმნებს ითხოვს, ახალ ადამიანებს, გამოუყენებელი რესურსების გამოყენებას.

კონფლიქტებმა სერიოზულად დააზიანეს, მაგრამ ვერ გაანადგურეს ადამიანთა, საზოგადოებათა ურთიერთობის კულტურა; უმაღლესი და უდიადესი კულტურათა შორის - მშვიდობის კულტურა, მაგრამ დროებით მისი ადგილი მაინც დაიკავა კონფრონტაციულმა, ანტიკულტურამ. პოსტსაბჭოთა ურთიერთობები უძლური გახდა, მოეწესრიგებინა ქაოსი.

საბოლოოდ დაიშალა "ჩვენ" მრავალ, ზოგჯერ გაურკვეველ - დაუდგენელ "ჩვენ"-ად. ახალი "ჩვენ" საზოგადოებები დიდი "ჩვენ"-ის გარეშე ცხოვრებას ეჩვევიან და სწავლობენ. ომის გიგანტური აფეთქების ტალღამ სხვადასხვა მხარეს გადაგვისროლა. ახლა დიდი ხნის უნახავებივით ხელს შორიდან ვუქნევთ ერთმანეთს, თითქმის ჟესტების ენით ვსაუბრობთ.

მე ასე ვფიქრობ - კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ კაცობრიობის ისტორია ომების, კონფლიქტების ისტორიაა. ძირითადად პოლიტიკას მაინც აქტიური, ხშირად უარყოფითი ენერგიის მატარებელი ადამიანები ქმნიან. როდესაც ასეთი ადამიანები უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან ქვეყნისთვის, ვიდრე მაღალი კულტურის მატარებლები, მაშინ ქვეყნის საქმე ცუდადაა.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც სხვებთან კი არა, საკუთარ თავთანაც ვერ პოულობ საერთო ენას. ეს ომის მდგომარეობაა, ან მდგომარეობაა იმ მშვიდობისა, რომელიც სრულებით არ ჰგავს მშვიდობას. მშვიდობაც არაადამიანური გახდა.

ბევრმა სიტყვამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, აზრმაც. ნდობის ფაქტორმა თავად საზოგადოების შიგნით დაიწყო დაცემა.

ჩვენ უახლესი წარსულიდან გადმოგვეცა ასეთი ტრადიციაც - მასობრივი დახვრეტები, დასჯა, ხალხების გადასახლება. გვასწავლიდნენ, რომ ეს ჭირდება უზენაესი მიზნის მიღწევას. ამართლებდნენ ყოველგვარ დანაშაულს. ეს მასობრივი იდეოლოგიის თვისებაა - ფეხით გათელოს ყოველივე ადამიანური, მასებად მონათლოს ადამიანთა გაერთიანებები, შექმნას "უსასრულო წარმატებების" ილუზია.

ბრბოდქცევის აგრესიულ პროცესს, მასობრივ ფსიქოზს ვერ გაუმკლავდნენ პოლიტიკური დაუნდობლობის, პოლიტიკური სპეკულაციის მსხვერპლი ადამიანები.

ვსაუბრობთ დიად მიზნებზე, ზეპოლიტიკაზე, ეგოპოლიტიკაზე, ეკოკულტურაზე, ადამიანები კი გვავიწყდება. ვსაუბრობთ სამართლიანობაზე, უსამართლობაზე, უსასრულო ბრალდებებზე, სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოწყობაზე, ადამიანები კი არ გვახსოვს. შეიძლება ამიტომაც წარიმართა ასე სასტიკად ჩვენი კონფლიქტები, ასე არასამართლიანად, ასე არაკაცურად.

იქნებ ამიტომაც, გაადვილდა წარმოუდგენელი დანაშაულობები...ადამიანის ფენომენის ნულოვნებამ ყველაფერი გაადვილა და გააპრიმიტიულა.

იმის ნაცვლად, რომ არა მარტო საკუთარ სატკივარზე გველაპარაკა და ერთმანეთის პრობლემებს ჩავღრმავებოდით, ილუზიებს აყოლილებმა სპრინტერის ფსიქოლოგიით მოვინდომეთ დიდი მანძილის დაძლევა, იმ მანძილის, რომელსაც სტაიერის მოთმინება სჭირდებოდა.

ვერც საუკუნეთა ტრადიციებმა და ვერც ნათესაობამ ვერ შეაჩერა ვერც ერთი სახის კონფლიქტი. მაგალითად, თბილისში ერთი ოჯახის წევრები, ღვიძლი ძმებიც ესროდნენ ერთმანეთს ტყვიას ქალაქის ცენტრში. არ გვეყო პრობლემების ვითარების მოწესრიგების კულტურა, არადა, წინათ კონფლიქტების მოგვარების შესანიშნავი ინსტიტუტები გაგვაჩნდა. სად გაქრნენ ის ინსტიტუტები?

ჩვენ თავად უნდა ვცეთ ერთმანეთს და საკუთარ თავსაც პატივი. ჩვენ თავად უნდა გავხდეთ უკეთესი კაცობრიობის ნაწილი; კი არ უნდა გაგვხადონ სხვებმა, არამედ თავად უნდა გავაკეთოთ ეს.

არსებობს აზრი, რომ კავკასიაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნა ადვილი შესაძლებელია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ვფიქრობ, ეს აზრი ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, მაგრამ თუ როგორ შეიძლება აქ დაწყებული კონფლიქტის დარეგულირება, ეს ჯერ კიდევ არავინ იცის. ის კი არადა, ხანდახან "ტერმინების კონფლიქტების" მომსწრენიც ვხდებით. მხედველობაში მაქვს ის გაცხარებული კამათები, იმის გამო, რომ ადამიანები სხვადასხვა მოვლენის ამსახველ ტერმინს სხვადასხვაგვარად იყენებენ. მაგალითად, პირადად ჩემთვის ყველაზე კარგად ნაცნობი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ხშირად შემდეგნაირადაა მოხსენებული: "აფხაზურ-ქართული ომი", "ქართულ-აფხაზური ომი", "კონფლიქტი აფხაზეთში", "საქართველო-რუსეთის ომი", "რუსეთ-საქართველოს ომი", ასეცაა დაფიქსირებული - "ამერიკა-რუსეთის ომი", "რუსეთ-ამერიკის ომი", "საქართველოს-რუსეთ-აფხაზეთ-ამერიკის ომი" და ა.შ.

თითქმის, იგივე სიტუაციაა ყარაბახისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით. დავამატებ, რომ ჩემი დაკვირვებებით, ზემოჩამოთვლილი კონფლიქტებიდან ყველაზე "რთული და მძიმე" - ყარაბახის კონფლიქტია, "შედარებით მსუბუქი" - სამხრეთ ოსეთის, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტი "საშუალო სიმძიმის" კონფლიქტია. კონფლიქტების ასეთი განსაზღვრისას ვხელმძღვანელობ დაპირისპირებული საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულებების ხასიათით, ხოლო, რაც შეეხება მათ პოლიტიკურად დარეგულირებას, ისინი პოლიტიკურად თითქმის ერთნაირად და სრულიად მოუწესრიგებელი კონფლიქტებია.



კაცობრიობამ ადამიანისაგან ადამიანის დასაცავად უამრავი წესი და კანონი შექმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ულტრათანამედროვე ომებს მაინც ჰყავთ თავიანთი მკვლელები, ჯალათები, მარადიორები. კავკასიაში თითქმის ნებისმიერი კონფლიქტი მიმდინარეობდა წარმოუდგენლად სასტიკი მკვლელობებით. მე ასე ვფიქრობ - ჯალათებს ქრომოსომები სულ სხვაგვარად აქვთ მოწყობილი და ჩვენი კანონებით მათი გასამართლება შეუძლებელიცაა.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველ კონფლიქტს თავისი რაინდები ჰყავს. მე ეს უკვე "წითელ წიგნში" შევატანი ("რაინდი") სიტყვა გამოვიყენე იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში არ კარგავენ სულის სიმაღლეს, ვაჟკაცობას, ღმერთისა და ადამიანის სიყვარულს და ყველაფერს აკეთებენ მოყვასის გადასარჩენად, სამართლიანობის დასამკვიდრებლად, საუკეთესო ტრადიციების შესანარჩუნებლად.

ასეთი ადამიანები, მართალია, ვერ ზემოქმედებენ პოლიტიკაზე, მაგრამ ისინი სასტიკ სამყაროს უცვლელ სახეს და დედამიწის კეთილშობილებას უნარჩუნებენ.

მაქვს ბედნიერება, ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობდე. ბევრმა მათგანმა წესიერად არც იცის სიტყვა "ტოლერანტობის" მნიშვნელობა.

უმრავლესობისაგან განსხვავებით ისინი ძალიან ცოტას საუბრობენ იმაზე, თუ როგორ უნდა აკეთო "საქმე კეთილი". ისინი უბრალოდ, უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს ყველაზე რთულ სიტუაციაში.

ერთი კეთილი საქმე კი ათას თათბირზე მნიშვნელოვანია.

ჭეშმარიტად, კაცმა, რომელმაც ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა, კაცობრიობაც გადაარჩინა.

აი, რა მიამბო აფხაზეთიდან დევნილმა, ან გარდაცვლილმა, მაშინ 55 წლის ლ. მიქავამ (ქ. თბილისი, 1996 წ.):

"1993 წლის სექტემბრის ბოლოს აფხაზურმა მხარემ აიღო ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალი დაბა. მე სახლში ვიყავი, ტყვედ ამიყვანეს. ვილაცამ თქვა - ეს აქაური სკოლის მასწავლებელიაო. შეიქმნა ჩემი სიცოცხლის ხელყოფისათვის საშიში სიტუაცია. შეიძლება დავეხვრიტეთ. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა მელოდა, მაგრამ საშიშროება დიდი იყო. ამ დროს მოირბინა ჩემი ასაკის წვერიანმა აფხაზმა კაცმა. მან თქვა - ამას მე მოვუვლიო, ხელი მომკიდა და თავისი "ჟიგულისაკენ" წამიყვანა. სხვები აღშფოთდნენ, მაგრამ კაცმა თავისი გაიტანა. გალისკენ წამიყვანა. გზაში მკითხა: ვერ მიცანიო? მე ის კაცი ვერ ვიცანი. შემდეგ სახელი და გვარი მითხრა. შემიხნებული და გოგნებული ვიყავი, მაგრამ მაინც გავიხსენე.

ომის დროს ძროხა დამეკარგა, კარდაკარ ვეძებდი. მეზობელ სოფელში გადავედი. იქ ძირითადად აფხაზები ცხოვრობდნენ. ომის დროს უმრავლესობამ დატოვა სოფელი. მათი სახლების ჭიშკარი ღია იყო, სახლები გაძარცული; სახლების კარ-ფანჯრებიც ღია. ეზოებში ვეძებდი ძროხას, იქნებ შევიდა და ვერ გამოვიდა-მეთქი. ერთ ეზოშიც (იმ აფხაზი კაცის ეზოში) შევედი. ძროხა ვერ ვნახე. ეზოში იმ კაცის 20 წლის ბიჭის საფლავი იყო. ათიოდე წლის წინ მე იმ ბიჭის გასვენებაში ვიყავი. საფლავთან მდგარ მსხლის ხეს ტოტი მოსტეხოდა და საფლავზე ეგდო. ტოტი გადავათრიე, საფლავი ფოთლებისაგან გავასუფთავე და მერე სამი მსხალი დავდე საფლავის თავთან.. მერე კარ-ფანჯარა ჩავკეტე, ჭიშკარიც, და წამოვედი.

აფხაზმა კაცმა მითხრა - მე შენ გნახე, მაშინ თხილნარში ვიმალებოდი. ხანდახან მალულად მოვდიოდი სახლში, ბიჭის საფლავს ვაკითხავდი. მე ვხედავდი, თუ როგორ უვლიდი ჩემი შვილის საფლავსო. მან ოჩამჩირის ერთ-ერთ სოფელში თავის ნათესავთან მიმიყვანა. სამი დღე იქ დავყავი. ჩემთან ერთად შვიდი ქართველი იყო იქ, ერთი ქალიც ძუძუს ბავშვით. იმ ბავშვისთვის აფხაზი მასპინძლის 12 წლის ბიჭს ყოველდღე რძე მოჰქონდა. ბიჭი სოფლის მინდორში მალულად წველიდა ძროხებს. მეოთხე დღეს ენგურზე გადაგვიყვანეს."

ვ.ხ. 57 წლის, აფხაზეთიდან დევნილი (ქ. თბილისი, 1996 წ.):

"ჩემი სოფელი კოჩარა (ოჩამჩირის რაიონი) აფხაზებმა 1992 წლის ნოემბერში აიღეს. მე ფეხი მქონდა ნატკენი და სოფლიდან წასულ ლტოლვილებს ჩამოვრჩი. ტყეში დამიჭირეს. სხვა სოფელში წამიყვანეს, ერთ-ერთ სახლში მოხუც აფხაზს მიაბარეს ჩემი თავი - აქედან მაინც ვერსად გაიქცევიო. ხანდახან მომაკითხავდნენ უცნობები, მცემდნენ - ომის დროს ქართველებმა დიდძალი იარაღი შემოიტანეს, შენ სოფლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხარ, გეცოდინება სად დამალესო. მე არაფერი ვიცოდი, რამდენჯერმე დახვრეტა დამიპირეს. მდგომარეობა რთულდებოდა. დავსუსტდი, საჭმელი ყელში არ გადამდიოდა.

მოხუცს ვთხოვე, ჩემი ბავშვობის მეგობარი აფხაზისთვის შეეტყობინებინა ჩემი ამბავი. შეატყობინა. მეგობარი მოვიდა, გადამეხვია. ორთავემ ვიტირეთ. რატომ უნდა მომხდარიყო ეს ომი?! ვთხოვე, გამიყვანე-მეთქი აქედან. მითხრა - აქაურობა, ფაქტობრივად, ალყაშია, მაგრამ რამეს მოვიფიქრებო. მეორე დღეს მეგობრებთან ერთად მოვიდა, მითხრა, ვერტმფრენი უნდა მოფრინდეს, პროდუქტები ჩამოაქვს, იქით მხოლოდ მოკლულ ბოევიკებს წაასვენებს, შენც ვითომ მოკლული მებრძოლი ხარ, ბრეზენტში გაგახვევთ და გადაგაფრენთო. ასეც მოიქცნენ. ვერტმფრენამდე ძლივს გავიკვლიეთ გზა - უამრავი ადამიანი ირეოდა ვერტმფრენთან.

ბევრს წასვლა უნდოდა, მაგრამ არავის უშვებდნენ ვერტმფრენში. მე ბრეზენტში გახვეული, ავტომატებზე ვყავდით დასვენებული. "Дайте дорогу, убитого боевика несем!" - უყვიროდნენ ხალხს ჩემი მეგობრის ამხანაგები. ვერტმფრენში მხოლოდ მე ვიყავი, გვერდით მოკლული ჯარისკაცები ესვენა - სამი კუბოში, ორიც ბრეზენტში იყო გახვეული ჩემსავით. კარგა ხნის ფრენის შემდეგ ვერტმფრენი სადღაც დაფრინდა, თოვლში. მოგვიანებით გავიგე, ჩრდილოეთ კავკასიაში ვყოფილვარ. ვერტმფრენიდან გამოსული აფხაზს შევეფეთე. მე და ის სტუდენტობისას ერთად ვცეკვავდით ანსამბლში. ის გაოცდა - შენ აქ როგორ მოხვდიო. მერე იმან ფული მომცა. მეორე დღეს ქ. მინვოდში აღმოვჩნდი".

ღირსეულად, ჰუმანური წესების დაცვით წარმართული კონფლიქტი მისი მალე მოწესრიგების გარანტიაა, ხოლო მკვლელობებით, მძიმე დანაშაულობებით წარმართული ძალიან დიდხანს ვერ მოგვარდება.

ისტორიას ახსოვს რაინდული ომები, როდესაც გამარჯვებული მხარე ბრძოლის შემდეგ დამარცხებულთა პატივისცემით ქვემეხებს აგრიალებდა - ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენო. ისეთ ომებში მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება წარმოუდგენელი იყო.

ადამიანური ურთიერთობები ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა დგას და მარადია.

ადამიანთა ურთიერთობების კულტურა, და კულტურა საერთოდ, უზენაესია. ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელ მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი საბჭოთა კავშირის რადიომაუწყებლობები გერმანულ კლასიკურ მუსიკას აჟღერებდნენ, გამოიცემოდა გერმანელი კლასიკოსების ტომები.

ადამიან-გადამრჩენელი ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში ვარდება, მას ერთის მხრივ, დაპირისპირებულ მხარეს მყოფი ადამიანებისაგან ელოდება საშიშროება, მეორე მხრივ, საკუთარი მხარის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც არ პატიობენ მას მტრის მფარველობას.

ომის ორომტრიალში ადამიანების ნაწილი გამძაფრებული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ ექცევა, ხოლო მეორე ნაწილი ფსიქოლოგიურად პარალიზებულია. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ რჩეულები მოქმედებენ ცივილიზებულად, მხოლოდ ისინი ახერხებენ ემოციურ-ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევას.

ომის დროს გამოიცდება ნებისმიერი ხალხის ტრადიცია, ისტორიული წარსული, თავისი ეტიკეტით, ისტორიული გმირობებით.

წარსულის ნებისმიერი ლამაზი ლეგენდა ექსტრემალურ სიტუაციაში გადის თავის გამოცდას. ჩვენ ყველანი ყოველთვის ვემზადებით გამოცდის წინაშე. ადამიანებს უჭირთ დაჯერება იმ უმძიმესი დანაშაულისა, რომელიც მისი ერთნების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს. "არა, ქართველი ამას არ გააკეთებდა", - ხშირად გაიგია. "აფხაზი ამას არ იზამდა," - ესეც გამიგია. თავად ეს ფაქტი მრავლისმთქმელია - ნებისმიერ ადამიანს სურს, მისი საზოგადოება უკეთესი იყოს. საზოგადოებას უკეთესს კი ის ადამიანები ქმნიან, რომლებსაც უყვართ ადამიანები და მზად არიან მათ გამო თავი საფრთხეშიც ჩაიგდონ.

თითქმის ყველა რელიგია ღაღადებს ადამიანის სიყვარულზე. ადამიანის გადარჩენა, უმძიმეს სიტუაციაში მისი ღირსების შენარჩუნება უმაღლეს სინდისთანაა წილნაყარი. ასეთი სინდისი არამიწიერია. სიყვარული - ზეცისაა, სიძულვილი - ქვესკნელის.

კაცს მარტო კაცი არ კლავს, მას სიტუაციაც კლავს. ეს სიტუაციაც ადამიანებმა შექმნეს; ომი ავკაცების არენაა. ბოროტება ადეკვატურ ბოროტებას ბადებს. აფხაზეთის ომის დროს იყო შემთხვევები, როდესაც ტყვეებს გაცვლის წინ ხვრეტდა ერთი მხარე. გაიგებდა რა ამის შესახებ მეორე მხარე, ისიც ხვრეტდა გასაცვლელ ტყვეებს.

გადამრჩენლები არც კონფლიქტის, არც კონფლიქტის შემდეგ არ ხდებიან პოპულარულები. როგორც ვთქვი, ისინი ორმხრივი საშიშროების წინაშე დგანან. გარდა ამისა, მათი გმირობის ფონი ძალზე მძიმეა და არავის არ სურს აღიაროს ომის დანაშაულობები, ამიტომაც გადამრჩენებლების გამორჩევა, მათზე ხმამაღლა საუბარი თავად მათთვისაც არ არის სახარბიელო. მათზე წერა ხშირად დანაღმულ ველზე სიარულს უდრის. პატარა შეცდომაც შეიძლება ძალზე ცუდი შედეგის მომტანი გახდეს, ამიტომაც, ხშირად მათი სახელების დამალვაც გვიწევს. ამას დრო სჭირდება და ჭეშმარიტი მშვიდობა.

ადამიანთა გადამრჩენლები ჩვენი კონფლიქტების უსახელო რაინდები არიან.

როგორც ომის დანაშაულობების, ისევე ომის ზნეობრივი გმირობების გარშემო მითები იქმნება. პირველსაც და მეორესაც თავისი სათავე რეალურ ისტორიებში აქვს, მაგრამ მათი გამორჩევა სინამდვილიდან ყოველთვის ადვილია, მით უმეტეს რამდენიმე წლის შემდეგ. მათ, ასე ვთქვათ, სინამდვილეს "გული ცნობს".

მეტად საინტერესოა საფრონტო ისტორიები, ანუ კონტაქტურ ბრძოლებში მონაწილე მეომართა თავგადასავლები. ზოგიერთი მათგანი ჩვენი კონფლიქტებით დაინტერესებული სხვა მოქალაქეებისათვის უცნაურიცაა და გაუგებარიც.

"1992 წლის ნოემბერში აფხაზ მეომართა ექვსკაციანი და ქართველ მეომართა შვიდკაციანი ჯგუფი გადამხმარი სიმინდის ყანაში შეეფეთნენ ერთმანეთს. ჯგუფები მწკრივად მოდიოდნენ. პირველები მეთაურები იყვნენ. ერთმანეთისაგან სულ ხუთიოდე ნაბიჯით დაშორებული მეთაურები ერთმანეთს მიაჩერდნენ. ორთავეს ავტომატი ჰქონდა ჩაბღუჯული. ჯგუფები ბრძოლისთვის მზად იყვნენ. რამდენიმე წუთიანი დაძაბული სიჩუმე ერთმა მეთაურმა განმუხტა - "ძალიან ცივა, არაყი ხომ არ დაგვეღია". მეორე ჯგუფს პური და ხახვი აღმოაჩნდა. მეომრები მიწაზე დასხდნენ, ისაუბრეს, ერთმანეთი დალოცეს, ერთმანეთს ომის მალე დამთავრება და შინ მშვიდობიანად დაბრუნება უსურვეს. ნახევარი საათის შემდეგ თავთავიანთი გზებით წავიდნენ. მოგვიანებით ცაში ნასროლი ტრასირის ტყვიებით გააგებინეს ერთმანეთს - ყველაფერი რიგზეაო." (ჟურნალისტი გ. მელიქიძის ნაამბობიდან, თბილისი, 1994 წ.).

"ქართველი მეომარი (კახეთიდან) დათვრა, ხელები მაღლა ასწია და აფხაზების სანგრის მხარეს გადასძახა - არ მესროლოთ, თქვენთან მოვდივარო. ავტომატი ამხანაგს მიაბარა, ღვინით სავსე ათლიტრიანი ბოცა აიღო და აფხაზებისკენ წავიდა. გავიდა ერთი საათი, ორი, გვეგონა, მოკლეს ის ბიჭი, მაგრამ ვხედავთ, მოდის, თან რაღაცეები მოაქვს - აფხაზებს შავი ღვინო, ცხელი ღომით სავსე კარდალა და სულუგუნები გამოუტანებიათ" (აფხაზეთში დაღუპული ქუთაისელი მეომრის დ. ზივზივაძის დღიურიდან).

"არავინ იცის რა მოუვიდა, ალბათ, ფსიქოლოგიურ სტრესს ვერ გაუძლო, ჩემი ნაცნობი ბიჭი სანგრიდან ამოხტა და გინება-გინებით აფხაზების სანგრისკენ გაიქცა. როცა მიირბინა, იქიდან ვიღაცამ დაუძახა: "Грузин, ты пянь, вернись к своим." ბიჭი გამოერკვა და უკან გამოიქცა. მისთვის არ უსვრიათ" (დ. ზივზივაძის დღიურიდან).

"ტყეში ჩასაფრებულ აფხაზ მებრძოლს ქართველი დაადგა უკნიდან. როდესაც აფხაზმა მოიხედა, ქართველი ავტომატს უმიზნებდა. აფხაზი მეომარი ავტომატის სროლას ვერ ასწრებდა. ქარველმა რამდენიმე წუთი უყურა, მერე უთხრა - წადი, შენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიაო" (დ. ზივზიბაძის დღიურიდან).

"ქართველი მეომრები ალყაში მოექცნენ. ისინი შენობის სარდაფში იმყოფებოდნენ და იქიდან სროლით იგერიებდნენ აფხაზებს, სამი მოკლეს, ცოცხალი დარჩა მხოლოდ ერთი. აფხაზებს ისიც მოკლული ეგონათ. სარდაფში ჩავიდა ერთი აფხაზი მეომარი. ქართველმა მას ესროლა, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ იყო. ქართველმა იარაღი აყარა აფხაზს. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა - მე ცოცხალი არ ჩავბარდები, შენ, თუ ხოხვა შეგიძლია, წადი. აფხაზმა სამშვიდობოს გააღწია. ცოტა ხანში ქართველი დაიღუპა. მითხრეს, ომის შემდეგ ის აფხაზი ქართველის სახელისა და გვარის დადგენას ცდილობდაო". (მ. ყუფარაძე, ქ. თბილისი, 1999 წ.).

სამყაროში არ არსებობს "მარადი მტერი", თუმცა, სამწუხაროდ, არც "მარადი მეგობარი" არსებობს, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა მტრები საერთოდ არ გავხდეთ ერთმანეთისთვის. ეს შესაძლებლობა გამოუყენებელია.

ცალ-ცალკე და ნაწილობრივ ყველამ კარგად ვიცით კავკასიის კონფლიქტები, მაგრამ მთლიანობაში ცუდად, ან სულაც არ ვიცით. მარცხენამ არ იცის, რას აკეთებს მარჯვენა. ჩვენ თავს დაგვსტრიალებს უარყოფითი ადგილობრივი და უარყოფითი საერთაშორისო მნიშვნელობის სტერეოტიპები. ჩვენ არ ვართ ყანწის, მანდარინის, ხანჯლის, ქუდი-აეროპორტის ხალხი. ჩვენ დიდი კულტურული რესურსების მატარებლები ვართ, მაგრამ...

თუ ჩვენმა საზოგადოებებმა ვერ გაიგეს ერთმანეთის სატკივარი, პოლიტიკოსებმა საუკეთესო გადაწყვეტილებებსაც რომ მოაწერონ ხელი, მაინც არაფერი გამოვა. ამ სამყაროში ჩვენ სხვა არავინ გვეტყვის ბოდიშს, ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ ერთმანეთს.

ჩვენ ამისათვის გვაქვს შესანიშნავი საშუალება - სახალხო დიპლომატია. მისი სახელისაგან გამომდინარე ის ჭეშმარიტად ხალხის კუთვნილებაა, კეთილშობილი, ბრძენი ხალხის, მაგრამ არაოფიციალური დიპლომატია არ უნდა გახდეს ოფიციალური დიპლომატიის, პოლიტიკის შენიღბული გაგრძელება. თუ მან სახე იცვალა, დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ის მარად ახალი, ეფექტური გზების ძიებაში უნდა იყოს, ის არ უნდა გახდეს კონფორმისტების, ყალბ, ნიჰილისტ ერუდიტთა თავშესაფარი, ის არ უნდა გახდეს გრანტებს დახარბებული ცრუ, სამშვიდობო, უშედეგო ინიციატივების სათავე. მის გზაზე ნათელმა ადამიანებმა უნდა იარონ, მათ, რომლებიც უმძიმეს წუთებშიაც ინარჩუნებენ ადამიანობას, აგრძელებენ, საუკეთესო ტრადიციებს და თავიანთი არსებობით საუკეთესო კაცობრიობას ემსახურებიან.

"Абхазы контролировали высоту Ануаа-рхуы, внизу на трассе ими был взорван мост. Беженцы-грузины доезжали на автобусе из Сухума до взорванного моста, переходили речку вброд, а затем садились в автобус, который в это время прибывал из Очамчира. Беженцы знали, что высоту контролируют абхазы, и поэтому переход из одного автобуса в другой занимал считанные минуты. Правда, по мирным гражданам никто не стрелял, но на войне всякое бывает...

И вот в один из дней подошел автобус из Сухума, переполненный стариками, женщинами, детьми. За несколько минут люди перебрались в другой. Среди беженцев был старик с тремя внучками. Взяв одну внучку и нехитрый скарб, он перенес их в автобус, быстро пошел за второй внучкой, перенес и ее в автобус. Третья внучка стояла на другом берегу речки, ожидая дедушку. Но в это время автобус с беженцами, где был дед с двумя внучками, рванул вперед. Видимо, водитель, забыв от страха о совести, бросил девочку на произвол судьбы. Все это наблюдали воины с абхазской и грузинской стороны. У абхазов был единственный гранатомет с тремя снарядами, его держали на крайний случай. И вдруг впереди уходящего автобуса, на безопасном расстоянии, разрывается снаряд гранатомета. Водителя предупредили - остановись, забери ребенка, но автобус продолжал мчаться. И вновь перед автобусом разорвался снаряд, и опять автобус продолжает движение. Раздался третий выстрел, и вновь снаряд взорвался перед автобусом - он остановился, из него вышел пожилой мужчина и медленно, неспешно пошел по дороге, перешел речку, взял внучку на руки и снова спокойно, медленным шагом направился к автобусу. Посадив девочку в автобус, он опять вышел из него, встал на колени лицом в сторону Ануаа-рхуы, искренне помолился и снова спокойно вошел в автобус, тот тронулся с места и скоро исчез из виду. И тут раздался салют - так грузины приветствовали человеколюбие абхазов."

(Аслан Гуажба - "Народная дипломатия и ораторство на Кавказе". Из сборника публикации "Аспекты Грузино-Абхазского конфликта". Ирвайн, 2001 г.).

"ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ქართული სამხედრო შენაერთები ბრძოლით შევიდნენ. სოფლის მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. სამი ქართველი მებრძოლი ერთ-ერთი მიტოვებულ ორსართულიან სახლში შევიდა. ამ დროს მათ ალყა შემოარტყეს აფხაზმა მებრძოლებმა და ცეცხლი გაუხსნეს. ორი ქართველი დაიღუპა, მესამემ გადაწყვიტა ფანჯრიდან გადამხტარიყო, შეარჩია კიდეც ერთ-ერთი ფანჯარა, რომელსაც ნაკლებად ხვდებოდა ტყვიები. ის-ის იყო გადახტომა გადაწყვიტა, რომ ოთახის კუთხეში 2-3 წლის ბავშვი ნახა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ოჯახის წევრებს ეგონათ, ბავშვი მეზობლებმა წაიყვანეს - ყველა ხომ სწრაფად ტოვებდა სოფელს. ბავშვი კი, ეტყობა, საწოლის ქვეშ იყო დამალული.

სახლს უკვე ცეცხლი ეკიდა, იქ ბავშვის დატოვება შეუძლებელი იყო. ქართველმა მეომარმა ბიჭი ხელში აიყვანა, მკერდში ჩაიხუტა და ფანჯრიდან გადახტა. ტყემდე სულმოუთქმელად ირბინა, მერე იქ ერთი ხის ძირას ორმოში ჩაიმალა ბავშვთან ერთად. დაღამებას ელოდა, რათა სიბნელეში თავისიანებთან გადასულიყო, მაგრამ საღამოჟამს ორი აფხაზი მეომარი დაადგა თავს და ტყვედ აიყვანეს. ქართველმა უთხრა - მე მებრძოლი ვარ, თუ გინდათ დამხვრიტეთ, მაგრამ იქ, ორმოში ბავშვია. ერთ-ერთმა აფხაზმა ბავშვში ძმისშვილი შეიცნო. გაკვირვებულმა იკითხა, თუ რა უნდოდა მასთან ძმისშვილს. ქართველმა ყველაფერი აუხსნა. შემდეგ დატყვევებული ქართველი აფხაზებმა მალლა, მთის სოფელში, ბავშვის ბაბუის სახლში აიყვანეს.

ბავშვს მთელი სანათესაო ეძებდა. როცა ყველაფერში გაერკვნენ, ბავშვის ბაბუამ ქართველს უთხრა - შენ გვარის გამგრძელებელი გადამირჩინე, შენ ნამდვილი მეომარი ხარ. შემდეგ ქართველის საპატივცემულოდ აფხაზებმა ხბო დაკლეს, სუფრა გაშალეს, მიიღეს ის, როგორც სტუმარი, დალოცეს. მეორე დილით, უთენია ქართველი ბავშვის ბიძამ გაიყვანა სამშვიდობოს. დამშვიდობებისას ჯერ ავტომატი დაუბრუნა, შემდეგ კი გაუცვალა თავის ავტომატში, უთხრა - ჩვენ კი ვებრძვით ერთმანეთს, მაგრამ დღეს მეგობრებად დავშორდეთო" (აფხაზეთში ნაბრძოლის ვ. ვაშაკიძის ნაამბობიდან. ქ. თბილისი, 1995 წ.).

ომმა გამოცადა თითოეული ჩვენთაგანი. ჩვენ ომის საშინელებაგამოვლილებს, კარგად გვახსოვს მკვლელთა და ყაჩაღთა, სულმდაბალთა და უგუნურთა ავკაცობანი და ისიც გვახსოვს, თუ როგორ გადაარჩინეს სიკვდილს, როგორ აარიდეს ერთმანეთი განსაცდელს სხვადასხვა დაპირისპირებულ მხარეს მყოფმა ადამიანებმა, როგორ შეინარჩუნეს მათ ომის დამთრგუნველ საშინელებაში სულის სიმაღლე, რაინდობა, ღმერთისა და კაცის სიყვარული.

მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ ომის სისასტიკეზე და, ამავე დროს, და ყველაზე კარგად - იმ ნათელი სულის კაცებზე, რომელთანაც, როგორც ყოველ დროს და ყველგან, აფხაზეთშიც დამარცხდა ომი...

*გურამ ოდიშარია*

სიღარიბე და სოციალური პრობლემები - კინემატოგრაფის ინტერესის სფერო



B6

ჯინის ბოთლში გამოკეტვის ხელოვნება



B7

„ხმა მიეცი ან მოკვდი"




B8

ნომრის სტუმარი

# პატარა ქვეყანასთან ჩხუბი დიდი ქვეყნის საქმე არ არის

## ამით ის ავტორიტეტს კარგავს

*"ჩემი მშობლები ართვინში, სოფელ გოგლიეთში ცხოვრობდნენ. ის მიწა საქართველოს მიწა იყო და ჩვენც გოგლიძეები ვართ. არ დავკარგეთ არც ენა, არც გვარი, არც სისხლი და კიდევ მილიონ ათასი წელი ასე იქნება," - ეს თქვა ბიზნესმენმა იბრაჰიმ ართვინლიმ, წარსულში პოლიტიკოსმა, დემირელის უახლოესმა და გავლენიანმა თანამებრძოლმა, წარსულში თურქეთის პარლამენტის თავჯდომარის მოადგილემ და "ბისეკის" თავჯდომარემ. ეს ის კაცია, რომელმაც 1993 წელს ჩვენს ქვეყანას ის თურქული კრედიტი გამოუყო, რომელსაც მთელი საქართველო დაახლოებით იმდენი ხანი ეძებს, რამდენსაც სულიკოს დაკარგულ საფლავს. ამავე პერიოდში სწორედ მან აჩუქა ჩვენს ქვეყანას 50 000 ტონა ხორბალი, რომელიც "სურსათ-სანოვაგის" მაშინდელმა მინისტრმა უმალ გაყიდა. მოკლედ, ქვემოთ წაიკითხავთ სულაც არატკბილ მოგონებებს, რომელსაც სავსებით პრაგმატიკოსი თურქი ბიზნესმენი და რომანტრიკოსი ძველი ქართველი გვიამბობს. ჩვენ მას ბათუმში, თურქი ბიზნესმენების სტუმრობის დროს შევხვდით.*

მაია ჭალაგანიძე

- დიდი ისტორიები მაკავშირებს საქართველოსთან და მოყოლას არც 10 წუთი ეყოფა და არც 10 საათი... პირველად 14 წლის წინ ჩამოვედი საქართველოში და ვიყავი პირველი თურქი პარლამენტარი, ვინც ამ მიწაზე დადგა ფეხი. თქვენს პარლამენტში ქართულ ენაზე ვთქვი სიტყვა.

30 წელი დემირელის პარტიაზე ვიმუშავე. როდესაც დემირელი თურქეთის პრეზიდენტი გახდა, საქართველოში ჩამოვედით. შევარდნაძემ სადილზე დაგვპატიჟა. დემირელმა მითხრა, ჩემი სახელით შენ, როგორც ქართველმა, ილაპარაკეო და თავისი სიტყვა მე გადმომილოცა. ბევრი ხალხი ესწრებოდა იმ სადილს და ჩემი გამოსვლის მერე ტირილი დაიწყეს. მაშინ დემირელმა თქვა - თურქეთში მცხოვრები ერთი ქართველიც არ გამოსულა და არ უთქვამს, თურქეთის მიწა და დროშა არ გვიყვარსო. თურქეთის მოქალაქეებიდან ყველაზე კარგი ხალხი ქართველები არიან და ამიტომაც მიყვარს საქართველოო...

**- რომელი ქართველი დაგამახსოვრდათ?**

- ჯაბა იოსელიანი. თურქეთის მილი-მეჯლისი პარლამენტის ჩამოყალიბების დღეს ზეიმობს ხოლმე. ჯაბა იოსელიანი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი პირველი კაცი იყო, რომელიც ამ ბაირამის მოსალოცად მოვიდა მილი-მეჯლისში. ეს იყო 1992 წელს. ბატონმა დემირელმა მითხრა, ესეც ქართველია და შენც და შენი სტუმარი იყოსო. ერთი კვირა იყო ანკარაში.

ძალიან სხვანაირი კაცი იყო ჯაბა. ორი თვის მერე ჯაბამ დამპატიჟა თბილისში. იქ "მხედრიონის" დრო იყო და 20 კაციანი დაცვით დავდიოდით თბილისის ქუჩებში. ჯაბას ვუთხარი, რად გვინდა ოცი, ორი კაციც გვეყოფა-მეთქი. არაო, შენ დიდი კაცი ხარ და არ შეიძლებაო. კარგი დრო კი ვატარეთ...

**- აქამდე რა ურთიერთობები გქონდათ აჭარასთან?**

- 1992 წელს, როდესაც "ბისეკის" თავჯდომარე ვიყავი, ქობულეთში 11 ქვეყნის პარლამენტარები ჩამოვიდნენ და კავკასიაში ომისა და მშვიდობის თემაზე 5 დღიანი კონფერენცია ჩავატარეთ. ბატონი ასლანი მაშინ არ მოვიდა და არც აჭარის ხელისუფლებიდან გამოჩენილა ვინმე. არადა, ძალიან საჭირო და საკმაოდ წარმომადგენლობითი კონფერენცია იყო. აფხაზეთის ომის დრო იყო და გვინდოდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის გაგვეცნო სინამდვილე.

**- მსოფლიოში ახალი წესრიგი მყარდება. საქართველოც და თურქეთიც ევროსტრუქტურებისკენ ისწრაფვიან. როგორ გესახებათ ამ ფონზე ჩვენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა?**

- იმედი მაქვს, თურქეთი ევროკავშირში შევა და ევროკავშირის საზღვარი საქართველომდე მოვა. ეს ძალიან წაადგება ჩვენს ორ ქვეყანას. 14 წელია საქართველოში მივდივარ-მოვდივარ. თურქეთში 4 მილიონი ქართველი ცხოვრობს - ერთი საქართველოს ოდენა. აქ რომ ჩამოვდიოდი, საბაჟოს თანამშრომელი მეკითხებოდა, სად მიდიხარ, ვინ ხარო... იცით რა, ძალიან მწყინდა?1 ვეუბნეოდი, რას მეკითხები, შეხედე, ქართველი ვარ მეთქი. ახლა აღარავინ მეკითხება, ვინ ხარო და ძალიან მიხარია. თურქეთის საბაჟოზე ბიუროკრატია არის...

**- ამიტომაც სააკაშვილმა თქვენს პრემიერ-მინისტრს პროცედურის გამარტივება თხოვა.**

- დიახ, სააკაშვილი თავად სიტყვის პატრონი გამოვიდა და გაამარტივა ეს რეჟიმი. ახლა საქმე ჩვენზეა.

**- 1993-95 წლებში "ბისეკის" თავმჯდომარე იყავით. როგორია კონფლიქტების ანატომია მსოფლიოში? რას ფიქრობთ ცხინვალის რეგიონის ახალ რეალობაზე?**

- ჩემი აზრით, საქართველოს ერთი ნაკლოვანება აქვს - მსოფლიოში ლობი არ ჰყავს. ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს მსოფლიოში. ლობი რომ არსებობდეს, ეს პრობლემები საგრძნობლად შემცირდებოდა და რუსებზეც იმოქმედებდა. საქართველოს ორი დიდი მეზობელი ჰყავს - რუსეთი და თურქეთი და წესით ამ ქვეყანაში ყველაფერი კარგად უნდა იყოს. თურქეთიდან პრობლემა არ არის, მაგრამ ფაქტია, უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში საქართველო უკანუკან მიდის. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო რუსეთს საქართველოს ძლიერება არ უნდა. პატარა ქვეყანასთან ჩხუბი დიდი ქვეყნის საქმე არ არის, ამით ის ავტორიტეტს დაკარგავს.

**- თქვენ დაახლოებით იმას ამბობთ, რასაც ჩვენი მთავრობა - კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია, ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციებში გადატანა.**

- როგორც გითხარით, საქართველოს ნაკლოვანება ლობის არყოლაა, მთავრობამ თავის დროზე ამაზე არ იმუშავა. აფხაზეთის ომის დროს თურქეთში ეგონათ, რომ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა. ვერც გაზეთებში ვიპოვე და ვერც საქართველოს დიპლომატიური სამსახურების საწინააღმდეგო განცხადებას წავაწყდი სადმე. თურქეთის მილი-მეჯლისში ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ ეს არ იყო სწორი ისტორია და რომ ეს ომი რუსეთისა და საქართველოს შორის იყო. მაშინ საქართველოდან ამაზე არავინ მუშაობდა.

**- მთავრობა ქვეყნის შიგნითაც მალავდა იმას, რომ რუსეთი გვეომებოდა.**

- იმ მთავრობის დროს საქართველოში ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რაც ძალიან მწყინდა, როგორც ქართველს. 1993 წელს 50 მილიონიანი კრედიტი მე გავაკეთე. მაშინ თურქეთში დიდი გავლენა მქონდა, პრეზიდენტის ახლობელი, მეგობარი ვიყავი. სულეიმან დემირელმა მკითხა, რა შეგვიძლია გავაკეთოთ საქართველოსთვისო. მეც ვუთხარი, ფული უჭირთ და 100 მილიონი მივცეთ მეთქი... 100 არა, მაგრამ 50 მილიონი კი გამოვყავით.

**- მაშინდელი მთავრობიდან ვის ელაპარაკებოდით?**

- ჩვენ საქართველოს მთავრობას მივეცით. მთავრობამ სად წაიღო, ეს უკვე აღარ ვიცით.

**- ეს იყო კრედიტი, რამე დაგიბრუნდათ?**

- არაფერიც არ დაბრუნებულა. მინდოდა დამენახა, რომ ეს კრედიტი სამუშაო ადგილების შექმნას, საქმის კეთებას, ხალხის კეთილდღეობას მოხმარდა. სად წავიდა - არ ვიცი. ახლა ვინც საქართველოდან გაიქცა და საზღვარგარეთ ცხოვრობს, სწორედ მათ წაიღეს.

იმავე პერიოდში თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს ვთხოვე და საქართველოს 50 000 ტონა ხორბალი ვაჩუქეთ. უფასო ტრანსპორტირების საშუალებაც გამოვძებნეთ, მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მაშინდელმა მინისტრმა უარი თქვა ამაზე, გემი იჯარით აიღო და 25 000 ტონა საბერძნეთში გაყიდა. დარჩენილის ნახევარი კი საქართველოშივე გაიყიდა. ეს ისტორია ზუსტად ვიცი.

**- დემირელსა და შევარდნაძეს კარგი ურთიერთობები ჰქონდათ. პრეზიდენტებს არც კრედიტზე და არც ამ საჩუქარზე საუბარი არ ჰქონიათ?**

- პრეზიდენტმა რომ პრეზიდენტს გაკეთებული სიკეთის შესახებ შეახსენოს, არ შეიძლება. ერთერთ ქართველ ჩინოვნიკს კი ვუთხარი, არ გრცხვენიათ, საჩუქრის გაყიდვა როგორ იკადრეთ მეთქი?!

**- ვის უთხარით?**

- არ დავაკონკრეტებ, მათ თავად იციან.

**- და ახლაც მთავრობაში არიან?**

- არა, მთავრობაში არ არიან, მაგრამ კარგად ცხოვრობენ.

**- ამ წლების განმავლობაში მთელი მსოფლიო გვეხმარებოდა და წინ მაინც ვერ წავედით. თურქეთში მცხოვრებ ქართველობასაც უყვარს კორუფცია?**

- ეს ქართველების სენი არ არის, დროის ბრალია. ახლა ამის დრო მიდის და მგონია რომ, კარგი დრო მოდის. სააკაშვილის იმედი მაქვს. როცა ის პრეზიდენტი გახდა, მიმართვა გავუგზავნე, სადაც დავწერე: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არ იფიქროთ, რომ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ქართველების იმედი ხართ. მსოფლიოში რამდენი ქართველიც არის, იმათი იმედიც ხართ-მეთქი.

თურქეთში მცხოვრები ქართველები პრესტიჟული ხალხია. ყოველი მილიონიანი ქალაქის 10 პროცენტი ქართველია. როცა ასეა, გუბერნატორიც ქართველი ხდება და დეპუტატიც. ქართველები თურქეთში საქმის მკეთებელი ხალხია და თურქებმა იციან, რომ მათ სიტყვას ფასი აქვს.

**- როგორ ჩანდა თურქეთიდან აჭარაში მიმდინარე პროცესები და ასლანის გაქცევა?**

- ბატონ ასლანზე თურქეთში კარგი შთაბეჭდილება არ ჰქონდათ. ის იყო დესპოტი... 6-7 თვის წინანდელი ერთი ამბავი მახსენდება: თურქეთში დიდი ფირმა - "მერგიზჰოლდინგი" არსებობს, რომელიც "ნაიკზე" მუშაობს, ამ ფირმის მთელ ქსოვილს ის აკეთებს. მათ საქართველოში კონტაქტების დამყარება და საფეიქრო ფაბრიკების აშენება სურდათ. დასახმარებლად მე მომმართეს. ჩამოვედით თბილისში, ვნახეთ ფაბრიკები ქუთაისში და გორში. ამ ქალაქების გარდა ბათუმშიც უნდა ამოქმედებულიყო ფაბრიკა და საერთო ჯამში 6000 ადამიანი უნდა დასაქმებულიყო. დაითვალეთ, ეს რამდენი ოჯახი და ადამიანია?! 1000 - თბილისში, 500 - გორში, 3000 - ქუთაისში და 1000 - ბათუმში. ყველაფერი კარგად იყო. დაგვეხმარა ბატონი ჟვანია, მუმლაძე, სხვები. კონტრაქტებზე წინასწარ ვისაუბრეთ და ერთი თვის მერე საქმე უნდა დაგვეწყო. თურქეთში ბათუმის გავლით უნდა დავბრუნებულიყავით. მოვედით ჩოლოქზე და რას ვხედავთ - შეიარაღებულმა ნიღბიანმა კაცებმა მანქანიდან გადმოგვიყვანეს, გაგვჩხრიკეს ჩვენც და მანქანაც. ჩემმა სტუმრებმა მითხრეს, ბატონო იბრაჰიმ, სად მოგვიყვანე, რა ქვეყანაში ვართო?! საქართველოა-მეთქი, ვუპასუხე. თურქეთის საზღვარი სად არისო? ვუთხარი, რომ ეს ავტონომია იყო და მერე გავიდოდით საზღვარზე. ჩოლოქზე ნახევარ საათზე მეტ ხანს გაგვაჩერეს - გარს შავი კაცები გვერტყნენ, არც ლაპარაკი იცოდნენ და არც მოქცევა. ეს ყველაფერი მძიმე სანახავი იყო. თურქეთში ჩამოსულებმა მითხრეს, ამ ქვეყანაში არც ფულის მოგება გვინდა და არც არავითარი საქმის დაწყებაო. ასე ჩაიშალა ეს საქმე. ვისი ბრალია? აქ წარმოებული პროდუქცია მთლიანად ამერიკაში უნდა გაყიდულიყო, ეს ქვეყნის ექსპორტი და შემოსავალიც იქნებოდა... 10 დღის მერე აჭარის ამბავი დაიწყო და ეს საქმე სულ გაჩერდა.

**- საბედნიეროდ, ეს უკვე წარსულია. რა არის ის, რაც შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს?**

- ჩემი აზრით, ქვეყნის განვითარება იმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, თუ ვინ არის მთავრობაში. უპირველესად ქვეყანაში მართლმსაჯულება, კანონიერება და სამართალი უნდა იყოს გამეფებული. მე უნდა ვიცოდე, რომ აქ კანონი მუშაობს და ადამიანს არ უნდა ეშინოდეს, სააკაშვილი რომ წავა, ქვეყანაში რა მოხდება.

**- რით დაინტერესდნენ თურქი ბიზნესმენები საქართველოში?**

- საქართველოს მიმართ თურქეთს დიდი ინტერესი აქვს და გარწმუნებთ, მათი რიცხვი აქ ჩამოსულ 150 კაცს აჭარბებს. სამწუხაროდ, თურქეთში არ იციან, რა მაღალ დონეზეა საქართველოს კულტურა. კულტურის გაცნობა პირველ საქმედ მიგვაჩნია. კულტურა რომ იქნება, ყველაფერი წინ წავა.

**- ორი თვეა, თბილისში ცხოვრობთ, რას საქმიანობთ?**

- იმპორტ-ექსპორტით ვარ დაკავებული. სექტემბრის ბოლოს ჩემი ოფისი ბათუმშიც იქნება.

ერთხელ ჩემი თბილისელი მეზობელი ქალბატონი მეუბნება, აქ ქურდობაა და კარებს მაგარი საკეტები დაუყენეო. მე ვუთხარი, ეგ არაფერი, ქურდობა თურქეთშიც არის და რა საჭიროა საგანგებო ზომები-მეთქი? იმან მიპასუხა, რომ თურქეთში სიმკაცრეა და რომ ქურდობისთვის ხელს ან თავს ჭრიანო... საიდან მოიტანეთ, ქალბატონო, იქაც კანონით ისჯებიან ქურდები-მეთქი... თურქები და ქართველები ერთმანეთს ჯერ კიდევ არ იცნობენ კარგად.

ადამიანისთვის მსოფლიო სამოთხე არ არის და ვერც იქნება. ქურდობაც იარსებებს, კორუფციაც, მაგრამ ეს მინიმუმამდე უნდა დავიდეს. ამბობენ, საქართველოში ღამე გარეთ ვერ გახვალო, არადა, მშვენივრად დავდივარ. ისე ვცხოვრობ, პრობლემა არ მაქვს, ეს კი თურქეთში არ იციან. საქართველოს შესახებ მხოლოდ კონფლიქტები, ომები შუქდება და რაც კარგი რამ ხდება - ის არა.

საქართველოსა და თურქეთის მიწა სტრატეგიულია. მეგობრობისა და მეზობლობის იმედი მაქვს, ოღონდ, ქართველს მუშაობა უნდა უყვარდეს. სადღეგრძელოების და დიდი სუფრების დრო აღარ არის, მუშაობაა საჭირო.



საქართველოს ორი დიდი მეზობელი ჰყავს - რუსეთი და თურქეთი და წესით, ამ ქვეყანაში ყველაფერი კარგად უნდა იყოს.

წინა მთავრობის დროს საქართველოში ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რაც ძალიან მწყინდა, როგორც ქართველს.

მივწერე, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არ იფიქროთ, რომ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ქართველების იმედი ხართ. მსოფლიოში რამდენი ქართველიც არის, იმათი იმედიც ხართ-მეთქი.

თურქეთში 4 მილიონი ქართველი ცხოვრობს - ერთი საქართველოს ოდენა.

**კოდი 04-ს-01**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაციისა და მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს:
1. ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ;
2. ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ექსპონირებას საზღვარგარეთ; 3. ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებსა და ბიენალეებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტროში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**კოდი 04-ს-02**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**გამოფენების მოწყობაზე საქართველოში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობისთვის**

კონკურსი ცხადდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
თბილისსა და რეგიონებში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის შესაბამისდ;

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენების მოწყობას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვსდსხვა რეგიონებში. Gგამოიწვევენ შემოქმედთა სტიმულირებას, ვიზუალური ხელოვნების ახალი მიმართულებების და სახეები წარმოჩენას, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**პროექტის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3. 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, და მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**კოდი 04-ს-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**სახვითი ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
***ტელ. 99 03 06***
***სამშაბათს და ხუთშაბათს***
***14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.***

**საქართველოს კულტურის,**
**ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ღონისძიებათა მხარდასაჭერად

**კონკურსის მიზანია:**
მხარი დაუჭიროს იმგვარ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელი შეუწყოს იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგის შესახებ არსებობს ჩვენში და უცხოეთში. წაახალისოს ის ღონისძიებები, რომლებიც კონკურენტუნარიან გარემოში ქართული კულტურის ღირსეული წარმოჩენისკენაა მიმართული.

**კონკურსის პირობები:**
კონკურსი დააფინანსებს ქართულ-უცხოენოვანი ალბომების, ბარათებისა თუ საცნობარო ლიტერატურის მომზადებასა თუ გამოცემას, კინო თუ ელექტრონული პროდუქციის შექმნას საქართველოს კულტურული მემკვდრეობის შესახებ, აგრეთვე იმგვარ პროექტებს, რომლებიც ქართული ხელოვნებას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფონზე წარმოჩენას გულისხმობს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი პროფილის ნებისმიერ პროფესიონალს, ან პროფესიონალთა საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს. კონკურსში წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ახლდეს იმგვარი მასალა, რომელიც ამომწურავად და თვალსაჩინოდ დაახასიათებს პროექტის საბოლოო შედეგს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წელი

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს მუზეუმებში კოლექციათა შენხვის პირობების გაუმჯობესებისა და უნიკალურ ექსპონატთა რეაბილიტაციისათვის**

**კონკურსის მიზანია:**

ხელი შეუწყოს საქართველოს მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების შენახვისა და დაცვის პირობების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს პროფესიონალ რესტავრატორთათვის ძეგლთა საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა მათი დაცვისა და გადარჩენის მიზნით.

კონკურსის პირობები:
ექსპონატთა შენახვის რეჟიმის გაუმჯობესების ღონისძიებები თუ მათი კონსერვაციის მეთოდი დაფუძნებული უნდა იყოს კვალიფიციურ სამეცნიერო დასკვნებზე, სარეაბილიტაციო ძეგლები უნდა შეირჩეს მათი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობისა და გადაუდებლობის კრიტერიუმით. კოლექციათა შენახვის პირობების გაუმჯობესება სასურველია ითვალისწინებდეს მათი დაცვის პრევენციულ ღონისძიებებსაც. განსახორციელებელი საქმიანობა საჭიროებს წინასწარულ კომპლექსურ ექსპერტიზას, დადებითი შედეგის უცილობლად მისაღწევად.

განაცხადის წარმოდგენა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მუზეუმს ან მუზეუმთან დაკავშირებულ პროფესიონალებს, რომლებიც შექმნიან საინიციატივო ჯგუფს.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი თაობის სპეციალისტთა მოზიდვისა და პროფესიული დაოსტატების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

იმ ღონიოსძიებათა მხარდაჭერა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ძველი და ახალი თაობის სპეციალისტთა გამოცდილების უწყვეტობის შენარჩუნებას, ახალი თაობის პროფესიულ დაოსტატებასა და შეძენილი ცოდნის რეალიზების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად

კონკურსის მეშვეობით შეირჩევა ის ღონისძიებები - მასტერკლასები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვა - რომლებსაც მაქსიმალური სარგებლის მოტანა შეუძლია სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა დაოსტატების პროცესში.

**კონკურსის პირობები:**
განაცხადი დაფინანსებისათვის შეუძლია წარმოადინოს როგორც პროფესიონალთა ჯგუფმა, ისე პროფესიონალმა, რომელსაც აქვს სიძველეთა აღრიცხვის, რესტავრაცია-კონსერვაციისა თუ სიძველეთმცოდნეობითი გამოცდილება. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სემინარის მსმენელთა რაოდენობისა და კონტიგენტის შესახებ, აგრეთვე დასაბუთებას თუ ჩატარებული ღონისძიება რითი შეუწყობს ხელს არსებული ვითარების გაუმჯობესებას.
დაფინანსებულ ღონისძიებათა შედეგები - მონაწილეთათვის მისი შედეგიანობა - განხილული იქნება კომისიური წესით, საუკეთესო ახალგაზრდების შერჩევისას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებასთან მათი თანამშრომლობის მხარდაჭერას.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში პროფესიული განათლების დონის ამაღლების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამედროვე დასავლური ცოდნის გაზიარებას ქართველი პროფესიული საზოგადოებისათვის, ახალგაზრდებისათვის. დაფინანსდება: რესტავრაციის, კონსერვაციის, სხვადასხვა მეთოდოლოგიების შესახებ უცხოენოვანი საუკეთესო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა. აგრეთვე: ამ ლიტერატურისა და მათში მოყვანილი დასკვნების მისაწვდომობისათვის აუცილებელი ღონისძიებები - სემინარები, პროფესიული პრეზენტაციები, რომლებიც ახალგაზრდობისათვის წარმოაჩენს სარესტავრაციო-საკონსერვაციო დარგის პრესტიჟულობას, მნიშვნელოვანებასა და დიდ პრაქტიკულ საჭიროებას.

კონკურსის პირობები:
საუკეთესო პროექტთა შერჩევის შემდგომ, განხორციელების დაწყებამდე განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს შერჩეულ გამოცემაზე ნებართვის წარმოდგენა შესაბამისი ორგანიზაციიდან (გამომცემლობა, უნივერსიტეტი, საავტორო ჯგუფი თუ სხვა). სასურველია გამოცემა არ იყოს ორიენტირებული ფართო კომერციულ გათვლებზე, უპირველესად იგი უნდა გულისხმობდეს პროფესიული საზოგადოების საჭიროებას დარგში არსებული სიახლეების მიმართ.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში ქართველი ახალგაზრდობის დაოსტატებისა და თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

მხარი დაუჭიროს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და კონსერვაციის სფეროში უცხოელი მაღალკვალიფიციური ექსპერტების საქართველოში ჩამოყვანასა და პროფესიული თრეინინგების ჩატარებას სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის.

**კონკურსის პირობები:**
პროექტთა წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ექსპერტების მოზიდვას საქართველოს კულტურული მემკვიდრებისათვის გადაუდებელი საჭიროებათა გათვალისწინებით. განაცხადს აუცილებელია თან ახლდეს მოწვეული სპეციალისტის გამოცდილების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, მისი სამუშაო ადგილ(ებ)ისა და ჩატარებული კვლევ(ებ)ის ჩამონათვალი, აგრეთვე დასაბუთება, თუ ექსპერტის გამოცდილების გაზიარება რითი შეუწყობს ხელს საქართველოში კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
20 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქართველი ახალგაზრდობისათვის თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

წამყვან სარესტავრაციო, საკონსერვაციო და ამ სფეროს სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრებში ქართველი ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა, საქართველოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ნიმუშების გადარჩენისათვის აუცილებელი ცოდნის განსავითარებლად. კონკურსი დააფინანსებს სამგზავრო გრანტებს იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან უცხოურ ცენტრებში რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში დასაოსტატებლად.

კონკურსის პირობები:
განაცხადს თან უნდა ახლდეს ამგვარი ცენტრიდან (უნივერსიტეტიდან) მოწვევა, ენის ცოდნის სერთიფიკატი, საზღვარგარეთ მიმღები მხარის ვალდებულებები (სტიპენდია და სხვა), ცენტრის დახასიათება, განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია და დასაბუთება თუ რა აუცილებლობითაა გამოწვეული აღნიშნულ დარგში მისი საზღვარგარეთ მივლინება. აუცილებელია წარმოდგენილ იქნას იმ სასწავლო საათების, საგნებისა თუ საკითხების ჩამონათვალი და ხანგრძლივობა, რომლის დაუფლებაც არის დაგეგმილი უცხოეთში მივლინებისას. შესაძლებელია განმცხადებელთან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საექსპერტო კომისიის გასაუბრების საკითხის წამოჭრაც.
პირს რომელიც მიიღებს ამგვარ დახმარებას, დათქმული ვადების ფარგლებში საქართველოში დაბრუნებისას, შეუძლია მიმართოს სამინისტროს სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის სარეკომენდაციოდ.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
**საქართველოს რეგიონებში სამუზეუმო დაწესებულების თანამშრომელთა პროფესიული დაოსტატებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად**

**კონკურსის მიზანია**

რეგიონალურ მუზეუმებში უზრუნველყოს დაცვისა და კოლექციათა შენახვის თანამედროვე პრინციპების გაცნობა და დანერგვა, ახალგაზრდობის მოზიდვა სამუზეუმო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ცენტრსა და რეგიონებს შორის დაახლოება სამუზეუმო პრობლემათა ერთიანი ძალისხმევით მოსაგვარებლად.
კონკურსი ხელს შეუწყობს იმგვარი სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო კურსების ორგანიზებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიებისა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობის, ქვეყნის მუზეუმებში თანამედროვე სტანდარტების დასანერგად.

**კონკურსის პირობები:**

განაცხადი შეიძლება შემოიტანოს პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონალური მუზეუმების გააქტიურებას არსებული პრობლემების გაანალიზებისა და მოგვარების მიმართულებით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
10 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საუკეთესო ქართულ-ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის შესაქმნელად**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სრულად და ღირსეულად წარმოჩენას, იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურის ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული საზღვარგარეთ.

კონკურსის პირობები:
ვებ გვერდი უნდა შეიცავდეს: რაც შეიძლება სრულ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სფეროსა და ძეგლების შესახებ, უნდა იყოს უხვად ილუსტრირებული და ინფორმაციული, მოტანილი ცნობები კვალიფიციური და მრავალფეროვანი. სასურველია ტექნიკური ჯგუფისა და პროფესიული წრეების თანამშრომლობა ვებ-გვერდის შექმნისას.
განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს:
საიტის კონცეფცია, სტრუქტურა, ასევე ყოველი ნაწილის სამაგალითო ვარიანტი: ტექსტებით, ილუსტრაციებით, თარგმანით, დიზაინით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2,500 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**ძველი თბილისის ისტორიულ ძეგლებზე არსებულ მცირე ხელოვნების ნიმუშთა ფიქსაცია-პოპულარიზაციის სამუშაოებზე**

**კონკურსის მიზანია**

შეიქმნას მონაცემთა ბაზა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი, დღემდე მივიწყებული სფეროს - ძველი თბილისის ისტორიულ ნაგებობებზე არსებული მცირე ხელოვნების ნიმუშების შესახებ (სადარბაზოს კარები, ცხაურები, კიბისა და აივნის მოაჯირები, ფარნები, ქუჩის წარწერები და სხვა). სისტემატიზაციისა და ამომწურავი ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს ყოველდღიურად შემცირებული და უკვალოდ გამქრალი შესანიშნავი ნიმუშების დაფასებას, მათ გადარჩენასა და პოპულარიზაციას, სტიმულს მისცემს ქართველ ხუროთმოძღვართ აქტიურად გამოიყენონ ნიმუშები თავიანთ შემოქმედებაში.

კონკურსის პირობები:
დაგეგმილი კატალოგიზაცია უნდა ჩატარდეს არსებული საპასპორტო ფორმის შესაბამისად - ნიმუშების მისამართების, მდებარეობის, შენახულობის, თარიღის მითითებით და დახასიათება-აღწერით, ხარისხიანი დაწვრილებითი ფოტოფიქსაციით;
შეგროვილი მასალა საავტორო უფლებების დაცვით დაარქივდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, გამოყენების უფლებით.

ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

---

**კოდი 04-მ-01**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**აცხადებს კონკურსს**

**გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად**
**კონკურსის საფუძველი:**
გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს პოეტის ლექსებზე ვოკალური ნაწარმოებებისა და ა კაპელა შერეული გუნდების შესაქმნელად.
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი - ქართული პროფესიული საკომპოზიტორო მემკვიდრეობის გამდიდრება სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებით.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე ქართული მუსიკა გაამდიდროს ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი ახალი ნაწარმოებებით, გაააქტიუროს საქართველოს პროფესიული საკომპოზიტორო ცხოვრება, წაახალისოს ახალგაზრდა საკომპოზიტორო კადრები, ხელი შეუწყოს ქართველ შემსრულებლთა რეპერტუარის გამდიდრებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ჟანრის ნაწარმოებები: სიმღერა, რომანსი, ა კაპელა შერეული გუნდი.
კონკურსზე გამარჯვებული ნაწარმოებებისთვის თითოეულ ჟანრში დაწესებულია სამ - სამი პრემია: I პრემია - 800 ლარი
II პრემია - 700 ლარი
III პრემია - 600 ლარი.

განაცხადების მიღების წესი: საკონკურსო ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით, ორ ეგზემპლარად.
ცალკე, დახურულ კონვერტზე, აღინიშნება იგივე დევიზი, ხოლო კონვერტში - ავტორის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

**საკონკურსო ნაწარმოებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ნოემბერი.**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**ტელ. 99 03 06**
**ორშაბათს და ოთხშაბათს**
**14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.**

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტზე**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერ-კლასებში, შესაძლებელი გახადოს ნიჭიერ ახალგაზრდათა წარგზავნა უცხოეთში, ამით დაეხმაროს მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, ქართველ მუსიკოსთა წარმოჩინებას და ინტეგრაციას მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სივრცეში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მუსიკალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი (განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-მ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისადა სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**მუსიკალურ სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშესაწყობად**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.
თავისუფლი პროექტებმი უნდა დაეხმარონ საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ხელოვანთა ისეთი ინიციატივების (საკონცერტო პროგრამებისა და სპექტაკლების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა და სხვა) განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების სივრცეში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალობის ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემაზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თეატრალური ლიტერატურის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემა. მსოფლიო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნებამ, რომლის დეფიციტს დიდი ხანია განიცდის თეატრალური, ლიტერატურული წრეები და ფართო საზოგადოება, ხელი უნდა შეუწყოს ქართული თეატრების რეპერტუარის მრავალფეროვნებას, პროფესიონალებისა და მკითხველისათვის თანამედროვე დრამატურგიის მიმართულებების და ტენდენციების გაცნობას, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობის სტიმულირებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
კრებულის გამოცემის ბიუჯეტია 10 000 ლარი.
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 1 ოქტომბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თეატრალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა ხელშეჭყობა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული თეატრალური განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნებათ პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას (თეატრალური კრიტიკისა და ჟურნალისიტიკის განვითარების ხელშემწყობი პროექტები, სადადგმო ხარჯები ახალი სპექტაკლებისათვის, რეგიონების თეატრების სადადგმო ჯგუფების მიწვევა და სხვ.).

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**კონკურსი ცხადდება 2004 წლის 10 აგვისტოდან**
**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ თეატრალურ ხელოვანთა სამგზავრო გრანტზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს (რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრმცოდნე, სცენოგრაფი) საერთაშორისო თეატრალურ ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობას. პროექტების განხორციელება დაეხმარება ქართული თეატრის მოღვაწეთა ინტეგრაციას საერთაშორისო კულტურულ პროგრამებში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ თეატრალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი (განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**

*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

ათენი-2004

## 24 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ველოსპორტი** | | |
| ველოტრეკი. რბოლა ქულების მიხედვით | | ვაჟები |
| ოქრო | მიხეილ იგნატიევი | რუსეთი |
| ვერცხლი | ხოან ლიანერასი | ესპანეთი |
| ბრინჯაო | გვიდო ფულსტი | გერმანია |
| ველოტრეკი. სპრინტი | | ქალები |
| ოქრო | ლორი-ენ მუენცერი | კანადა |
| ვერცხლი | ტამილა აბასოვა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ანა მეარსი | ავსტრალია |
| ველოტრეკი. სპრინტი | | ვაჟები |
| ოქრო | რაიან ბეილი | ავსტრალია |
| ვერცხლი | ტეო ბოსი | ჰოლანდია |
| ბრინჯაო | რენე ვოლფი | გერმანია |
| **წყალში ხტომა** | | |
| ტრამპლინი. 3მ. | | ვაჟები |
| ოქრო | პენ ბო | ჩინეთი |
| ვერცხლი | ალექსანდრ დესპატი | კანადა |
| ბრინჯაო | დმიტრი საუტინი | რუსეთი |
| **პლაჟის ფრენბურთი** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | კერი უოლში - მისტი მეი | აშშ |
| ვერცხლი | ადრიანა ბეარი - სელდა ბედე | ბრაზილია |
| ბრინჯაო | ჰოლი მაკპიკი - ელეინ იანგზი | აშშ |
| **ძალოსნობა** | | |
| 105 კგ წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | რდიმიტრი ბერესტოვი | რუსეთი |
| ვერცხლი | ფერენც გიურკოვიჩი | უნგრეთი |
| ბრინჯაო | იგორ რაზორენოვი | უკრაინა |
| **მძლეოსნობა** | | |
| 3000მ. წინაღობებით | | ვაჟები |
| ოქრო | ეზეკიელ კემბოი | კენია |
| ვერცხლი | ბრიმინ კიპრუტო | კენია |
| ბრინჯაო | პოლ-კიპსილე კოეჩი | კენია |
| 100მ. ბარიერებით | | ქალები |
| ოქრო | ჯოანა ჰეიზი | აშშ |
| ვერცხლი | ოლიონა კრასოვსკაია | უკრაინა |
| ბრინჯაო | მელისა მორისონი | აშშ |
| 400მ. | | ქალები |
| ოქრო | ტონიკ უილიამს-დარლინგი | ბაჰამები |
| ვერცხლი | ანა გევარა | მექსიკა |
| ბრინჯაო | ნატალია ანტიუხი | რუსეთი |
| 1500მ. | | ვაჟები |
| ოქრო | ჰიხამ ელ გეჰრუჯ | მაროკო |
| ვერცხლი | ბერნარდ ლაგატი | კენია |
| ბრინჯაო | რუი სილვა | პორტუგალია |

# წაიგებთ! თუ წაგვაგებინეს?

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*

მთელი დღე ველოდით ირაკლი ჭოჭუას გამოსვლას. ქართველმა ფალავანმა გუშინ ყველაზე უკეთ წარმოაჩინა ქართული საჭიდაო სკოლა და მეოთხედფინალში უკრაინელ ვაკულენკოს ხვდებოდა. ვაკულენკო ახალგაზრდა სპორტსმენია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მოგება უკვე მოასწრო, ამიტომ ირაკლისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო.

შერკინება, ალბათ, ტელევიზიით იხილეთ და მის დეტალებზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ირაკლი ჭოჭუამ ბრძოლა ძალიან ჭკვიანურად წარმართა და რამდენიმე ისეთი გდება განახორციელა, რომელიც სამ ქულას აშკარად იმსახურებდა. მსაჯები კი მოულოდნელად ირაკლისაც ორ ქულას ანიჭებდნენ და ვაკულენკოსაც. არადა, ილეთი წმინდად ქართველი ფალავნის შესრულებული იყო.

ამას გარდა, თუ ყურადღება მიაქციეთ, პარტერშიც ძირითადად ჭოჭუას უწევდა დგომა. აქტიურობით კი უკრაინელს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ერთი პერიოდი მსაჯებმა ქართველი მოჭიდავე სამჯერ ზედიზედ გაამწესეს პარტერში. თითქოს საანგარიშო "ჩოთქიაო", ისე ყრიდნენ მსაჯები ქულებს ირაკლის გდებებზე - ორს ჩვენიანს აძლევდნენ (ზრდილობის გულისთვის), ორს კი უკრაინელს.

თუმცა, რა დამსახურებისთვის იღებდა ვაკულენკო ქულებს, ყველასთვის გაუგებარი დარჩა. "მთავარი მსაჯი კაზარიანი იყო და ტაბლოს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა. აბა ეგ ხეირს დაგვაყრიდა," - ხუმრობდა ფოტორეპორტიორი ალექსანდრე კოტორაშვილი. თვითონ უკრაინელებიც გაოცებულნი შესცქეროდნენ ტაბლოს, სადაც ანგარიში მსაჯების ხუშტურების შესაბამისად იცვლებოდა. ვერც გულშემატკივრებმა გაიგეს რამე. არავინ იცოდა, ასეთ პირობებში როგორ დასრულდებოდა მატჩი.

ამის მიუხედავად, ჭოჭუამ ძალიან კარგად იჭიდავა და ბრძოლის დამთავრებამდე 30 წამით ადრე ისეთი გდება განახორციელა, ტრიბუნები აღფრთოვანებაში მოიყვანა. ანგარიში - 10:10 იყო. ქართველის ფანდი სამ ქულას იმსახურებდა, მაგრამ კაზარიანის ბანაკში სხვაგვარად განსაჯეს და ჩვენდა გასაოცრად - 12:12 გახდა. რატომ მიიღო ვაკულენკომ ორი ქულა, ეს, ალბათ, მსაჯებს საფლავამდე საიდუმლოდ გაჰყვებათ. დამატებით დროში კი ჭოჭუა საკუთარ ილეთზე წამოეგო და დამარცხდა.

ბრძოლის შემდეგ ბეგი დარჩიას სანახავად კულისებს მიღმა გავეშურეთ. ვიღაც უცხოელი ამტკიცებდა, 13:10 თქვენი იყოო, მაგრამ ჩემთვისაც ვერ ამიხსნია, როგორ გახდა 12:12-ო. "ჭოჭუას ილეთი აშკარა და ყველასთვის თვალნათელი იყო, რატომ არ ჩათვალეს, გაუგებარია," - განაცხადა დავით გობეჯიშვილმა.

"ვის გინდა, ასე მოუგო. ხომ ხედავთ, რაც მოხდა. კაცმა სამქულიანი გდება განახორციელა და ქულები მეტოქემ მიიღო, - ამბობს ბეგი დარჩია. - ერთხელ მსაჯთა მაგიდასთან მივედი. მეტი რაღა მექნა?"

მანუჩარ კვირკველია მსოფლიო ჩემპიონია და მისგან მწვრთნელებიცა და გულშემატკივრებიც მეტს მოველოდით. მანუჩარის პირველი მეტოქე 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონი და სამგზის ევროპის ჩემპიონი, თურქი სერეფ ეროღლუ იყო. სამწუხაროდ, ბრძოლა ისე წარიმართა, რომ თურქმა აშკარად აჯობა ჩვენებურს. შეხვედრის ბოლოს კი მანუჩარს ნერვებმა უმტყუნა და მეტოქეს იდაყვი სახეში ჩაარტყა. ბოლოს მსაჯსაც ეკამათა. მოკლედ, მანუჩარ კვირკველია პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას, მაგრამ მედლისთვის ბრძოლის თეორიული შანსი კიდევ რჩებოდა.

თუმცა, მსაჯთა გადაწყვეტილებით, ქართველი ფალავანი შეჯიბრებიდან მოკვეთეს, სწორედ იმ ჩხუბისა და კამათისთვის. "მთელი ბრძოლის განმავლობაში თურქი თითებს მამტვრევდა. მეც ვერ მოვითმინე და იდაყვი მივარტყი," - ამბობს მანუჩარ კვირკველია.

გუშინ ირაკლისა და მანუჩარის გარდა საჭიდაო ხალიჩაზე კიდევ ორ ქართველს მოეცარა ხელი. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში - მუხრან ვახტანგაძეს, 120 კილოგრამ წონაში კი ვერ ივარგა მირიან გიორგაძემ. მირიანმა პირველი ბრძოლა შვედ ედი ბენგტსონს დაუთმო, მაგრამ პირველობისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნა.

საქმე ის არის, რომ კლასიკოსთა ტურნირი სახეშეცვლილია და ჯგუფური ეტაპით დაიწყო. პირველ წრეში შეიქმნა ექვსი ჯგუფი. ოთხი სამკაციანი და ორი ოთხი ფალავნის შემადგენლობით. ოთხკაციანი ჯგუფიდან გამარჯვებული პირდაპირ ნახევარფინალში ჯდებოდა. ოთხი სამკაციანი ჯგუფის გამარჯვებულები კი პირად შეხვედრებში კიდევ ორ ნახევარფინალისტს გამოარკვევდნენ.

მირიან გიორგაძე ოთხკაციან ჯგუფში მოხვდა. შვედმა ქართველის დამარცხების შემდეგ ბერძენთან წააგო. მირიანმა კი ყაზახეთის სახელით მოასპარეზე გიორგი წურწუმიას გაუსწორა ანგარიში. ამრიგად, ორი ტურის შემდეგ ქართველ ფალავანს ერთი გამარჯვება ჰქონდა და თუ ბერძენ ქსენოფონ კუტსიუმსასს დაამარცხებდა, ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი უჩნდებოდა. სამწუხაროდ, მირიანი ბერძენთან პაექრობაში უაღრესად სუსტად გამოიყურებოდა და დამარცხდა. ჯგუფიდან კი, საბოლოო ჯამში, გიორგი წურწუმია გავიდა და დღეს ფინალურ ეტაპზე ყაზახეთის ღირსებას დაიცავს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ აკაკი ჩაჩუასა და რამაზ ნოზაძეს, რომლებიც ხალიჩაზე დღეს გამოვლენ.

# დოპინგ ხაფანგი იჭერს და იჭერს

გიგა გურასაშვილი

*დღე არ გავა ისე, რომ ათენის ოლიმპიურმა თამაშებმა დოპინგ სკანდალის გარეშე ჩაიაროს. ფაქტობრივად, ყოველდღიურად ესა თუ ის სპორტსმენი ებმება დოპინგის მახეში. ამ მხრივ განსაკუთრებით მძლეოსნები "აქტიურობენ". გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა.*



*ფაზეკაშს ბადრო დოპინგში ჩაუვარდა.*

ფაქტია, უნგრელ ბადროს მტყორცნელ რობერტ ფაზეკაშს ოქროს მედლის დაბრუნება მოუწევს. ამბობენ, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო. ამგვარი გადაწყვეტილების თუ განკარგულების ავტორი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია (სოკ-ი), რომლის მეთვალყურეობითაც უნგრელი ბადროს მტყორცნელი დოპინგზე გამოიჭირეს.

ის იყო, უნგრელმა ბადრო თავის უმთავრეს მეტოქე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ლიტველ ვირგილიუს ალეკნაზე 1,04 მეტრით შორს ტყორცნა, რომ ახლადგამომცხვარ ჩემპიონს ანტიდოპინგური ლაბორატორიის მუშაკები მიუახლოვდნენ და დოპინგ შემოწმებაზე გაიხმეს. ლაბორატორიის მუშაკები გაოცებულნი ერთმანეთს შეყურებდნენ, როდესაც ფაზეკეშისგან ანალიზების ჩაბარებაზე მტკიცე უარი მიიღეს, მაგრამ თავისას ვინ გაატანინებდა და... პასუხი დადებითი აღმოჩნდა. მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა. უნგრელმა ეშმაკობა იხმარა - საკუთარი ანალიზების სხვისით შეცვლა მოინდომა, მაგრამ ვინ დააცადა. ფაზეკაშის "შემართებით" გაკვირვებულმა დოპინგ ინსპექტორებმა მომხდარის თაობაზე უმალ აცნობეს სოკ-ს.

ბუნებრივია, უნგრელ ოლიმპიელს მკაცრი სასჯელი არ ასცდება. გარდა იმისა, რომ სირცხვილნაჭამს საბერძნეთის დატოვება მოუწევს, თუ ამასობაში უკვე არ დატოვა, საკმაო ხნით სარბიელიდან მოკვეთენ. წესისამებრ დისკვალიფიკაცია ორ წლიანია, მაგრამ თუ იმ დამამძიმებელ გარემოებებსაც გავითვალისწინებთ, ანალიზების შეცვლის მცდელობას ვგულისხმობთ, მაშინ ორი წელი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

ამდენი დოპინგ სკანდალების შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსოფლიო ანტი დოპინგური სააგენტოს (WADA) მუქარა ოლიმპიელთა ერთმა ნაწილმა არასერიოზულად აღიქვა, არადა ფაქტია, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე როგორც არასდროს ისეთი ზედმიწევნით ამოწმებენ სპორტსმენებს. აფრთხილებდნენ კიდეც, მაგრამ ვინ ათხოვა ყური?

ოლიმპიზმისა თუ მსოფლიო ანტი დოპინგური სააგენტოს მამათა შეგონება ყურად რომ არ ილო ფაზეკაშმა დავრწმუნდით, მაგრამ ამ მხრივ გუშინდელი დღე სიმაღლეზე ხტომაშიც გამორჩეული გამოდგა. ბელორუსი ალექსეი ლესნიჩიც დოპინგ მახეშია გაბმული. ბელორუსს ანალიზში აკრძალული პრეპარატი კლენბუტეროლი აღმოაჩნდა. ერთი ეგაა, უნგრელისგან განსხვავებით მას არაფერი დაუკარგავს. ან კი რას დაკარგავდა, როდესაც ბოლო ადგილი დაიკავა. აი, დისკვალიფიკაციას კი მაინც ვერ გაექცევა.

ამასობაში ნუსხა მატულობს და მატულობს. ორშაბათს ხომ ბირთვის მკვრელი რუსი ქალბატონი ირინა კორჟანენკო გამოიჭირეს დოპინგზე. იმის წინ კიდევ ვილაც და ა.შ. საინტერესოა, ვინ აღმოჩნდება შემდეგი.


24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

ათენი-2004

# თამაში მარტო ამერიკელებმა არ იციან

არაერთი მოულოდნელობა მოხდარა ოლიპიადაზე, მაგრამ იმას კი არავინ ელოდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი სერბეთის ეროვნული გუნდი ჯგუფიდან გასვლას ვერ მოახერხებდა. სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ასპარეზობს ლიტვის ნაკრები. ევროპის ჩემპიონებმა ჯგუფურ ეტაპზე ყველა მატჩი მოიგეს. მათ მიერ დამარცხებულთა შორის ამერიკის ნაკრებიცაა, ნებისმიერი ტურნირის უპირველესი ფავორიტი.

ეს გუნდები ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ნახევარფინალში ლიტველებს სულ ცოტა დააკლდათ "ოცნების გუნდის" დასამარცხებლად - შარუნას იასიკიავიჩიუსმა ბოლო სროლა გააფუჭა. წლეულს ვითარება შეიცვალა. იასიკიავიჩიუსი ბრწყინვალდ თამაშობს და ლიტვის ნაკრებიც მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებს, თუმცა, ეს ინტერვიუ ისევ ოთხი წლის წინანდელი მოვლენების გახსენებით დაიწყო:



შარუნას იასიკიავიჩიუსმა ამერიკელებზე შური იძია.

**- მაშინ ლიტვამ თქვენ მიერ ბოლო წამზე გაფუჭებული სროლით წააგო. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებთან დასაპირისპირებლად საგანგებოდ ემზადებოდით?**

- უკვე დავიღალე იმ მომენტის გახსენებით. რაც იყო, იყო. ვერ გავიგე, რამდენი უნდა ვილაპარაკო იმ მომენტზე. ვისროლე და არ ჩავარდა, რა ვქნა ამის გამო? ეს კალათბურთია, ხან ზუსტად ისვრი, ხან - ვერა. არ არსებობს კალათბურთელი, რომელიც მუდმივად ზუსტად ისვრის. ასე რომ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დღეს ამერიკელთა კომპლექსი არავის აღარა აქვს. ამ ნაკრებს უკვე ამერიკელებიც აღარ ეძახიან "ოცნების გუნდს". ბუნებრივია, ამერიკელებთან უფრო მობილიზებულები გამოვედით, გვინდოდა, დაგვემტკიცებინა, რომ კალათბურთის თამაში მარტო NBA-ში არ იციან. გარდა ამისა, საგანგებოდ ამერიკელებისთვის შევიმუშავეთ დაცვის რამდენიმე ვარიანტი. მათ არ უყვართ "ზონის" წინააღმდეგ თამაში.

**- ჯერჯერობით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამერიკელები წლეულს ოლიმპიადას ვერ მოიგებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ მათ სათამაშო ხარისხის გაუმჯობესება?**

- რა თქმა უნდა, და მატჩიდან მატჩამდე ამას აკეთებენ კიდეც. ისინი ევროპულ კალათბურთს კარგად არ იცნობენ, ამდენად, აქაურ კალათბურთელებთან კარგად სათამაშოდ რაღაც დრო სჭირდებათ. თანაც, ამერიკული თავმოყვარეობის ამბავიც ხომ იცით. განა დაუშვებენ, რომ მათ სისუსტეზე ვინმემ ილაპარაკოს? მოკლედ, მოუმატებენ და, შესაძლოა, ჩემპიონებიც გახდნენ.

**- რას იტყვით სერბეთის ნაკრებზე, რამ გამოიწვია ამ გუნდის ასეთი ჩავარდნა?**

- მათ შიდა პრობლემები აქვთ. ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, არც დივაცი იტყოდა უარს თამაშზე და არც სტოიაკოვიჩი. დღეს კი ისე აღარაა საქმე, სერბებმა ნახევარი გუნდით მოუგონ მეტოქეებს. კალათბურთი განვითარდა, მისი თამაში უკვე ყველამ ისწავლა.

**- ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ოლიმპიურ ოქროს არგენტინა და ლიტვა შეეცილებიან ერთმანეთს. ხომ არ ნანობთ, რომ გუნდში არ გყავთ არვიდას საბონისი და ჟიდრუნას ილგაუსკასი?**

- ვნანობ თუ არ ვნანობ, ამას საქმისთვის რა მნიშვნელობა აქვს?! ჯერჯერობით მათ გარეშეც ვიგებთ და ვეცდებით, ასევე გავაგრძელოთ. ილგაუსკასზე ვერაფერს გეტყვით, მასთან ერთად არასდროს მითამაშია. რაც შეეხება საბონისს, მე რომ არაფერი ვთქვა, განა ყველამ არ იცის, რასაც წარმოადგენს იგი?

**- ამბობენ, მთელი ქვეყანა ცდილობდა, დაერწმუნებინა საბონისი, რომ ოლიმპიადაზე მისი თამაში აუცილებელი იყო. თქვენც მათ შორის იყავით?**

- მინდოდა, რომ მას ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. რაკი მან უარი თქვა, ესე იგი, ჰქონდა კიდეც მიზეზი. ის უკვე არის ოლიმპიური ჩემპიონი, თანაც, 40 წლისაა. ალბათ, ამ ფაქტორებმაც იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე.

**- ოთხი წელიწადია, შესანიშნავ თამაშს აჩვენებთ. კარიერას კი რატომღაც არ აგრძელებთ NBA-ში. არ გჯერათ, რომ იქაც მშვენივრად ითამაშებთ?**

- მე უკვე იმდენი ტიტული მაქვს მოგებული, ამერიკაში კი არა, სხვა პლანეტაზეც კარგად ვითამაშებდი. ასე რომ, საკუთარი თავის რწმენა არაფერ შუაშია. პირიქით, დარწმუნებული რომ ვარ და საკუთარი თავის ფასი ვიცი, სწორედ ამიტომ არ გამოდის ამერიკაში ჩემი წასვლა. ბავშვი არა ვარ, რომ იქ გამოსაცდელად წავიდე, ან ახალბედას დონის კონტრაქტი გავაფორმო. წლეულს კონკრეტული წინადადებებიც მქონდა ამერიკიდან, მაგრამ საბოლოოდ ევროპაში დარჩენა ვამჯობინე.

**- წლეულს ბევრს საუბრობდნენ თქვენს შესაძლო ტრანსფერზე "ბარსელონაში", შემდეგ კი - მოსკოვის "ცსკა"-ში. ბოლოს ისევ "მაკაბიში" დარჩით...**

- დიახ, მართლაც, ბევრს საუბრობდნენ, თუმცა, როგორც ხედავთ, "მაკაბიში" დავრჩი. ამის შესახებ ჩემს აგენტს უნდა ჰკითხოთ. მან უკეთ იცის, ვინ რას მთავაზობდა და სხვა კლუბში გადასვლა რატომ არ მოხერხდა. თქვენ ყველაფრის გაგება გინდათ, მაგრამ რატომღაც ზუსტად ვერ არჩევთ კითხვების ადრესატს.

**- გინდათ თქვათ, რომ წარმოდგენა არა გაქვთ, რა სახის მოლაპარაკებას აწარმოებდა თქვენი აგენტი? ამას ხომ არავინ დაგიჯერებთ.**

- ეს არ მანაღვლებს. ტრანსფერებთან დაკავშირებით აგენტს უნდა ჰკითხოთ, მე კი დიდი სიამოვნებით გესაუბრებით კალათბურთზე.

**- ამბობენ, "მაკაბის" ხელმძღვანელობამ თქვენს დასაყოლიებლად საქმეში ისრაელის ულამაზესი გოგო ჩარიაო...**

- ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა და ამას კალათბურთთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ჩემი პირადი ცხოვრება გაინტერესებთ, ინტერვიუ სხვაგვარად უნდა წარგემართათ, მაგრამ რაკი კალათბურთზე ვისაუბრეთ, პირად ცხოვრებას ნუღარ შევეხებით.

# ჩვენი დროის რომეო და ჯულიეტა

გიგა გურასაშვილი

*ბერძნულმა გაზეთებმა ორი ახალგაზრდა ადამიანის ისტორია რომეოსა და ჯულიეტას თანამედროვე ტრაგიკულ ანალოგად შერაცხეს. ალბათ, ესაა ისტორია სიყვარულისა. ალბათ, კი არა... სამწუხაროდ, ისტორია ტრაგიკულად დასრულდა. გოგო, რომელიც შეყვარებულს წაეჩხუბა და ფანჯრიდან გადახტა, ორი კვირის თავზე გარდაიცვალა.*



*ელენა იოანუ ტრაგიკულად დაიღუპა.*

ეს ტრაგიკული ამბავი ასე თუ ისე ათენის ოლიმპიურ თამაშებთანაა დაკავშირებული. თამაშებამდე რამდენიმე დღით ადრე საბერძნეთის ძიუდოისტთა ნაკრების 20 წლის წევრი ელენა იოანუ გუნდთან ერთად ოლიმპიურ სოფელში უნდა გადაბარგებულიყო. ოლიმპიურ სოფელში კი უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. შეყვარებულთა საცხოვრებელი რაიონი ნეა იოანია ოლიმპიელთა ნავსაყუდლიდან არცთუ შორს გახლდათ.

ისტორია კი ასე დაიწყო და ასე განვითარდა. ელენა იოანუმ, რომელიც საბერძნეთის ჩემპიონი გახლავთ, გულისწორს იოან იორგოს ქრისოსტომიდის უთხრა, რომ ცოტა ხნით ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ, მაგრამ ბიჭს ამის გაგონებაც არ უნდოდა. ბოლოს ქრისოსტომიდისს ნერვებმაც უმტყუნა და...

ბიჭის მეგობრების თქმით, იოანს არ უნდოდა, ელენა ოლიმპიურ სოფელში გაეშვა, რადგან მიაჩნდა, რომ მძიმე წუთებში მიტოვება დაუშვებელია. კამათში იორგოსმა ნერვები ვერ მოთოკა და ელენას გაარტყა. გოგონა ხმის ამოუღებლად აივნისკენ გაემართა და მესამე სართულიდან გადახტა. საბერძნეთის ნაკრების წევრი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის მუშაკები იმავე აივანთან ორი დღის შემდეგაც გამოიძახეს...

იორგოსის ახლობლების თქმით, ძლიერ დეპრესიაში ჩავარდნილი ბიჭი მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მოგვიანებით იორგოსი პოლიციამაც დაკითხა, მაგრამ მისი დაკავებისგან თავი შეიკავა - გოგონას ფანჯრიდან გადავარდნაში იორგოსის უშუალო მონაწილეობა არადამაჯერებლად გვეჩვენებაო.

პოლიციელთა დაკითხვიდან ორ დღეში, მაშინ, როდესაც იორგოსი სამზარეულოში საუზმობდა, ბებიისთვის უთქვამს, მინდა, ელენას გავყვეო და... ისიც იმავე ფანჯრიდან გადახტა, საიდანაც ელენა.

ბერძნულ პრესაზე დაყრდნობით, შეყვარებული წყვილი ნახევარი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობდა. ქრისტოდომოსი კი, რომელიც ადრეულ ასაკში დაობლებულა, მოგვიანებით ნარკოტიკებს მისძალებია და ნორმალური ცხოვრებისკენ სწორედ ელენას შემოუბრუნებია.

დღეს... დღეს იოან ქრისტოდომისის სიცოცხლისთვის იბრძვიან ექიმები. ელენა კი, რომლის სიცოცხლესაც აპარატებით ინარჩუნებდნენ, გუშინ ათენის საავადმყოფო "ერიტორს სტავროსში" გარდაიცვალა.

მოკლედ



მსოფლიოს საკლუბო ჰოკეის მთავარი ტიტული, სტენლის თასი გასულ კვირას კანადაში დაიკარგა. თასი ფორტ-სენტ-ჯონსტონში თვითმფრინავით მიჰქონდათ, რათა კლუბ "ტამპას" წარმომადგენლთათვის გადაეცათ. თუმცა, ფორტ-სენტ-ჯონსტონის აეროპორტში დაშვების შემდეგ, თვითმფრინავის საბარგულში თასი აღარ დახვდათ. ავია-კომპანია Air Canada-ს თანამშრომლებმა მთელი თვითმფრინავი გადაატრიალეს, მაგრამ თასი არ ჩანდა.

თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ზედმეტი წონის გამო თასი ვანკუვერის აეროპორტში დატოვეს და სპეციალურ საცავში დააბინავეს. "სტენლი" ნაპოვნია, თუმცა იმ ადამიანებმა, რომელთაც თასის მოვლა და შენახვა ევალებათ, გვარიანად ინერვიულეს.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 25 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**

08:30 ოლიმპიადის დღიური
09:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
10:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი. იტალია - არგენტინა
11:45 ოლიმპიური პრესცენტრი
12:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. ბრაზილია - აშშ
13:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი. ერაყი - პარაგვაი
15:10 ოლიმპიური პრესცენტრი
15:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. რუსეთი - ჩეხეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ოლიმპიური პრესცენტრი
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ველოსპორტი. ტრეკი. ვაჟები. კეირინი. პირველი და მეორე წრე. ფინალი. ქალები. რბოლა ქულებზე. ფინალი. ვაჟები. მედისონი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:10 ოლიმპიური პრესცენტრი
20:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. სინქრონული ცურვა. დუეტი. საჩვენებელი პროგრამა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. მძლეოსნობა. ვაჟები. +105კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
22:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. ბრაზილია - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. 75კგ. მეოთხედფინალები
02:00 ოლიმპიადის დღიური

**НТВ+СПОРТ**

08:30 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 "ოლიმპის შვილები"
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. გუნდური პირველობა. ფინალი. მეორე წრე
11:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტრიატლონი. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:15 ოლიმპიური პრესცენტრი
13:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 48კგ. 60კგ. 81კგ. მეოთხედფინალები
15:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. ჩინეთი - იაპონია. პირდაპირი ტრანსლაცია
16:40 ოლიმპიური პრესცენტრი
16:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. რუსეთი - კორეა. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალში ხტომა. ქალები. ტრამპლინი 3მ. წინასწარი ასპარეზობები
18:55 ოლიმპიური პრესცენტრი
19:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. რუსეთი - გერმანია
20:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. მძლეოსნობა. პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 "მითი და რეალობა"
00:30 "თემა"
01:00 "ოლიმპიური ოდისეა"
02:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. პლაჟის ფრენბურთი. ვაჟები. ფინალი. ესპანეთი - ბრაზილია
03:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბეისბოლი. ვაჟები. ფინალი

**EUROSPORT**

06:00 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:15 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:30 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
11:00 ტრიატლონი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:15 ოლიმპიადის სიახლეები
14:30 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში
17:30 ველოსპორტი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:15 ოლიმპიადის სიახლეები
20:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
01:00 "ოლიმპიკ ექსტრა"
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:30 პლაჟის ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
05:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
05:15 ველოსპორტი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია



სვეტი

## ეროვნული საწყისი კულტურაში



სამსონ ლეჟავა

დღეს საერთაშორისო ოჯახის სუბიექტად კვლავ ქცეული საქართველო მთელი სიმწვავით ერთვება კაცობრიობის დიდ თანამეგობრობაში, მასში მიმდინარე დრამატულ და დინამიკურ პროცესებში. მნიშვნელოვანია, თუ რას შესთავაზებს იგი სამყაროს, და როგორც ცოცხალი ფენომენი, რით გაამდიდრებს მას. ისიც საგულისხმოა, თუ რა გვაქვს იმგვარი საყოველთაო მნიშვნელობისა, რაც წაშლა-ნიველირებას უნდა გადაურჩეს - აქტუალურია განისაზღვროს ჩვენს ერში განუმეორებელი და ამ განუმეორებლობაში მარადიულობის მატარებელი საწყისები.

ეროვნული ფენომენი კულტურაში პარადოქსულია: ერთი მხრივ ძალზე რეალურია, მეორე მხრივ კი - მოუხელთებელი: იმგვარი საიდუმლოსმიერი მთლიანობაა, რომელიც გარდასულს, აწმყოსა და მერმისს იკრებს ზედროულ განზომილებაში. ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ადამიანთა დიდ სიმრავლეს იმ საკრალურ ორიენტირთა წილნაყარად აქცევს, რომელნიც დიდად აღემატება მატერიალურ სფეროს. აკაკისეული "ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო" მაღალ ფასეულობათა სისტემაში ერთვება, როგორც უპირატესად სიმბოლური დატვირთვის მქონე. შესაბამისად, სიწმინდედ აღიქმება საყოველთაო ზნეობრივ მოთხოვნათა საკუთარი ელფერითა და ხედვით წარმომჩენი, ჩვენი არსებობისათვის არარიგითი მნიშვნელობის მიმანიჭებელი ეროვნული კულტურის მონაპოვრები, რაც კაცობრიობას აქცევს ურთულეს, მწყობრ "მთლიანობად (რომელიც ჩვენ "გვაქვს უთვალავი ფერითა"). ასეთ დროს სამშობლო დიდ "სახლ-კოსმოსად" აღიქმება. ერში ჩენილია როგორც კონსტანტური (ვ. ბერიძე), ჟამზე ზეაწეული, ისე მოქნილი და მოძრავი "კოსმო-ფსიქო-ლოგოსი" (გ. გაჩევი).

ქართველ მოაზროვნეთათვის ეროვნულობის წვდომა შინაგანი "თემაა". ბევრ მათგანს უთქვამს ამ თვალსაზრისით წონადი სიტყვა. ამჯერად ორ შესანიშნავ მოღვაწეს - გ. ქიქოძესა და ნ. ჭავჭავაძეს გავიხსენებ. მათ ეს პრობლემა წამოწიეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გარდამტეხ პერიოდებში, რაც მთელის გულმხურვალებითა და სიღრმით გამოიხატა.

გერონტი ქიქოძისათვის ეს იყო XX ს. ათიანი წლები, როდესაც მან ამ გადამწყვეტ საფიქრალს არაერთი წერილი და წიგნიც მიუძღვნა. გულსმოსახვედრია მისი ის შეხედულება, რომლის თანახმადაც, საკაცობრიო წინსვლისა და ბედნიერების იდეას ყველაზე უკეთ ის ხალხი ემსახურება, რომელიც თავისი ეროვნული პიროვნების გამორკვევასა და განმტკიცებას ცდილობს. ამ კონტექსტში გამოსაკვეთია გამოჩენილი ამერიკელი ფსიქოლოგის ერიკ ერიქსონის მიერ, იდენტურობისა და ფასეულობათა სისტემის მნიშვნელოვანების ხაზგასმა კულტურაში, რაც მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა განათლების სისტემაში ჩენილ პრობლემათა კვლევისას.

ჩვენი წერილის მთელი მიზანდასახულობა არსებითად, ნიკო ჭავჭავაძის ნააზრევს ეხმიანება. წიგნში "კულტურა და ღირებულებები" (1984 წ), როცა კვლავ მომწიფდა და თანდათანობით უდიდესი სიმძაფრეც შეიძინა ერის თვითაღდგინებისა და დამკვიდრების მოთხოვნებმა, მან ზუსტი, ღრმად პიროვნულ გამოცდილებაზე დაფუძნებული პასუხები გასცა ჩვენს სატკივარს. ფაქტობრივად, ჯერაც კიდევ გაგანია საბჭოთა პერიოდში, ბატონმა ნიკომ წარმოაჩინა ერის არსი, როცა ნათელყო მისი ღირებულებათა სისტემისაგან მოუწყვეტელობა; ცხადყო, რომ კულტურა ზეინდივიდუალურ სულიერ ფასეულობათა ხორცშესხმას გულისხმობს; გამოააშკარავა აგრეთვე, რომ ერისადმი კუთვნილება უსასრულობას გვაზიარებს, და ისიც, რომ ფასეულობათა მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო ხედვა იწვევს ამ თვალსაზრისით გადახრებსა და დამახინჯებებს.

ისტორიულად საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომელშიც ყოველი ეროვნული უმცირესობისა თუ ეთნოსის კულტურულ თვითმყოფადობას ენიჭებოდა და ახლაც უნდა მიენიჭოს ფართო ასპარეზი. ეს არის ჩვენი ერისათვის უშინაგანესი თვისობრივობა. სხვაგვარი საქართველოს არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელია. ამასთან, მისი ყოველი მოქალაქე ერის აღმშენებლობის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი თანამონაწილე და საქართველოს შვილია.

ერის, როგორც ზე-რთული რეალობის წვდომა როდია იოლი, მაგრამ შემოქმედების სხვადასხვა სფეროში მისივე გამოხატულებანი ექვემდებარება უფრო კონკრეტულ ანალიზს. არსებობს კულტურის ძირეული "ენა", და მისი ხშირად ურთიერთმონათესავე "ტექსტები" - მაგ. სასიმღერო ტრადიცია, ხუროთმოძღვრება, ლიტერატურა, ქორეოგრაფია და სხვანი. შემდეგში ვისაუბრებთ ქართულ სიმღერაზე, რომელიც საქართველოს, როგორც "სულიერი ქვეყნის" (ვახტანგ კოტეტიშვილი) უმაღლესთაგანი გამოხატულებაა. მის რაობაზე ფიქრი დღეს არსებითია: ქართული მელოსი შეიძლება იქცეს ერთგვარ მეგზურად ერის საკუთარ "სახლ-კოსმოსში" დაბრუნების გზაზე, რაც თვითაღმოჩენას, და ამ სახლის არა მხოლოდ მიკვლევას, არამედ კვლავ ახლებურ აღმშენებლობას გულისხმობს.

მოკლედ

## ტაბუ მოხსნილია

გერმანიაში ათწლეულების განმავლობაში მოქმედი ტაბუ მას შემდეგ მოიხსნა, რაც წარმოებაში ჩაუშვეს ფილმი, სადაც მშვიდად მეოცნებე ადოლფ ჰიტლერი მთავარ როლს ასრულებს. სურათი "მზის ჩასვლა" უდაოდ რევოლუციურია, რამდენადაც აქამდე გერმანულ კინოში ჰიტლერი მხოლოდ მეორეხარისოვან პერსონაჟად უნდა გამოეყვანათ, ან საერთოდ არ ეჩვენებინათ ეკრანზე. ახალი ნამუშევარი მაყურებელს მოუთხრობს ჰიტლერის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღის შესახებ, რომელიც მან ბერლინის ბუნკერში გაატარა. ნაჩვენებია თვითმკვლელობაც, რომელიც ფიურერმა 1945 წლის 30 აპრილს მეუღლესთან ერთად ჩაიდინა.

ფილმისთვის სცენარი დაწერა იოახიმ ფესტმა ჰიტლერის მდივნის, თრაუდლ იუნგის მოგონებების (რომელიც ორი წლის წინათ გამოქვეყნდა) საფუძველზე. ფილმი გადაიღო გერმანელმა რეჟისორმა, პროდიუსერმა და სცენარისტმა ბერნდ ვერმახტმა. ნამუშევარი უდაოდ გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას და გახდება ფართო საზოგადოების განსჯის საგანი მას შემდეგ, რაც ის გერმანიის კინოეკრანებზე გამოჩნდება (რაც სექტემბერშია დაგეგმილი).

"მზის ჩასვლაში" მაყურებელს მოუწევს წარმმოიდგინოს ჰიტლერი, როგორც კეთილი ადამიანი, რომელსაც შოკოლადის ტორტი უყვარს. როგორც ამბობენ, მთავარ როლს საკმაოდ შთამბეჭდავად ასრულებს გერმანიაში ცნობილი მსახიობი ბრუნო ჰანცი. ჰანცის ჰიტლერი რბილი ხმით, მელოდიური ავსტრიული აქცენტით საუბრობს. ხმის ასლი გაკეთებულია მშვიდად მოსაუბრე ჰიტლერის დღემდე მოღწეული ერთადერთი ჩანაწერის მიხედვით.

"მზის ჩასვლა" გერმანელი კინემატოგრაფისტების ავტორობით ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარი იქნება. გადაღებები მიმდინარეობდა ბერლინში, მიუნხენსა და სანკტ-პეტერბურგში.

# რეალიზმი კინოში

### სიღარიბე და სოციალური პრობლემები - კინემატოგრაფის ინტერესის სფერო

ქეთი ჯანელიძე

*ახალი ათასწლეულის დასაწყისში სიღარიბე კვლავაც გლობალურ პრობლემად რჩება. სიღარიბე ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემების წარმოქმნის მიზეზი ხდება: ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ავადმყოფობა... რასაც ემატება შიდსი, სამოქალაქო კონფლიქტების სიხშირე; უთანხმოებები მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის კი უსამართლობისა და უსუსურობის გრძნობას აღრმავებს. ამ ადამიანებს ყოველდღიურად თვითგადარჩენისთვის უწევთ ბრძოლა.*

*შეუძლებელია გულგრილი დარჩე მათი პრობლემებისა და ცხოვრების წესის მიმართ. სწორედ ამიტომ კინო ჩვენს თანამედროვეობაში "სოციალური უმცირესობების" ცხოვრების ასახვის საუკეთესო საშუალებად იქცა.*



*ვინ გადაიხდის ფულს იმაში, რომ უყუროს ფილმს ბრწყინვალების, ცნობილი სახეების გარეშე, სადაც მთავარი გმირი ქარხნის მუშაა, დეკორაციების როლს კი "ღარიბი უბნები" ასრულებენ.*

#### ინგლისურ კინოში რეალიზმის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზები და საფუძვლები

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ფრანსუა ტრიუფომ განაცხადა, რომ "ინგლისი და კინო შეუთავსებელი ცნებებია" და თითქოს ეს თემაც დახურა. ტრიუფოს აზრს ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს კინოგამქირავებლებიც იზიარებდნენ და ამ ქვეყნის კინოპროდუქციის შეძენაზე უარს აცხადებდნენ. "ეს ზედმეტად ინგლისურია", - ამბობდნენ ისინი და, ალბათ, გულისხმობდნენ, რომ გაერთიანებული სამეფო ჰოლივუდს ცუდად ბაძავდა, ხოლო თვითშეყვარებული მსახიობები იმდენად "დახვეწილად" ხუმრობდნენ, რომ სასაცილოც აღარ იყო. თუმცა, ერთი მხრივ, ფრანსუა ტრიუფოს გამონათქვამი და მსოფლიო კინობიზნესის დამოკიდებულება დღეს შეიძლება უსამართლოდაც მოგვეჩვენოს.

XIX საუკუნის მიწურულს ინგლისი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სახელმწიფო იყო, სადაც კონსტიტუციური მონარქია ბატონობდა; განვითარებული იყო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის დარგები, განსაკუთრებით კი საფეიქრო მრეწველობა და გემთმშენებლობა.

ამ პერიოდში, 1895 წელს, ინგლისელმა ფოტოგრაფმა უილიამ პოლმა გადამღები აპარატი შექმნა, თუმცა, ლუმიერებმა ხელსაწყოს დაპატენტება დაასწრეს და 1895 წლის დეკემბერში მისი დემონსტრირებაც მოახდინეს. პოლმა აპარატის დაპატენტება მხოლოდ 1896 წლის მარტში მოახერხა და, ლუმიერებისგან განსხვავებით, თავის ხელსაწყოს სიამოვნებით ჰყიდდა. თავისი პირველი აპარატი ჟორჟ მელიესმაც სწორედ მისგან შეიძინა.

შემდეგ იყო ბრაიტონის სკოლა, სადაც ფოტოგრაფები უილიამ ფრის-გრინი, ესმე კოლინზი, ჯორჯ ალბერტ სმიტი, ჯეიმს უილიამსონი ახალ-ახალ ექსპერიმენტებს ატარებდნენ. მათ ფილმებში ხშირად ჩნდება ახლო და საერთო ხედები, იცვლება მოქმედების ადგილი და ა.შ. საერთო და ახლო ხედების თანმიმდევრობა უბრალო მონტაჟის საფუძველი ხდება. 30-იანი წლებში, როცა დოკუმენტური კინო დიდ ბრიტანეთში განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადადის, პირველ ნაბიჯებს დგამს ჰიჩკოკი, 60-იანელები და ინგლისელი "გაბრაზებულები"...

განვითარების პირველი ხელშემშლელი ფაქტორი ინგლისში, აშშ-სა და საფრანგეთის კინოფირმების ფილიალების შექმნა გახდა, თავად ინგლისელების ნამუშევრებმა კი უკანა პლანზე გადაიწია.

1914 წლისთვის ლონდონში 500 კინოთეატრი არსებობდა, მთლიანად ინგლისში კი - 4 000, თუმცა, ბრიტანეთის კინოთეატრებში ინგლისური კინოს მხოლოდ 10% გადიოდა...

ინგლისმა ამერიკას ვერც კინოში ხმის მოსვლის შემდეგ გაუწია კონკურენცია - ამერიკულ ფილმებს ხომ არც თარგმანი სჭირდებოდათ და არც დუბლაჟი.

მინდა ყურადღება შევაჩერო ბრიტანეთის 60-იანი წლების კინემატოგრაფის ზოგიერთ ასპექტზე. "60-იანელთა ახალი ტალღის" საუკეთესო ფილმები ცდილობდნენ, ძლიერი კავშირი დაემყარებინათ მუშათა კლასსა და მცირე ბურჟუაზიასთან. ამ ფილმებში სწორედ მათ შესახებ ჰყვებოდნენ, თანამედროვე იდეებს ამკვიდრებდნენ, ფილმებში იგრძნობოდა სოციალური სამართლიანობა და ხალხის განწყობის და მიზნების აღქმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის. თუმცა, ზოგიერთი კრიტიკოსი თვლიდა, რომ მათი ნამუშევრები მხოლოდ "სოციალური დოკუმენტი" იყო. პირიქით, აქ წარმოდგენილი პერსონაჟები და სიტუაციები საკმაოდ ინდივიდუალურ ხასიათს წარმოაჩენენ, საუკეთესოები კი - ინდივიდუალურ ფსიქოლოგიასა და სოციალურ გარემოს შორის ურთიერთკავშირის დიალექტიკას.

ამ კინოსურათების შემქმნელები კომერციული კინემატოგრაფის ტრადიციულ ხერხებს უარყოფდნენ. ტექნიკის სფეროში ბევრ რამეს მსოფლიო ომამდელი ბრიტანული დოკუმენტური კინემატოგრაფიდან სესხულობდნენ, პავილიონებსა და დეკორაციებზე უარს ამბობდნენ, არ იწვევდნენ ცნობილ ვარსკვლავებს, თუმცა, გატაცებულები იყვნენ ძალადობის, სექსუალური ანომალიებისა და სულიერი მარტოობის ჩვენებით. ყოველივე ეს, ალბათ, ხვალინდელ დღეში ეჭვის შეტანის, ორგანიზებული მუშათა კლასის სათანადოდ შეუფასებლობის შედეგი იყო, რომელიც, თავის მხრივ, ანტიკოლონიური მოძრაობის შედეგი გახდა. რეალიზმი, ალბათ, აქედანაც იღებდა სათავეს.

მაგალითად ავიღოთ თუნდაც "გალა-ფილმზის" მიერ გადაღებული სურათი "ბიჭები" (სტიუარტ დუგლასის სცენარის მიხედვით), სენსაციური მკვლელობის ამბავი, სადაც ახლაგაზრდებს შორის ძალადობის მიზეზები "ღრმად არის გაანალიზებული" ან ჯონ შლეზინგერის ორი მხატვრული ფილმი: "ასეთი სახის სიყვარული" (1962) და "მატყუარა ბილი" (1963). პირველი სურათი ახალგაზრდა წყვილის პრობლემებს ეხება, მათი ოჯახი ხომ მხოლოდ გოგონას ორსულობის გამო შეიქმნა. მატყუარა ბილი კი ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც უბრალო სამუშაოზე მუშაობს და სიცარიელისა და სევდის შესავსებად ათასგვარ ფანტასტიკურ ისტორიას იგონებს. ორივე ფილმი თანაგრძნობითა და იუმორით მოგვითხრობს იმ სიძნელეებზე, რომელთა წინაშეც დგებიან საშუალო კლასის ახალგაზრდები. კინოსურათები მაყურებლებში წარმატებით სარგებლობდნენ, თუმცა, კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ გრძნობათა სიმცირის გამო ძნელი წარმოსადგენია, შეუძლიათ თუ არა ამ ახალგაზრდებს რაიმეს მიღწევა.

სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ ასპექტთან ერთად ბრიტანულ კინოში სოციალური რეალიზმის გამოჩენის კიდევ ერთი კინემატოგრაფიული მიზეზი გახდა ჯეკ კლეიტონის ფილმი "გზა ზევით", რომელმაც საგრძნობლად შეცვალა ბრიტანული კინოწარმოების კურსი; კლეიტონმა პირველმა წარმოაჩინა ბრიტანეთის რეალობაში არსებული კლასობრივი ურთიერთწინააღმდეგობები და ის, რომ კლასებს შორის ბარიერების გადალახვა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ფილმის წარმატებამ გააოგნა კინომწარმოებლები. "კლეიტონის სურათმა არა მარტო დაამტკიცა, რომ ბრიტანულ კინოს ძალუძს თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთი ასპექტის საკმაოდ დამაჯერებლად წარმოჩენა, არამედ ისიც რომ ეროვნულ კინოს მოგების მოტანაც შეუძლია როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ "გზა ზევით" ტიპურ ინგლისურ კოლორიტს ინარჩუნებს".

თუმცა, კომპანია "ვუდფოლის" წამოწყებას, ალან სილიუტის ნაწარმოების "შაბათ საღამოს, კვირა დილას" ეკრანიზაციის შესახებ საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდნენ: "ვინ გადაიხდის ფულს იმაში, რომ უყუროს ფილმს ბრწყინვალების, ცნობილი სახეების გარეშე, სადაც მთავარი გმირი ქარხნის მუშაა, დეკორაციების როლს კი "ღარიბი უბნები" ასრულებენ", - კითხულობდნენ ისინი.

სტუდია "ვუდფოლს" ფილმისთვის დაფინანსების პოვნა გაუჭირდა, მაგრამ ეს შეუძლებელი არ აღმოჩნდა. კარლ რეიშის რეჟისურით გადაღებულ სურათში, სადაც აგრესიული, ახალგაზრდა მუშის ინდივიდუალიზმის სოციალურ შეგნებაში გარდაქმნაა წარმოჩენილი, მუშებისა და ინგლისელი მშრომელების მძიმე ცხოვრების რეალისტური აღწერა იგრძნობა. კინოსურათს გამაოგნებელი წარმატება მოჰყვა, რამაც პროდიუსერებს საბოლოოდ დააყრევინა ფარ-ხმალი.

"ვუდფოლის" წამოწყება მალე სხვა სტუდიებმაც აიტაცეს - ზოგმა შემოსავლის გაზრდის მიზნით და ზოგმაც "საუკეთესო სურვილებიდან" გამომდინარე...

შემდეგ შეიქმნა სერიები ჯეიმს ბონდზე, ბრიტანეთისა და ამერიკის ერთობლივი ნამუშევრები და აშშ-მ ინგლისის კინობაზარი კიდევ ერთხელ დაიპყრო. იაფფასიანი სიუჟეტები ერთობლივი კინოკომერციის განვითარების კარგი საფუძველი გახდა.

მსოფლიოში არსებული სიღარიბის საერთო ასპექტების, მათი შედეგების დახასიათების მცდელობა მიზნად ისახავდა იმ ტკივილისა და ტრაგედიის აღწერას, რომელსაც ღარიბი ადამიანები ყოველდღიურად განიცდიან, გამოსავალს კი იშვიათად პოულობენ. მათ არა აქვთ ხმის უფლება და ხშირად არსებობის სურვილსაც კარგავენ. უმრავლესობა სოციალური უმცირესობების პრობლემების მიმართ იშვიათად გამოხატავს რეალურ ინტერესს, რაც მათთვის ხშირად გამოუვალ მდგომარეობას ქმნის. იქმნება ერთი დიდი აუტანელი წრე.

ზოგიერთი პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ღარიბი ადამიანებისთვის დამთრგუნველ გადაწყვეტილებებს იღებს და მათ არჩევანის უფლებასაც ართმევს. უმრავლესობის მხრიდან საერთო გულგრილობა ხშირად დამღუპველი ხდება.

შეუძლებელია, ასეთ ატმოსფეროში ვინმეს პროტესტის ამა თუ იმ სახით გამოხატვის სურვილი არ გაუჩნდეს. ჩვენს დროში ამ პროტესტის ფართო მასებამდე მიტანის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად კინემატოგრაფი იქცა. რეალიზმი კინოში ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია. მაგრამ კინოშიც არიან პირადი ინტერესების გამტარებლები: თუმცა, ინვესტორთა ინტერესი მხოლოდ წარმატებული კინოკომერციისადმი თავისი პოლიტკორექტულობითა და "კარგი გემოვნებით" ამ პროტესტს ვერ ახშობს. ასეთ პირობებში დერეკ ჯარმენი, კენ ლოუჩი, მაიკ ლი ახერხებდნენ და ახერხებენ აზრის, პროტესტის გამოთქმას.

## ყალბი სალვადორ დალი და სხვები

2004 წლის 11 მაისს სალვადორ დალი ასი წლის გახდა. ეს საიუბილეო თარიღი მრავალ ქვეყანაში საგანგებო გამოფენებით აღინიშნა. მხატვარს მასშტაბური ექსპოზიცია მიუძღვნეს ჰელსინკშიც. გალერეის სტუმრებს უნიკალური ნამუშევრების ნახვა, წესით, მთელი თვის განმავლობაში უნდა შეძლებოდათ. დალის შემოქმედების გარდა, მათ ხუან მიროს, მარკ შაგალის, პაბლო პიკასოს და ენდი უორჰოლის ქმნილებების გაცნობასაც ჰპირდებოდნენ. თუმცა, ივნისში უცნაური რამ მოხდა. საგამოფენო დარბაზში პოლიცია შეიჭრა და თან წაიღო დალის 450-მდე გრაფიკული ნამუშევარი. როგორც სამართალდამცველებმა განაცხადეს, პოლიციაში შესული ინფორმაციით, ექსპონატების ავტორი დალი არ უნდა ყოფილიყო. ე.ი. გამოდიოდა, რომ გამოფენის ორგანიზატორები სტუმრებს ატყუებდნენ – აფიშებზე სატყუარად იუბილარ მხატვარსა და სხვა დიდ სახელებს განზრახ აყვირებდნენ და სინამდვილეში მათ დიდი ტილოების უბრალო იმიტაციას სთავაზობდნენ...



გუშინ "ბი ბი სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰელსინკის პოლიციამ საბოლოოდ დაადასტურა კონფისკირებული ნამუშევრების სიყალბე. პოლიციის წარმომადგენლის იურკი სეპალას განმარტებით, დალის 360-ივე ნამუშევარი უბრალო ასლია, ყალბია ვითომდა მიროს, შაგალის, პიკასოსა და უორჰოლის ნახატებიც. კონფისკირებულ და ყალბ ნიმუშებს შორის გახლავთ გრანფიკული პრინტები, გრავიურები, ხეზე ამოკვეთილი სურათები და სკულპტურები სხვადასხვა პერიოდიდან.

საქმის გახსნაში პოლიციას კოლექციონერები დაეხმარნენ. მათ მხოლოდ შეძენის შემდეგ იეჭვეს, რომ საკუთარი კოლექცია ყალბი ექსპონატებით გაამდიდრეს. ამოღებული სამხილის წარმოშობის დადგენაში ფინელებს გერმანელი და ესპანელი არტ-ექსპერტებიც ეხმარებოდნენ. სეპალას განმარტებით, ზოგიერთი ნამუშევარი იმდენად ცუდი ასლი იყო ორიგინალისა, რომ მათი სიყალბის დადგენა გამადიდებული შუშითაც კი შეიძლებოდა. დანარჩენების, უფრო ოსტატურად შესრულებული ნახატების გამოაშკარავება კი უკვე სპეციალისტებმა ითავეს.

გამოფენის ორგანიზატორი კერძო კომპანია "არტკო სკანდინავია" გახლდათ. უშუალო ორგანიზატორი ერკი-იუჰანი მინკინენი ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ 10 აგვისტოს გამოუშვეს.

სეპალას თქმით, ფინეთში გაყალბებისა და ყალბი ნამუშევრებით ვაჭრობა მაქსიმუმ თავისუფლების ოთხი წლით აღკვეთით ისჯება.

# როგორ ებრძოდა ბოჩოლა „სიკვდილით მოვაჭრეებს"

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ეს სათაურიც კი ვერ ასახავს მოწინააღმდეგეთა ძალების უთანაბრობას. "ბოჩოლა", რომლის შესახებაც გიამბობთ, თავიდან ფეხებამდე დამბლადაცემულია. მას ბრენდონ მექსფილდი ჰქვია. ის 17 წლისაა. უბედური შემთხვევის შედეგად, რომლის მიზეზიც ნახევრადავტომატური იარაღის დიზაინის დეფექტი იყო, ის სამუდამოდ უმწეო ხეიბრად დარჩა.

მაგრამ დამბლადაცემულ სხეულში მებრძოლი სული იყო ჩაბუდებული. ბრენდონმა "სიკვდილით მოვაჭრეთათვის" შურისძიება განიზრახა – ასე უწოდებენ ამერიკაში ცეცხლსასროლი იარაღით მოვაჭრეებს. მან გადაწყვიტა აუქციონზე გატანილი იარაღის ფირმა "ბრაიკო" შეეძინა, რომლის ნახევრადავტომატმა ის ხეიბრად აქცია – ეყიდა არა იმისთვის, რომ თავად გამხდარიყო "სიკვდილით მოვაჭრე", არამედ იმისთვის, რომ ფირმის საცავებში დარჩენილი დაზგები და 76 ათასი ჯერაც აუწყობელი იარაღი გასანადგურებლად ალკოჰოლის, თამბაქოსა და ცეცხლსასროლი იარაღის ფედერალური ბიუროსათვის გადაეცა.

ამ მიზნით ბრენდონმა დააარსა ფონდი სახელად "ბრენდონის ფონდი "ბრაიკოს" შესაძენად". დონორებისგან, რომლებიც ისევე, როგორც ბრენდონი, "სიკვდილით მოვაჭრეებს" ვერ იტანენ, ფონდში მცირე თანხები შედიოდა. გასულ წელს ყმაწვილმა "ბრაიკოს" წინააღმდეგ სასამართლო საქმე მოიგო, და ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ "სიკვდილით მოვაჭრეებს" მისთვის ზარალის ასანაზღაურებლად სარეკორდო თანხის – 24 მილიონი დოლარის გადახდა უბრძანა. პროცესი ოკლენდში მიმდინარეობდა, ალამედას საგრაფოში, კალიფორნიის შტატში. იმისთვის, რომ კომპენსაციის გადახდისთვის თავი აერიდებინა, ფირმის მფლობელმა ბრიუს ჯენინგსმა ის გაკოტრებულად გამოაცხადა.

უბედური შემთხვევის დროს ბრენდონი მხოლოდ შვიდი წლის იყო. ახლა, ათწლიანი აგონიის შემდეგ, მან "ბროიკოს" კვლავ შეუტია. ამჯერად ბედმა (თუმცა ეს სიტყვა მას ძნელად თუ მიესადაგება) მას ზურგი აქცია. მან აუქციონზე ფირმისთვის 505 ათასი დოლარი დადო, მაგრამ მას "ბროიკოს" ყოფილმა მენეჯერმა, პოლ ჰიმერსონმა აჯობა, რომელმაც 510 ათასი დოლარი გაიღო.

ყმაწვილის ადვოკატის, რიჩარდ რუჯიერის თქმით, "ბრენდონი აუქციონის შედეგების გამო ძალიან დადარდიანებული და იმედგაცრუებულია". მართალია, ყმაწვილს მიაჩნია, რომ მან ნაწილობრივი გამარჯვება მაინც მოიპოვა, როცა მოწინააღმდეგეს ფული დაადებინა. გასული წლის ივნისში ჰიმენესი ფირმის ყიდვას მხოლოდ 150 ათასად აპირებდა, ახლა კი 510 ათასი დახარჯა. თუმცა, ეს ფული მას კი არა, მის ბოსს – "ბროიკო არმსის" მფლობელ ჯენინგსს დააკლდა. ჰიმენესი მხოლოდ მისი წარმომადგენელი იყო (1986 წელს, იმის შემდეგ, არც ბრენდონთან საქმე წააგო, ჯენინგსმა თავისი ფირმა ფიქტიურად მის მენეჯერს მიჰყიდა, იმ მიზნით, რომ შემდგომში კვლავ მისი მფლობელი გამხდარიყო).

მაგრამ "ბროიკოს" გამო ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა. ერთი ისაა, რომ აუქციონზე გამარჯვებულს გამოცხადებული თანხის დადება მოუწევს. ადვოკატი რუჯიერი ამბობს, რომ ფორმალურად ჰიმენესს ასეთი თანხა არ გააჩნია. სასამართლოში, წარმოთქმული ფიცის შემდეგ მიცემულ ჩვენებაში, მან განაცხადა, რომ მხოლოდ 150 ათასი დოლარი აქვს, ისიც ვალად აღებული. აქ "სიკვდილით მოვაჭრენი" ხაფანგში გაებნენ, რომლებიც მათ მიერვე იყო დაგებული. დამბლადაცემული ბიჭისთვის ზარალის ანაზღაურება არ ინებეს და ახლა საკუთარი ქონების ლეგალიზება და მისით სარგებლობა აღარ შეუძლიათ. ამიტომ ფირმის მფლობელის ადვოკატი ნედ ნეშბურნი გაკვირვებული თვალებით ამბობს, რომ არ იცოდა, თუ ჰიმენესს "ამდენი ფული ჰქონდა". ამ უკანასკნელს გაკოტრების ფედერალური სასამართლოსთვის აუქციონზე გაცხადებული თანხის გადასახდელი ვადა დღე-დღეზე ამოეწურება. თუ არ გადაიხდის, ახალი აუქციონი იქნება დანიშნული. სხვათა შორის, ფული, თუ მისი მოპოვება მოხერხდა, ყმაწვილის ანგარიშზე იქნება დასმული, როგორც 24 მილიონიანი ჯარიმის ნაწილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ბრენდონს დოლარები არ აინტერესებდა, მას ფირმის მფლობელობა და მისი განადგურება უნდოდა. ახლა კი ის კვლავ "სიკვდილით მოვაჭრეთა" ხელში რჩება.



ამ პისტოლეტებს უცნაური სახელწოდება აქვს Saturday night Specials.

"ბროიკო არმსი" შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი მთავარი იარაღის ფირმაა, რომლის სპეციალიზაციაც იაფფასიანი პისტოლეტების წარმოებაა. ამ პისტოლეტებს უცნაური სახელწოდება აქვს – Saturday night Specials, სიტყვასიტყვით "საგანგებოდა შაბათის ღამისთვის", მიუხედავად იმისა, რომ მათი მეშვეობით ადამიანები ნებისმიერ დღეს და ნებისმიერ დროს იხოცებიან. ჯერ კიდევ 1999 წელს ფირმის მფლობელმა ჯენინგსმა ჟურნალ "ბიზნეს ვიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში ცინიკურად ახსნა, როგორ არიდებს თავს "ბროიკოს" პროდუქციის მსხვერპლთა სარჩელებს: "ან ვაცხადებთ, რომ გავკოტრდით, ან თვთლიკვიდაციას მივმართავთ. ხოლო როცა სასამართლო ტალღა წყნარდება, ავღორძინდებით ხოლმე და ახალი სტანდარტების თანახმად კვლავ იარაღს ვაწარმოებთ... თუკი ასეთი სტანდარტები საერთოდ ჩნდება".

უბედური შემთხვევიდან გასული ათი წლის შემდეგ ბრენდონმა ჯენინგსისგან და მისი სამი (!) გაყრილი ცოლისგან 3 მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო 5,75 მილიონი დოლარი – იმ სადაზღვევო კომპანიებისგან, რომლებიც "ბროიკოს" პროდუქციაზე არიან პასუხისმგებელი. შეიძლება თქვათ, რომ ეს ბევრია. მაგრამ გააჩნია, როგორ შევხედავთ. ერთი მილიონი დოლარი ხეიბარმა ყმაწვილმა "მედიკალს" გადაუხადა, კალიფორნიის შტატის ჯანდაცვის სისტემას, ნახევარი მილიონი სასამართლო ხარჯები იყო და ამდენიმე – ადვოკატის ჰონორარი. დანარჩენი თანხა საგანგებო ანგარიშზეა დეპონირებული "მთელი სიცოცხლის განმავლობაში სამედიცინო ხარჯების დასაფარად", რომლებიც, წინასწარი გათვლით, 11 მილიონ დოლარს შეადგენს. ადამიანის სიცოცხლე იაფად ფასობს. მთლიანად დამბლადაცემული ადამიანის სიცოცხლე სხვა ამბავია. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, თუ რა სიცოცხლეზეა საუბარი...

# მინის ტარის საიდუმლო..

## ..ანუ ჯინის ბოთლში გამოკეტვის ხელოვნება

მადი სერებრიაკოვა

*ზოგიერთები ბოთლში რძეს ასხამენ, ზოგიერთები წერილს დებენ და ზღვაში აგდებენ. მე პირადად ბავშვობაში დიდი თავსატეხი მქონდა: ერთი ლამაზი სათამაშო მაჩუქეს. თხელ, ვიწროყელიან და გაბერილმუცლიან ბოთლში ულამაზესი, აფრებიანი გემი იდო. ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ ან რა მექანიზმით მოახერხეს ბოთლის ვიწრო ყელში ამ მშვენიერი გემის შეძვრენა. ბოთლთან დაკავშირებით კიდევ ერთი სასწაული ვიცოდი. ერთხელ, ზღაპარში ზღვაში ბოთლი იპოვნეს, გახსნეს, იქიდან კი ჯინი ამოძვრა და თავისუფლების სანაცვლოდ მპოვნელს სამი სურვილი აუსრულა. ჯინის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოთლში მოთავსებულ დანარჩენ სასწაულებს ახსნა მოეძებნება.*

რედაქციაში გავიკითხე, ხომ არავის გაგიგიათ რა ეწოდება ქართულად "ბოთლის ხელოვნებას?" (ინგლისურად მას whimsy bottles ეძახიან), ერთმა მოსაზრებულმა კოლეგამ მიპასუხა, მე ამას "კუკლუშკებს" ვეძახიო. ლიტერატურულ ქართულში სიტყვა "კუკლუშკა" არ მოიძებნება, თუმცა კარგად კი ახასიათებს ბოთლში ჩატენილ სასწაულებს.

ამ უცნაური ხელობის სამშობლო, სინამდვილეში, გერმანია და სლავური ქვეყნებია, ხოლო განსაკუთრებით მოდური ასეთი სუვენირები მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ყოფილა. მათ ის ადამინები ამზადებდნენ, რომლებსაც ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ: მეზღვაურები, ტუსაღები.. რა თქმა უნდა, ვისაც ფანტაზია და მარჯვე ხელები არ აკლდა. საოცარი ბოთლები ძირითადად სუვენირებად მზადდებოდა, თუმცა უფრო ფართო დატვირთვით: ზოგიერთი მათგანი თილისმის ფუნქციას ასრულებდა, ზოგიერთს რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგიერთი კი სატრფოს გულსაც მოგაგებინებდა. რას არ ნახავთ ციცქნა ბოთლებში: პაწაწინა ავეჯს, თავსატეხებს, სურათებს, ყვავილებსა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯვარცმის სცენებსაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში იყო მოდაში. ყველაზე ხშირად ამგვარი მინის ტარა მოგონებების უკვდავყოფას ეძღვნება. ამ მიზნით ბოთლებში შეჩურთული სახით შეიძლება იხილოთ "გულის ვარდის" ფოტოები, პირადი ნივთები, პაწაწა ქანდაკებები, მძივები და სხვა.

ყველაზე გავრცელებული ბოთლში მოთავსებული გემების სერიაა. ის უდავოდ თავად მეზღვაურებს შორის დაიბადა. 1930 წელს ჟურნალმა Popular Science მოაწყო კონკურსი ამგვარი გემებიანი ბოთლების ავტორებს შორის. კონკურსში მონაწილე ბოთლები დღეს მუზეუმებისა და კერძო კოლექციების ნაწილია.

მოგონებების უკვდავყოფის სურვილმა წარმოშვა ასევე გავრცელებული ვარიანტი – ბოთლში მოთავსებული ცარიელი სკამი. დაცარიელებული სკამი დაკარგულ სატრფოს განასახიერებს.

ჩვენამდე მოღწეული მრავალი ბოთლი ჯვარცმის სცენას იტევს გამჭვირვალე მუცელში. ჯვრები ხშირად დეკორატიულია და ბოთლში ჯვარცმული მაცხოვრის გარდა, კიდევ უამრავი სიმბოლური ნივთია. ხშირად ბოთლებში დამუშავებულ მინერალებს, საიუველირო ნაკეთობებსა და ძვირფას ქვებსაც ათავსებდნენ.

განსაკუთრებით ძვირადღირებულია ბოთლები, სადაც მოთავსებულია ბატალური სცენები: ომები, კორონაციები, დღესასწაულები. ერთი ასეთი ხელოვნების ნიმუში სამოქალაქო ომს განასახიერებს. იგი კერძო კოლექციონერმა (სულ რაღაც) 2700 დოლარად შეიძინა. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბოთლი მასიური სცენით 1719 წლით თარიღდება. ცნობილია მისი ავტორიც – მათიას ბუჰინგერი. მათიასი გერმანელი იყო წარმოშობით. იგი ჯუჯა იყო და ინგლისში ცირკთან ერთად მოგზაურობდა. აქ ის ძალიან პოპულარული გამხდარა და ორჯერ დაქორწინებულა. სწორედ ინგლისში იპოვნეს მის მიერ დამზადებული 20 სანტიმეტრის სიმაღლის ბოთლი, რომელშიც ორსართულიანი სცენაა მოთავსებული მიწათმოქმედების ეპიზოდებით.



ბოთლში ჩასმული გემების სერია მეზღვაურებს შორის დაიბადა. პაწაწინა ბოთლში გემების შეძვრენა სერიოზულ საქმედ არ ითვლებოდა და მათი ავტორების სახელები აღარავის ახსოვს.

განსაკუთრებული ფერადოვნებით მქარგავების სერია გამოირჩევა, რომელიც სლავურ კულტურებშია გავრცელებული. ნამდვილი, ოღონდ უკიდურესად მინიატურული ზომის ნაქარგები, მქარგავის ფიგურებითურთ ბოთლებში სხედან და პატრონების დაქორწინებას ელოდებიან, რათა მათი მზითვი დაამშვენონ.

ერთ დროს პოპულარობით მასონური ნიშნებისგან შექმნილი ამგვარი ბოთლები სარგებლობდა. ასეთ ნიშნებს შორის ხშირად იყენებდნენ მასონურ კომპასს. ბოთლების ზომები და ფორმებიც განსხვავებულია: ისინი 5-იდან 40 სანტიმეტრამენდე მერყეობს. ფორმას რაც შეეხება – ეს ბოთლის პოტენციურ შიგთავსზეა დამოკიდებული. გემებს უფრო წაგრძელებულ ბოთლებში ათავსებდნენ, ბატალურ სცენებს კი მსუქანმუცლიანი ბოთლები უფრო უხდება. ძველი ოსტატები ხშირად უბრალო ღვინის ბოთლებს იყენებდნენ. შიგთავსს კი უმეტესად ძვირფასი ხის მასალისგან ამზადებენ.

ავტორების იდენტურობა ხშირად დაუდგენელია. როგორც ჩანს, ძველად ბოთლებში ნივთების შეძვრენა სერიოზულ საქმედ არ ითვლებოდა და მათ ავტორებსაც არ მიაგებდნენ შესაბამის პატივს. ძირითადად ეს მამაკაცების ჰობი იყო, თუმცა შემორჩენილია რამდენიმე ოსტატი ქალის ნამუშევარიც. ბოთლში ხელოვნების ნიმუშების მოთავსების ოსტატებს შორის ადამ სელიკი და კარლ უორნერი არიან ცნობილი.

ყველაზე დიდი გამოცანა ჩემთვის მაინც ის არის, როგორ ათავსებდნენ ნივთებს ბოთლში. ამის გარკვევა ძნელი არ აღმოჩნდა. ბოთლში ჯინის გამოკეტვის საიდუმლო რამდენიმე საფეხურისგან შედგება: პირველ რიგში უნდა შეირჩეს სუფთა მინისგან დამზადებული ბოთლი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ფართო ყელი ექნება. ბოთლი ისე უნდა შეარჩიოთ, რომ მისი მუცელი ზომითა და ფორმით შეესაბამებოდეს მასში მოსათავსებელ ნივთს. თეორიულად: ბოთლში მოსათავსებელი ნივთის დეტალები ბოთლის ყელში უნდა ეტეოდეს და საბოლოოდ ავტორმა ისინი ბოთლშივე უნდა ააწყოს. მაგრამ პრაქტიკურად ამ სასწაულის ჩადენა, მგონი, ჯინის დაჭერასა და ბოთლში შეგდებაზე ადვილი არ უნდა იყოს.

ახლა წარმოებაში ამგვარი ბოთლები უკვე სხვა ტექნოლოგიით მზადდება, დიდი ოდენობით გამოდის და ფასიც საკმაოდ იაფი აქვს. ზოგიერთი მათგანი ტურისტების საყვარელი ცალკეული ადგილების სავიზიტო ბარათად იქცა. მაგალითად, გემიანი ბოთლები საპორტო ქალაქებში სარგებლობს პოპულარობით. რა თქმა უნდა, ისინი სილამაზითა და სირთულით ხელნაკეთ ანალოგებს ვერ შეედრება, სამაგიეროდ მისი მყიდველი ტურისტის შვილებსაც გაუღვიძებს ბოთლში ჩაკეტილი ჯინის საიდუმლოს ამოხსნის ჟინს.

## TV პროგრამა

25 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ნილოსის მარგალიტი". მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, კეტლინ ტერნერი (15)ყ

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "ქიმერიონი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "მულენ რუჟი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.25** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მიამბეთ თქვენზე"-პ. ნიჟარაძე **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "შერეკილები გამოცდებზე" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სხვა 48 საათი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "თომას კრაუნის თაღლითობა" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "სახის გარეშე"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე" (გ) (ჯეფრი რაში) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "იაზონი და არგონავტები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "გარღვევა" (18) (დინ კეინი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** დოკ. სერიალი "კათედრალური ტაძრები" **22.00** მხ. ფილმები "ერთადერთი გამოსავალი" (18)

### იმედი

**08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **08.45** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **10.15** ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი, ტრიატლონი. **13.10** ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძელება), ტრიატლონი (გაგრძელება) **14.00** იმედის მელოდიები **14.30** წყალში ხტომა (ქალები) **15.10** წყალში ხტომა (ქალები) (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (ქალები), მეოთხედფინალი, ცხენოსნობა, ტრეკი. **17.10** ცხენოსნობა (გაგრძ.), ტრეკი (გაგრძ.), ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი. **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ტრეკი (გაგრძ.), ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძ.), წყალბურთი, მძლეოსნობა, ძალოსნობა. **22.20** მძლეოსნობა (გაგრძელება), ძალოსნობა (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (ქალები), მეოთხედფინალი. **01.00** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **02.30** ტვ-მარკეტი **03.15** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ბილი ელიოტი" (გ) **20.10** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **20.20** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00,12.00, 15.00,18.00** Новости **09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.20** Дневник XXVIII летних Олимпийских игр **12.20 Х/ф "ЧЕРНАЯ РОЗА - ЭМБЛЕМА ПЕЧАЛИ, КРАСНАЯ РОЗА - ЭМБЛЕМА ЛЮБВИ" 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30** Документальный детектив **17.00** "Слабое звено" **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады **20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00** Время **22.30** На XXVIII летних Олимпийских играх **00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.00** На XXVIII летних Олимпийских играх **02.10 "24 ЧАСА" Сериал 03.00 Х/ф "ТЕМНЫЙ АНГЕЛ" 04.30 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.20** "Все путешествия команды Кусто"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ **08.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2" Сериал 10.00** "Сегодня утром" **10.25** "Кулинарный поединок" **11.20** "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30 Х/ф "ВЕРНОСТЬ" 14.15** "Время есть" **14.35** "Криминальная Россия" **15.35** "Принцип домино" **17.30 "МУР ЕСТЬ МУР" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.40 "КАК БЫ НЕ ТАК" Сериал 20.50 "Я ВСЕ РЕШУ САМА" Сериал 22.00** "Страна и мир" **22.45 Х/ф "РАЗОБЛАЧЕНИЕ" 01.20 Х/ф "БАССЕЙН"**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი




## სკანვორდი



# „ხმა მიეცი ან მოკვდი"

კერისთვის და ბუშის წინააღმდეგ

პირველები მუსიკოსები იყვნენ, და მათ კვალდაკვალ ამერიკელმა მსახიობებმა – მეტ დეიმონმა, სკარლეტ იოჰანსონმა და სხვებმაც აიმაღლეს ხმა. ისინი ჯორჯ ბუშის ხელმეორედ არჩევის სასტიკი მოწინააღმდეგეები არიან და თავიანთი პოზიციის წარმოსაჩენად სარეკლამო ვიდეოფილმს, უფრო სწორად, ანტირეკლამას იღებენ.

შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო ისტერია მძვინვარებს. სწორედ ამ დროს განაცხადეს მეტ დეიმონმა, მარტინ შინმა და სკარლეტ იოჰანსონმა, რომ ჯონ კერის მომხრეები არიან, და თავიანთი ფული და ნიჭი იმას მოახმარეს, რომ ინტერნეტით ბუშის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოეწყოთ.

გუშინ პოლიტიკურმა დაჯგუფებამ MoveOn.org ოცდაათწამიანი "ანტიბუშური" ფილმები ინტერნეტში ჩაუშვა. მათი რეჟისორები სახელგანთქმული დაგ ლიმანი, რობ რაინერი და ჯონ საილსი არიან. ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მომხმარებელი ფილმებს ინტერნეტითაც გაეცნობა და მოგვიანებით ტელევიზიითაც იხილავს.






კერის მომხრეები ძირითადად ახალგაზრდობისთვის იღვწიან. როკ-ვარსკვლავი ბრიუს სპრინგსტინი ოქტომბერში "კერი-ტურის" დაწყებასაც გეგმავს, იმისთვის, რომ თავის თაყვანისმცემლებს დემოკრატი კანდიდატისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდოს. ოცზე მეტი ამერიკელი მუსიკოსი ჯგუფ Vote for Change-ში გაერთიანდა და საარჩევნო ბრძოლისთვის ფულს აგროვებს.

ხელისუფლების განახლებისთვის სპრინგსტინთან ერთად "პერლ ჯემი", R.E.M, "დიქსი ჩიქსი" და სხვები იბრძვიან. ბუშის მომღერალი მოწინააღმდეგეების რიცხვი დღითიდღე იზრდება, კერის მომხრეთა რიგებს სულ ცოტა ხნის წინ შერილ ქროუ, ჯეკ ჯონსონი და კროსბი, Stills & Nash შეუერთდნენ.

რამდენიმე ხნის წინათ კი რესპუბლიკელთა მომხრეებმა სპრინგსტინის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ინტერნეტით გავრცელებულ მასალაში მერილინ ო`გრედი წერდა: "მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი მუსიკით მილიონები აქვს გაკეთებული, მას ჰგონია, რომ ვინმეს არჩევანის გაკეთებაში შეუძლია დაეხმაროს... მე ბოიკოტისკენ მოგიწოდებთ, და არა მარტო მისი პოლიტიკური მრწამსის წინააღმდეგ; მის მუსიკასაც ნუ იყიდით".

და მაინც, 28 ამერიკულ ქალაქში დაგეგმილი 34 კონცერტისთვის ბუშის ხელახალი არჩევის მოწინააღმდეგე მუსიკოსები კერისთვის 44 მილიონი დოლარის შეგროვებას ვარაუდობენ. ძირითადი "ბრძოლის ველი" ის შტატები იქნება, სადაც კერისა თუ ბუშის პოზიციები ჯერაც ძალიან სადავოა. ტური ოჰაიოში იწყება და ფლორიდაში მთავრდება, სადაც მმართველი ბუშის ძმაა და საიდანაც ოთხი წლის წინათ თეთრ სახლში რესპუბლიკელთა გადამწყვეტმა უმრავლესობამ ამოჰყო თავი (მრავალი დემოკრატი დარწმუნებულია, რომ ეს არჩევნების გაყალბების შედეგად მოხდა).

სანამ კერის შესაყვარებლად მუსიკოსები ამომრჩევლებს სტადიონებზე შეაგროვებენ, მაიკლ მური იმავე მიზნისთვის კინოეკრანს გამოიყენებს. ბუშის საწინააღმდეგოდ მიმართულ დოკუმენტურ ფილმში "9/11 ფარენჰეიტით" ის ახლანდელ პრეზიდენტს ცრუს უწოდებს. ბევრად უფრო მოკრძალებით, მაგრამ მაინც კერის სასარგებლოდ ნატალი პორტმენი და ვილიამ ბოლდუინი გამოვიდნენ: მათ "ანტიბუშური" მაისურები ჩაიცვეს, თუმცა როცა ტელევიზიით მოუწიათ გამოსვლა, ერთმაც და მეორემაც ყვავილების თაიგულით დაიფარეს "იდეური ნაწილები" – რომ არჩევნების წესები არ დაერღვიათ და "მეტისმეტი არ მოსვლოდათ".

პოლიტიკურად აქტიური მაისურში იწონებს თავს რეპერი და ბოლო დროს მოდის მეფე პი დიდიც. მისი ორგანიზაციის, Citizen Change-ის დევიზი მან თავის მაისურების კოლექციას დააწერა: "აირჩიე ან მოკვდი". პი დიდის ჰიპ ჰოპის თაობის დიდი იმედი აქვს, დარწმუნებულია, რომ ეს ხალხი ნამდვილად არ დაუშვებს ბუშის ხელმეორედ არჩევას.

მათზე ემინემიც დიდ იმედებს ამყარებს. შეერთებულ შტატებში გამართული კონცერტების დროს ის თავის თაყვანისმცემლებს სწორი არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს ხოლმე.

ჯონ ბონ ჯოვისა და ბონოს თაყვანისმცემლები კი მართლაც იმედისმომცემი საზოგადოება ყოფილა. ჯონ კერის პატივსაცემად ნიუ იორკის "რედიო სიტი მიუზიკ ჰოლში" გამართულ კონცერტზე შესასვლელი ბილეთი 250-დან 25 ათას დოლარამდე ღირდა. საპატიო სტუმართა შორის ვუპი გოლდბერგი და სარა ჯესიკა პარკერიც იყვნენ, და ამ ერთ საღამოს ვერსკვლავებმა კერის მხარდასაჭერად 7,5 მილიონი დოლარის შეგროვება შეძლეს.

ამ დროს რესპუბლიკელი გუბერნატორის, არნოლდ შვარცნეგერის სამფლობელოში კერისთვის ფულს თავადებული დემოკრატი, ბარბარა სტრეიზანდი აგროვებს.

მოკლედ, ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლიათ. შეძლებით კი ბევრი რამ შესძლებიათ, ყოველ შემთხვევაში, იმ სფეროში მაინც, რომელიც ფულის შოვნასთანაა დაკავშირებული.

## ახალი გაერთიანება

ბრიტანული დუეტი Eley Kishimoto-სა და იტალიური სპორტული ფირმა Ellesse-ის გაერთიანების მიზეზი საზაფხულო სპორტულ კოლექციაზე მუშაობაა. კოლექციას მაყურებელი სექტემბერში ლონდონის მოდის კვირეულზე იხილავს.

შეთანხმების მიხედვით, Eley Kishimoto-სა და Ellesse-ის თანამშრომლობა სამ სეზონზე გაგრძელდება. დიზაინერებს მიაჩნიათ, რომ იტალიური ბრენდის, იაპონური წარმოებისა და იდეალური ინგლისური ბაზის შერწყმა სასურველ შედეგს გამოიღებს.

## „ოღონდ არავინ დავინახო„

ოკეანის პირას მდებარე ქვეყნების წეს-ჩვეულებანი თუ კანონები ხშირად აგდებს ტურისტებსა და ემიგრანტებს არასასიამოვნო მდგომარეობაში. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ ამერიკელებს გამორჩეულად განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ კერძო საკუთრების მიმართ, რაც ყოველთვის გაუგებარი რჩება სხვებისთვის.

გაზაფხულზე მსოფლიო განხილვის თემად იქცა, როგორ იყიდა მადონამ ბრიტანეთში მამული, მაგრამ ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, სხვა ადამიანებს ჰქონდათ უფლება თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ პოპვარსკვლავის საკუთრებაში. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა პოპულარული მომღერალი შანია თვეინიც, რომელმაც გადაწყვიტა სახლი ეყიდა ახალ ზელანდიაში. ვარსკვლავს ეშინია, რომ ადგილობრივები, რომელთაც აქვთ უფლება, იმოძრაონ მის მიწაზე, დაარღვევენ მომღერლის უფლებებსა და პირადი ცხოვრების რიტმს. პოპვარსკვლავი იმდენად მოწადინებული აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტა ოთხჯერ ძვირი გადაიხადს მიწის ნაკვეთში, ოღონდ არავინ უცხო არ ნახოს საკუთარ მამულში.

## 200 ახალი სიმღერა

ამერიკელი მობი რომ პროდუქტიულია, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ასეთ შედეგსაც ალბათ ბევრი არ მოელოდა მისგან. მუსიკოსმა მორიგ ალბომზე მუშაობისას უკვე ორასი სიმღერა დაწერა. დისკი 2005 წლის აპრილში უნდა გამოვიდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ალბომისთვის მობიმ სულ რაღაც ოცი ნამუშევარი უნდა შეარჩიოს. როგორც VH1-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მობიმ ყველა სიმღერა გიტარით ხელში შექმნა. "უმრავლესობას მიაჩნია, რომ სემპლებით ვმანიპულირებ და ქურდი ვარ. უარესი სიტყვებიც არ დაუშურებიათ ჩემთვის", - თქვა მუსკოსმა. ვიდრე მობი საზოგადოებას მის შესახებ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას შეაცვლევინებს, მუსიკოსს სხვა სხვა საქმეებსაც მიხედავს. როგორც ცნობილია, ნიუ იორკში მობის აქვს საჩაიე Teany. ამჟამად მუსიკოსი წერს წიგნს, სადაც Teany-ში გამოყენებულ უამრავ რეცეპტს მოუყრის თავს.




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.